

საზოგადოების განვითარება დააჩქარებს ნატო-სთან და ევროპასთან დაახლოებას

B1



ტყუილ სუკში ნაპოვნი სიმართლე

B4



იყიდეთ შავ-თეთრი კოცნა მერიის წინ

B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

სამშაბათი, 26 აპრილი, 2005 წელი. №94 (954)

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

## საზოგადოება

### გაერო-ს ოფისთან მიჯაჭვული ინვალიდები



"დაგვიხსენით დისკრიმინაციისგან" და "განახორციელეთ თქვენი რეზოლუციები" - ამ ლოზუნგით გუშინ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა გაერო-ს ოფისთან საპროტესტო აქცია გამართეს.

A4

## უცხოეთი

### რუსეთის პრიორიტეტები სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში



რუსეთის პრეზიდენტმა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში პრიორიტეტებად დაასახელა - საბიუჯეტო სექტორში ხელფასების ზრდა, ბიზნესის განვითარებისთვის გარემოპირობების გაუმჯობესება და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ეკონომიკური სექტორების მკვეთრი განსაზღვრა-გამიჯვნა.

A5

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

# მიდიან!

## მოსკოვი თანახმაა, ბაზების გაყვანის პროცესი წელსვე დაიწყოს

*რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის პროცედურები წელსვე დაიწყება - ასეთი შედეგით დასრულდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და მისი რუსი კოლეგის მოსკოვში გამართული მოლაპარაკებები.*

სოფო ბუკია

რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის მრავალწლიანი დავისა და ორმხრივი მოლაპარაკებების არაერთი უშედეგო რაუნდის შემდეგ, რუსეთმა საქართველოსთან ურთიერთობებში ახალი იმპულსის შეტანა გადაწყვიტა.

**"არსებით პროგრესს მივაღწიეთ და ჩვენი პოზიციები შესამჩნევად დავაახლოვეთ. ჩვენ შევთანხმდით, რომ რუსული ბაზების საქართველოდან გაყვანა ეტაპობრივად მოხდება და შესაძლებელია, პირველი ეტაპი წელსვე დაიწყოს. ეს შეეხება როგორც სამხედრო ტექნიკას, ასევე იმ ობიექტებს, რომლებიც სამხედრო ბაზების ინფრასტრუქტურაში არ შედის,"** - აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გუშინ ქართველ კოლეგასთან მოლაპარაკებების დასასრულს გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

უფრო ფრთხილია შეფასებებში საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი. იგი რუსული პოლიტიკის თავისებურებებს არ ივიწყებს და, მართალია, გუშინ მიღებულ გადაწყვეტილებას "შესამჩნევ პროგრესს" უწოდებს, მაგრამ აქვე დასძენს, რომ ამ მიღწევას შესრულება სჭირდება. **"ბაზების გაყვანასთან დაკავშირებული ყოველი დეტალი შეთანხმებული და გადამოწმებული უნდა იყოს. ჩვენ მივეცით ექსპერტებს ერთკვირიანი ვადა, რათა ყველა დეტალი დაამუშავონ. აღდგომის დღესასწაულის შემდეგ კი უფრო კონკრეტულ შეფასებებს გავაკეთებთ და მუშაობას გავაგრძელებთ. არც ერთ საკითხში არ უნდა დარჩეს არავითარი გაუგებრობა,"** - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა და ფრანგული ანდაზა მოიშველია: **"ეშმაკი ყოველთვის დეტალებშია."**

როგორც გუშინ საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის პროცესი 2008 წლის 1 იანვრისთვის უნდა დასრულდეს. **"ეს საკითხი თითქმის შეთანხმებულია რუსეთის მხარესთან,"** - აღნიშნა ზურაბიშვილმა. მისი თქმით, რუსულ მხარეს გუშინ არ გაუხმოვანებია ტრადიციული მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, რუსეთის ბაზებისგან გათავისუფლების შემდეგ საქართველომ თავის ტერიტორიაზე სხვა რომელიმე ქვეყნის ბაზები არ უნდა განალაგოს. **"ეს მოთხოვნა, ცხადია, არსებობს და რუსეთის მხრიდან ასეთი მოთხოვნა ყოველთვის იქნება, მაგრამ ამ საკითხზე გუშინ არ გვისაუბრია,"** - განაცხადა ზურაბიშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ბიზნესმენებს შეკითხვები არ გაასჩენიათ

## ვანო მერაბიშვილი: "თქვენზე ნებისმიერი სახის თავდასხმა ჩემ წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება იქნება"

დიანა ჩაჩუა

*გუშინ "ბიზნესმენთა ფედერაციის" პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის რეზიდენციაში, შინაგან საქმეთა მინისტრსა და ბიზნესმენებს შორის გამართულ შეხვედრაზე, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ვანო მერაბიშვილი საუბრობდა, ბიზნესი კი უსმენდა. დიალოგის ნაცვლად, შეხვედრა ცალ კარში თამაშს დაემსგავსა, სადაც მატჩის შემდეგ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა.*

**"მე ველოდი, რომ დღეს ბიზნესმენები უფრო გახსნილები იქნებოდნენ და ვანო მერაბიშვილს უფრო კონკრეტულ შეკითხვებს დაუსვამდნენ, მაგრამ ეს იყო პირველი შეხვედრა და გარკვეული დაძაბულობა იგრძნობოდა. დიდი იმედი მაქვს, რომ არაოფიციალურ გარემოში ბიზნესმენები უფრო გახსნილები იქნებიან,"** - განაცხადა "ბიზნესმენთა ფედერაციის" პრეზიდენტმა ბიზნესმენებისა და შს მინისტრის შეხვედრის დასრულების შემდეგ.

გაგრძელება A6 გვერდზე



*ბიზნესს სჭირდება დაცვა, დაცვას თავის თავზე იღებს ვანო მერაბიშვილი.*

# წყალდიდობა დასავლეთ საქართველოში

ძლიერი წვიმით გამოწვეული წყალდიდობის შედეგად, ამბროლაურის, ლენტეხის, ცაგერის, ონის, მესტიის, წყალტუბოს, ხონისა და ქუთაისის რაიონებში გადაუღებლად წვიმს და მოსახლეობა კატასტროფულ მდგომარეობაშია. ჩახერგილია გზები, მოშლილია ხიდები, სოფლები მოწყვეტილია რაიონულ ცენტრებს, გარკვეული უბნები მთლიანად დატბორილია და იქ მცხოვრები მოსახლეობა უმძიმეს პირობებშია, თუმცა საქართველოს მთავრობა ამ ეტაპზე მათ დახმარებას ვერ ახერხებს.

როგორც გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიგი უგულავამ განაცხადა, ნალექიანობის გამო, აღნიშნულ ტერიტორიაზე ტექნიკა ვერ იმუშავებს. ამიტომ, მთავრობა ამ ეტაპზე, დაზარალებულ მოსახლეობას ვერ დაეხმარება, თუმცა ტექნიკა მობილიზებულია და როგორც კი ამინდი შეიცვლება, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება და ზარალი მთლიანად ლიკვიდირებული იქნება.

გიგი უგულავა ვარაუდობს, რომ ამინდი დღეს საღამოსთვის გამოსწორდება და ტექნიკაც მუშაობას ამ დროისთვის დაიწყებს. თუ რა ზარალი მიადგა რაიონებს, უგულავა

გაგრძელება A3 გვერდზე



*რიონი ქუთაისში.*

# "დეტალებზე ჯერ ვერ ვისაუბრებთ"

## ნატო-ს სპეცწარმომადგენელი შეფასებების გაკეთებას არ ჩქარობს

ნინო გომართელი

*თბილისში სამდღიანი ვიზიტით იმყოფება ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ნატო-ს გენერალური მდივნის თანაშემწე უსაფრთხოების საკითხებში რობერტ სიმონსი. გუშინ იგი შეხვდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გიორგი ბარამიძეს.*
*საუბრის თემები იყო საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის საკითხები, ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) განხორციელების პროცესი და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივები.*

საქართველოში თავდაცვის სფეროს ინსტიტუციონალური აღმშენებლობის განვითარების საკითხებზე გუშინ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საერთაშორისო სემინარი-კონფერენცია გაიმართა, რომელსაც, ნატო-ს წარმომადგენელთა დელეგაციასთან ერთად, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ესწრებოდა.

**"ნატო-ს მიერ ორგანიზებული ამ ტიპის სემინარები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. ეს შეკრება საშუალებას გვაძლევს, მოვისმინოთ ჩვენი მეგობრების შენიშვნები და წინადადებები. ამასთან, მათ ეძლევათ საშუალება გაიგონ, თუ როგორ მიმდინარეობს რეფორმები საქართველოში. უმჯობესია, უახლოეს თვეებში მივიღოთ თუნდაც ძალზე მწვავე კრიტიკა, მოთხოვნები და არა - ორი წლის შემდეგ, როდესაც დადგება შემდგომი ნაბიჯის გადადგმის დრო ნატო-სთან ურთიერთობაში,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# გამოწვეული ელჩების ადგილმონაცვლენი უკვე შერჩეული არიან

გიორგი ასანიშვილი

ელჩების გამოწვევის ხმაურიანი თემა ბოლომდე არ დახურულა: მიმდინარე კვირაში გაიმართება საკომიტეტო მოსმენები, რომლის დროსაც პარლამენტარები პრეზიდენტის მიერ დასამტკიცებლად წარდგენილ კანდიდატურებს განიხილავენ. ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ ეუთოსა და ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუდმივ წარმომადგენლად მიხეილ სააკაშვილმა ვიქტორ დოლიძე შეარჩია, ხოლო შვეიცარიის კონფედერაციაში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად, ჟენევაში გაერო-ს განყოფილებასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად - გიორგი გომიაშვილი.

ეს უკანასკნელი ამჟამად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეა. ვიქტორ დოლიძე კი ევროკავშირსა და ნატო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილედ მუშაობდა, ხოლო ბოლო ხანს უშიშროების საბჭოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში საქმიანობს.

**"კარგი ახალგაზრდა დიპლომატები არიან,"** - ასე ახასიათებს მომავალ ელჩებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | 26/4 | 27/4 | 28/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 17 | 18 | 26 |
| ქუთაისი | 17 | 21 | 24 |
| ბათუმი | 11 | 20 | 21 |
| სოხუმი | 18 | 23 | 22 |
| ფოთი | 16 | 23 | 23 |
| თელავი | 16 | 17 | 25 |
| ზუგდიდი | 19 | 23 | 24 |
| გორი | 12 | 14 | 21 |
| ახმეტა | 16 | 18 | 26 |
| ჭიათურა | 13 | 17 | 23 |
| გაგრა | 19 | 22 | 21 |
| სამტრედია | 16 | 21 | 24 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8250 |
| ევრო | 2.3736 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.4901 |
| რუბლი | 0.0658 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | კვირა | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |

# რატომ დევს გამოუყენებლად 4 600 ვაქცინა?

*ტელევიზიით გავრცელებულმა ინფორმაციამ, თბილისში ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინების დეფიციტის შესახებ, მოსახლეობაში შეშფოთება გამოიწვია. მართლაც, ერთი კვირაა, დედაქალაქის ანტირაბიულ კაბინეტებს ვაქცინები არ მიუღია. არადა, ფირმა "მედინსერვში" (რომელსაც წინა წლებში ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინები შემოჰქონდა) 4 600 ვაქცინა გამოუყენებლად დევს. ჯანდაცვის სამინისტრო ამ ვაქცინების გამოყენებას არ აპირებს და აცხადებს, რომ საამისოდ სერიოზული საფუძველი გააჩნია.*

ნანა ქადაგიშვილი

2005 წლიდან, ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა ანტირაბიული კაბინეტების ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინებით მომარაგება ქვეყნის მასშტაბით ითავა (მანამდე თბილისში ამ ფუნქციას ჯანდაცვის საქალაქო სამსახური ასრულებდა). ფონდის ახალი ხელმძღვანელობა გვპირდებოდა, რომ ამიერიდან, წინა წლებში არსებული პრობლემები აღარ განმეორდებოდა.

გასულ წლებში ამ სფეროში მართლაც სრული ქაოსი იყო. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ყოველთვის აცხადებდა, რომ ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინები საკმარისი რაოდენობით შემოჰქონდა. თუმცა, საკმაოდ ხშირად, განსაკუთრებით - რაიონების სამედიცინო დაწესებულებებში, ვაქცინა არ იყო. აფთიაქები, რომელთანაც საავადმყოფოს ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, ვაქცინების საავადმყოფოებში მიტანით თავს არ იწუხებდნენ, რადგან სახელმწიფო ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებას თვეობით უგვიანებდა.

თბილისში ეს პრობლემა შედარებით უკეთ იყო მოგვარებული, რადგან ვაქცინების ტრანსპორტირებას დიდი ხარჯები არ სჭირდებოდა. სამაგიეროდ, დედაქალაქის საავადმყოფოებში ვაქცინების უქონლობას სხვა მიზეზები ჰქონდა. საავადმყოფოს ექიმი აფთიაქის თანამშრომელს შეეკვრებოდა და საავადმყოფოში შეტანილ უფასო ვაქცინას აფთიაქში ყიდდა.

2005 წლის დასაწყისში სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელობა აღნიშნული პრობლემების მოგვარებას გვპირდებოდა. **"ქვეყანაში არსებულ ყველა ანტირაბიულ კაბინეტს ვაქცინებით უზრუნველვყოფთ და საბიუჯეტო თანხების ხარჯვასაც მაქსიმალურად გავაკონტროლებთ. ყველა საავადმყოფოს დაურიგდება ანკეტები, სადაც აღნიშნული უნდა იყოს აცრილი პაციენტის ვინაობა, აცრის გაკეთების თარიღი და პაციენტის მიერ წერილობითი დასტური, რომ მას აცრა უფასოდ ჩაუტარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩატარებულ სამუშაოს არ დავაფინანსებთ. თუკი ვინმე აღმოაჩენს, რომ რომელიმე საავადმყოფოში ვაქცინა არ არის, ან უფასო აცრაში ფული გამოართვეს, აუცილებლად დაგვიკავშირდით. დამნაშავე მკაცრად დაისჯება,"** - განგვიცხადა ფონდის დირექტორის მოადგილემ ვახტანგ სურგულაძემ.

გასულ კვირას კი, ძველმა პრობლემებმა ისევ იჩინა თავი - ერთი კვირაა, ანტირაბიულ კაბინეტებს ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინები არ მიუღია. ქალაქში ერთადერთი ანტირაბიული კაბინეტი (ინფექციურ საავადმყოფოში არსებულ იმუნიზაციის ცენტრში) ფუნქციონირებს, სადაც მოსკოვის წარმოების ვაქცინებით აცრა უფასოა, ფრანგულით კი - ფასიანი (ბავშვებისთვის ნებისმიერი ვაქცინით აცრა უფასოა). არადა, ფირმა "მედინსერვს" 4 600 ვაქცინა გამოუყენებლად უდევს. ჯანდაცვის სამინისტროში კი აცხადებენ, რომ სწორედ ეს ვაქცინებია ანტირაბიული კაბინეტების უვაქცინოდ დარჩენის მიზეზი.

**"ვაქცინების შემოტანაზე გამოცხადებულ ტენდერში "მედინსერვიც" მონაწილეობდა, მაგრამ მისმა წინადადებებმა სატენდერო პირობები არ დააკმაყოფილა. სატენდერო პირობები 70 ათასამდე ვაქცინის შემოტანას ითხოვდა. კომისიამ გადაწყვიტა, ეს ვაქცინები მოსკოვის წარმოების ყოფილიყო. "მედინსერვმა" 64 ათასი ახალი ვაქცინის შემოტანა და 4 ათასი ადრე შემოტანილი, მოკლევადიანი ვაქცინის გამოყენება შემოგვთავაზა. თანაც, ამ ვაქცინების ნაწილი მოსკოვურია, ნაწილი - ქალაქ უფაში წარმოებული. ამ ქალაქის მიერ წარმოებულ ვაქცინებს კი, ხარისხით, მოსკოვური ბევრად სჯობს. ამიტომაც, "მედინსერვს" უარი ვუთხარით. მან კი შესყიდვების სააგენტოში გვიჩივლა, რის გამოც ტენდერის პროცესი გაჭიანურდა. თუმცა, კვირის ბოლოს, სააგენტოსთან შეთანხმებით, ტენდერის ხელახალი შეფასება მოხდება. ვაქცინების შემოტანას კი მანამდეც, დღეს ან, მაქსიმუმ, ხუთშაბათს მოვახერხებთ, ერთ-ერთი ფირმისგან ვისესხებთ,"** - განგვიცხადა ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამების ვალდებულებათა აღრიცხვისა და პროგნოზირების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მიხეილ პავლიაშვილმა. თუმცა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, შესყიდვების სააგენტომ "მედინსერვს" ხელახალ ტენდერში მონაწილეობის ნება დართო. შესყიდვების დეპარტამენტის თავმჯდომარემ გელა ლონლაძემ განგვიცხადა, რომ "მედინსერვის" წინადადებები სატენდერო მოთხოვნებს პასუხობდა და სააგენტომ ასეთი გადაწყვეტილება ამიტომაც გამოიტანა.

**P.S.** ანტირაბიული კაბინეტების ვაქცინებით მომარაგების პრობლემა დროებით მოგვარდა. გუშინ ჯანდაცვის საქალაქო სამსახურმა შარშანდელი შემორჩენილი 1 100 ვაქცინა ანტირაბიულ კაბინეტებსა და ფონდს გადაუნაწილა.



## განცხადება კონკურსის შესახებ

სახელმწიფო შესწყიდვების სააგენტო “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის საფუძველზე პერიოსული საინფორმაციო საშუალების შერჩევის მიზნით ატარებს კონკურსს. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. საგაზეთო ფართის 1 სმ²-ის ღირებულება.
2. პერიოდულობა და გავრცელების არეალი.

დაინტერესებულმა პირებმა თავიანთი წინადადებები დახურული კონვერტით უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 4 მაისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი გამსახურდიას გამზ. №28, მე-4 სართული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

წარმოდგენილი კონვერტები გაიხსნება 2005 წლის 4 მაისს 18 საათზე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად**
**გთხოვთ დაგვიკავშირდეთ**
**ტ: 38-21-84.**


# ელჩების ადგილმონაცვლენი უკვე შერჩეული არიან

პირველი გვერდიდან

სულ ცოტა ხანში, საზღვარგარეთ კიდევ ერთი ქართველი პოლიტიკოსი გაემგზავრება, ოღონდ, გომიაშვილისა და დოლიძისაგან განსხვავებული მიზნით - პარლამენტარი გიორგი ყარყარაშვილი პარლამენტს მიმართავს განცხადებით, რომ სადეპუტატო უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს, რადგან უცხოეთში სამკურნალოდ აპირებს წასვლას.

ბიუროს გუშინდელი სხდომა საკმაოდ მშვიდად წარიმართა, თუ არ ჩავთვლით ერთ საკითხს, რომელშიც მთავრობა და პარლამენტი ჯერ კიდევ წინა კვირას დაუპირისპირდა ერთმანეთს. აღმასრულებელი ხელისუფლება კატეგორიულად ეწინააღმდეგება საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლითაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების გასაშუქებლად მივლინებულ ჟურნალისტებს ვეტერანის სტატუსი მიენიჭებათ.

მთავრობის საპარლამენტო მდივანი გიორგი ხუროშვილი დარწმუნებულია, რომ როგორც კი გარკვეულ კატეგორიას მოხალისის სტატუსი შეეცვლება, უმალ გამოჩნდება ხალხი (მაგალითად, მემანქანეები), რომლებიც ანალოგიურ შეღავათებს მოითხოვენ. ხუროშვილის აზრით, ჯერ უნდა დასრულდეს ომის მონაწილეთა ხელახალი რეგისტრაციის პროცესი და ჟურნალისტებისთვის ომის ვეტერანის სტატუსის მინიჭების საკითხს მთავრობასა და პარლამენტში ამის მერე დაუბრუნდნენ.

აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიციას ზოგიერთი დეპუტატიც იზიარებს. **"როდესაც გაზეთის რედაქტორი ვიყავი, ყოველ კვირას რამდენიმე ჟურნალისტს ვგზავნიდი მივლინებით ომში. ფრონტის ხაზზე მეც არაერთხელ ჩავსულვარ. სადღაც წახვიდე, რაღაც სტატია დაწერო და ამისთვის პრივილეგიები მოითხოვო, არასწორია,"** - აცხადებს მეცნიერებისა და განათლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი.

მისგან განსხვავებით, პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ იმ ჟურნალისტებს, რომლებიც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტებს აშუქებდნენ, პრივილეგიები უნდა შეუნარჩუნდეთ, ოღონდ, ვეტერანთა წრე ისე არ უნდა გაფართოვდეს, რომ სახელმწიფომ მათ წინაშე აღებული ვალდებულებები ვეღარ შეასრულოს.



პარლამენტის ბიურო ჟურნალისტების ვეტერანებთან გათანაბრებაში შუალედური პოზიციის დაკავებას ცდილობს.

# ნარკოპოლიტიკის განსაზღვრის პირველი მცდელობანი

## სრულფასოვანი ცხოვრების დაწყებას მხოლოდ მეტადონი ვერ უშველის

*ორ კვირაში ამოქმედდება ჩანაცვლებითი თერაპიის მეტადონური პროგრამის პილოტური პროექტი, რომლის მიხედვით სამოცამდე ქართველი ნარკომანი და ნარკოტიკის მომხმარებელი ერთგვარი ექსპერიმენტის მონაწილე გახდება. სამკურნალო კონტინგენტი მკაცრად და ანონიმურად შეირჩევა. ჯერჯერობით, ნარკოლოგები მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ ამ დაავადებისგან თავდახსნის მსურველთა რაოდენობა ძალიან დიდია. მკურნალობის შედეგი ერთნაირად აინტერესებთ მათ, ვისაც კოკაინის დოზის გარეშე ცხოვრება აღარ ძალუძთ და მათ, ვისაც პაციენტების განკურნების დასავლური გამოცდილება აიმედებს.*

ირმა კახურაშვილი

ოფიციალურად, საქართველოში 20 ათასამდე ნარკომანი და ნარკოტიკის მომხმარებელია რეგისტრირებული. სინამდვილეში, მათი რაოდენობა 250 ათასს აღწევს. კატასტროფული მაჩვენებლის მიუხედავად, ქვეყანას საკუთარი ნარკოპოლიტიკა დღემდე შემუშავებული არ აქვს. ნარკოტიკებთან დაკავშირებული ნებისმიერი სფერო - კანონმდებლობა, ნარკომანის მკურნალობა თუ პრობლემისადმი საზოგადოებრივი მიდგომა ლაფსუსებითაა სავსე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ამ პრობლემას არ ცნობს ან ცნობილი მიზეზის გამო, უბრალოდ, თვალს ხუჭავს - სხვა ბიზნესთან შედარებით, ნარკობიზნესის მასშტაბები ყველაზე სოლიდურია და, როგორც წესი, მის აყვავებაში რიგით მოქალაქეებს საკმაოდ მცირე წვლილი მიუძღვით.

ნარკომანიასთან დაკავშირებული პრობლემის არსებობა ეკლესიამაც კი აღიარა. რამდენიმე თვის წინ საპატრიარქოში შეიქმნა სპეციალური ფონდი, რომლის მესვეურნიც ახლო მომავალში პრაქტიკულ საქმიანობასაც გეგმავენ. სულ მალე, ქალაქგარეთ ამოქმედდება ევროპული ტიპის სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც ნარკომანები და ნარკოტიკების მომხმარებლები მათთვის აუცილებელ დახმარებას მიიღებენ. სახელმწიფოს ამ საქმეში მიზერული წვლილი აქვს. ის ცენტრისთვის შენობას ან თანხის ნაწილს გამოჰყოფს და ამით შემოიფარგლება. ერთადერთი, რითაც ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებს შეუძლიათ დაიტრაბახონ, ის არის, რომ ნებისმიერ პროექტში, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად, ნარკოტიკებს ეხება, სახელმწიფო უწყების რომელიმე წარმომადგენელია ჩართული.

გარდა ამისა, წლების განმავლობაში ჩვენს სახელმწიფოს ვერ გაურკვევია, სად უნდა ჩადოს თანხა, რომ მეტი ეფექტი მიიღოს - ნარკომანიის პრევენციაში თუ ძალოვან სტრუქტურებში, სადაც დღევანდელი კანონსივრციდან გამომდინარე, ნარკომანს დამნაშავედ და არა ავადმყოფად მიიჩნევენ.

სამოქალაქო განათლების ცენტრის "ახალი გზის" ხელმძღვანელი დალი ურუშაძე ფიქრობს, რომ ნარკომანიასთან ბრძოლაში მთავარი სამი მიმართულებაა: პრევენციული ღონისძიებები, მკურნალობა და სოციალური რეაბილიტაცია. თუ ეს საკითხები მოგვარებულია, მაშინ სახელმწიფოში ყველაფერი რიგზეა. რა ხდება ჩვენთან? სახელმწიფო არც პრევენციულ ღონისძიებებს ატარებს და არც მკურნალობა-რეაბილიტაციის სფეროში გამოირჩევა ნოვაციებით. ქართველ ნარკომანს განკურნების ნაკლები შანსი აქვს, მით უმეტეს, თუ ის რაიონში ცხოვრობს. საქმე ისაა, რომ ნარკოდამოკიდებულების მკურნალობაზე ორიენტირებული სამივე სამკურნალო დაწესებულება თბილისშია თავმოყრილი. "თანაც, ეს დაწესებულებები რა პირობებს გვთავაზობენ? პაციენტმა სახლიდან უნდა მოიტანოს თეთრეულიცა და წამალიც. რა ქნას, ვთქვათ, სვანეთიდან ჩამოსულმა ადამიანმა, რომელსაც, საწოლების სიმცირის გამო, ექიმები ორი კვირის შემდეგ იბარებენ? ის თბილისში, შესაძლებელია, აღარც ჩამოვიდეს და მკურნალობის სურვილი საერთოდ დაკარგოს," - ვარაუდობს დალი ურუშაძე.

მეორე სერიოზული პრობლემა მკურნალობის ხელმისაწვდომობა და ეფექტურობაა. ორკვირიანი მკურნალობა პაციენტს 1000 ლარამდე უჯდება, თუმცა იმის გარანტიას, რომ ნარკოდამოკიდებულება მთლიანად მოიხსნება, არავინ იძლევა. ტრადიციული სამკურნალო პროგრამები ნაკლებად ეფექტურია. ნარკოტიკების მიღების სავსებით შეწყვეტას წამალდამოკიდებულთა მხოლოდ 5 პროცენტი ახერხებს. წარმატებული მკურნალობის შემთხვევაშიც კი, ყოფილ ნარკომანს ცხოვრება მძიმე სოციალურ გარემოში მოუწევს. თუკი ადრე მისი ცხოვრების მიზანი ნარკოტიკის შოვნა და "გაკეთება" იყო, ახლა იმ საზოგადოებას უნდა აუწყოს ფეხი, რომელსაც მისი პრობლემები არასოდეს აინტერესებდა და "მისთანებს" ყოველთვის გულგრილად ეკიდებოდა.

ორიოდე დღის წინ, საქართველოში მოქმედ ანტინარკოტიკული კოალიციის ერთ-ერთ შეკრებაზე გადაწყდა, რომ 26 ივნისს გაიმართება ფესტივალი, სადაც მონაწილეობას პოპულარული მომღერლები მიიღებენ. ამ ერთჯერად ანტინარკოტიკულ კამპანიას გერმანიის საელჩო დააფინანსებს. **"მაგრამ ამით საზოგადოების ყურადღებას მხოლოდ დროებით მივიქცევთ... პრევენციული ღონისძიებები ყველაზე მცირეასაკოვან ბავშვებზე უნდა ვრცელდებოდეს. მომავალ თაობას უნდა შთავუნერგოთ, რომ ნარკოტიკი ცუდია. სხვათა შორის, ასეთი პროექტიც დაფინანსების მოლოდინშია."** - ამბობს დალი ურუშაძე. მისი აზრით, მომხმარებელთა შორის უამრავია ისეთი, ვისაც ნარკოტიკებზე უარის თქმა სურს, მაგრამ არ სჯერა, რომ სრულფასოვნად უმკურნალებენ. რამდენიმე დღის წინ, "ახალ გზაში" ერთ-ერთი ნარკომანის დედა მისულა, რომელსაც შვილისთვის შეუთავაზებია, ფულს ვიშოვი და იმკურნალეო. ვაჟიშვილს ხელი ჩაუქნევია: ეს წყალში გადაყრილი ფულიაო, იქიდან გამოვალ და ისევ "გავიკეთებო."

ადამიანები, რომლებმაც რამდენიმეჯერ უშედეგოდ იმკურნალეს, ანდა არც სურთ მკურნალობა, ფულს კრიმინალური გზით შოულობენ. ამიტომაც, სამართალდამცველები მათ დამნაშავეებად აღიარებენ. მაგრამ ეს პრობლემის ერთი მხარეა. საბოლოოდ, ესეც კორუფციის წყარო ხდება. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით არც ერთი საქმე არ აღძრულა. წარმოიდგინეთ, ამ არაღძვრისთვის ვიღაცებმა რამდენი თანხა ჩაიჯიბეს. მრავალი ქვეყნის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ პრობლემას არც სასჯელის გამკაცრება აგვარებს.

**"ნეტავ იცოდეთ, როგორ მოუთმენლად ელიან ნარკოტიკების მომხმარებლები მეტადონური პროგრამის ამოქმედებას. ისინი კონფიდენციალურად გაფორმდებიან კლინიკებში და ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად, ექიმის მეთვალყურეობით, თავიანთ დოზას მიიღებენ. ასეთ ადამიანებს ნაკლები პრობლემა ექნებათ ოჯახში, სამსახურში, არ შეეშინდებათ პოლიციის, ისინი აღარ იქნებიან ჩართული ნარკობრუნვაში და არც ნარკოტიკების მოპოვებისთვის ჩაიდენენ დანაშაულს,"** - დარწმუნებულია "ახალი გზის" ხელმძღვანელი.

თუმცა, ჩანაცვლებით თერაპიასაც აქვს თავისი ნაკლოვანებები. იგი წამალზე დამოკიდებულებას არ ხსნის. სამაგიეროდ, შემცვლელი პრეპარატები ადამიანს სრულფასოვანი ცხოვრების საშუალებას აძლევს და მის ჯანმრთელობას ნაკლებ ზიანს აყენებს.

რა შეიძლება ითქვას მეტადონური პროგრამის პრაქტიკულ შედეგებზე? დანახარჯებისა და შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ მსგავს პროგრამაში ჩადებული ყოველი თეთრი სამედიცინო სფეროში 5 დოლარამდე ზოგავს. აშშ-ში ჩანაცვლებითი თერაპიის საშუალო ღირებულება ერთ ავადმყოფზე წელიწადში 4 ათას დოლარს შეადგენს, მაშინ, როცა სახელმწიფოს პატიმრის შენახვა წელიწადში 40 ათას დოლარამდე უჯდება. 90-იან წლებში მეტადონურ პროგრამაში ჩართულ ნარკოტიკების მომხმარებელთა მხოლოდ 3,5 პროცენტი დაავადდა შიდსით. სხვათა შორის, საქართველოც მეტადონური პროგრამისთვის თანხის გამოყოფას შიდსს უნდა "უმადლოდეს". ჩანაცვლებითი თერაპიისთვის გამოყოფილი ფული გლობალფონდის მიერ გამეტებულ 12-მილიონიან (ტუბერკულოზი-მალარია-შიდსის აღსაკვეთად) გრანტში შედის.

**"ამ პრობლემის გადაჭრა საზოგადოებაზეც არის დამოკიდებული. ნარკოტიკების მომხმარებელთა მშობლებსა და ახლობლებს კი სირაქლემის პოზა აქვთ არჩეული. პრობლემა კი არ უნდა დავმალოთ, უნდა ვაღიაროთ და ერთად ვიფიქროთ, როგორ შეიძლება მისი გადაჭრა,"** - ასკვნის დალი ურუშაძე.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე, პარტიის გენერალური მდივანი დავით საგანელიძე და საერთაშორისო მდივანი გიორგი მოსიძე საბერძნეთში გაემგზავრნენ. ისინი საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის აღმასკომის სხდომაში მიიღებენ მონაწილეობას.

აღნიშნული კავშირი მემარჯვენე მიმართულების პოლიტიკური პარტიების მსოფლიო გაერთიანებაა. კავშირის აღმასკომის სხდომაზე "ახალი მემარჯვენეების" ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხი გადაწყდება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სამხედრო ძალების ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოების მიზნით, ეროვნული გვარდიის შტაბის 46-მა ოფიცერმა მორიგი სწავლება დაიწყო.

წვრთნებს მათ აშშ ჯორჯიის შტატის გვარდიის ექსპერტთა ჯგუფი უტარებს. ეს სწავლების მესამე ეტაპია, რის შემდეგაც ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, გაგრძელდება თუ არა მსგავსი წვრთნები შტაბში.

სწავლება 4 დღეს გაგრძელდება. ამ პერიოდში ეროვნული გვარდიის მმართველობის ოფიცრები და უკვე გაწვრთნილი რეზერვისტთა ბატალიონების შტაბის უფროსები როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მომზადებას გაივლიან საშტაბო მუშაობის დახვეწისა და განვითარების მიზნით.

4-დღიან სწავლებას ეროვნული გვარდიის ოცი ოფიცერი და რეზერვისტთა ბატალიონების შტაბის უფროსები ესწრებიან.

ამერიკელები ქართველ ოფიცრებს სამხედრო ბრძანების გაცემის ტაქტიკასა და საბრძოლო დოკუმენტებთან მუშაობას ასწავლიან. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე დასასწრებად მიემგზავრება.

საქართველოს საკითხი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე არ განიხილება, თუმცა დელეგაციის ხელძღვანელის გიგა ბოკერიას განცხადებით, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრებს სხვადასხვა შეხვედრები აქვთ დანიშნული, მათ შორის - ევროსაბჭოს ხელმძღვანელობის ეგიდით დაგეგმილი შეხვედრა რუსეთის საპარლამენტო დელეგაციასთან. საპარლამენტო ასამბლეა ერთ კვირას გასტანს **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტთან, ე.წ. სამთავრობო ინფორმაციისა და მედიის სამმართველო შეიქმნა, რომლის უფროსად ქრისტიან ბჟანია დაინიშნა. სერგეი ბაგაფშის ბრძანებულების თანახმად, ტელევიზია სახელმწიფო კომპანია "აფხაზსვიაზ"-ის შემადგენლობაში აღარ იქნება და ახალ სამმართველოს დაექვემდებარება. ახლად შექმნილი სამმართველოს სტრუქტურებში მედიის საშუალებებზე ზედამხედველობის სამსახური შეიქმნა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-თურქეთის საზღვარზე, რეგიონული სამმართველოს სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "სარფში" მესაზღვრეებმა სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისას დააკავეს საქართველოს მოქალაქე. იგი ყალბი პასპორტით ცდილობდა, საქართველოს ტერიტორია გადაეკვეთა თურქეთის მიმართულებით. აღნიშნული პირი შინაგან საქმეთა სამინისტროს "აჭარის" საგამოძიებო სამსახურს გადაეცა და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ღონისძიების შედეგად მძიმე დანაშაულისთვის ხუთჯერ ნასამართლევი, ზესტაფონში მცხოვრები თემურ თოლორაია დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, თოლორაია სხვა პირებთან ერთად 6000 ლარს სძალავდა ზესტაფონის "ფეროშენადნობთა ქარხნის" დირექტორის მოადგილეს ბესიკ დათიაშვილს. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს შს სამინისტროს იმერეთის საგამოძიებო ნაწილი იძიებს. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გაითაკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ციხელაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა ნიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ზაირა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ახალი გამგებლის ძველი პრობლემები

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

ბოლო წლებში ოზურგეთის გამგებელი რამდენჯერმე შეიცვალა. სულ ბოლო, ანუ ახალი, ვალერი ჩიტაიშვილი ორიოდ თვეა, შეუდგა ამ პოსტზე საქმიანობას. ბუნებრივია, საინტერესოა, რა განწყობით და გეგმებით შეუდგა საქმეს კაცი, რომელსაც არც თუ ისე დიდი გამოცდილება აქვს.

**"რა თქმა უნდა, გასიგრძეგანებული მაქვს, თუ რა ვითარებაა დღეს ოზურგეთის რაიონში და რას ნიშნავს ის პასუხისმგებლობა, რომელიც დამეკისრა. ბოლო სამი წლის მანძილზე, რაიონის ერთ-ერთ დიდ სოფელს, შემოქმედს ვხელმძღვანელობდი, რაიონის ასოცირებული საკრებულოს წევრი ვიყავი და, ბუნებრივია, პრობლემებს ახლოს ვიცნობ,"** - ამბობს ვალერი ჩიტაიშვილი; თუმცა ამ ეტაპზე მას მაინც უწინარეს ამოცანად მიაჩნია, სიღრმისეულად გაეცნოს შექმნილ ვითარებას, დასახოს სწორი მოქმედების გეგმა, რადგან ექსპერიმენტების დრო აღარ არის. რაიონის ბიუჯეტის პროექტის განხილვა-დამტკიცებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ პრიორიტეტებს, რომელთა მოგვარებაც საშურია. პირველ რიგში გზები უნდა გაკეთდეს, ქალაქის ცალკეული ქუჩები დაბომბილს ჰგავს, მოუწყობელია სოფლებში მისასვლელები. გზა თავისებური სავიზიტო ბარათია. აქაური დანგრეული გზები საქმიან ხალხს აქ არათუ ბიზნესის კეთებას, საერთოდ მეორედ ჩამოსვლის ხალისს დაუკარგავს. მაისიდან ოზურგეთში გზების საფუძვლიანი შეკეთება დაიწყება.

**"მეორე პრობლემა, რომელსაც უახლოეს პერიოდში გადავწყვეტთ, მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა იქნება. მხარის რწმუნებულის ჟანი კალანდაძის ენერგიული მცდელობის შედეგად, ოზურგეთის თვითდინებითი წყალმომარაგების პროექტის განსახორციელებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 1,5 მილიონი ლარი, შედგა წყალსადენის პროექტი, ხარჯთაღრიცხვა. ამჟამად მიმდინარეობს საექსპერტო სამუშაოები, რის შემდეგაც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი პროექტს წარადგენს მსოფლიო ბანკში ტენდერის გამოსაცხადებლად. ამასთან ერთად, გაგრძელდება რაიონის გაზიფიკაციის სამუშაოები. უკვე არიან პირველი მომხმარებლები. ამ ეტაპზე რაიონულმა გამგეობამ, ავანსის სახით, გასცა 20 000 ლარი, რის შედეგადაც ქალაქის კიდევ ორ ქუჩაზე დაიწყება დაბალი წნევის გაზსადენის მშენებლობა,"** - აცხადებს ვალერი ჩიტაიშვილი.

გარდა ზემოთქმულისა, გამგებლის თქმით, სათანადო ყურადღება დაეთმობა სოციალური და კულტურული საკითხების მოგვარებას, აქაც გამოკვეთილია შესაბამისი პრიორიტეტები.

განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება რაიონის ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას, საბიუჯეტო შემოსავლების მატებას, რაციონალურ ხარჯვას. ამ თვალსაზრისით ერთგვარ რეზერვს წარმოადგენს ჩაის დამზადებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მოცულობის, ადგილობრივი წარმოების პროდუქტების ზრდა, აგრარული სექტორის სტიმულირება, შავი ზღვისპირა საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა, საგადასახადო ბაზის გაფართოება და ა.შ.

რაიონის ახალ გამგებელს თავისებური ხედვა აქვს გამგეობისა და მისი აპარატის მუშაობის სპეციფიკაზე. მისი ინიციატივით უკვე შემუშავებულია გამგეობის მოხელეთა საატესტაციო კომისიის დებულება და ატესტაციის პროგრამა, რომლის საფუძველზე საჯარო მოსამსახურეები საფუძვლიან შემოწმებას გაივლიან პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის შეფასების თვალსაზრისით. ატესტაცია აპრილის მიწურულს დასრულდება. ჩიტაიშვილი იმედოვნებს, რომ ატესტაციის შედეგად გამოვლინდება გამგეობის ის ბირთვი, რომელიც ეფექტიანად და შედეგიანად იმუშავებს.

საერთოდ, ოზურგეთის რაიონის გამგებელს იმედიანი განწყობილება აქვს და დარწმუნებულია, რომ სამხარეო ადმინისტრაციის თანადგომითა და დახმარებით ბევრ საქმეს დაძრავს მკვდარი წერტილიდან, სხვა გამოსავალი არც არსებობს. ოზურგეთს გააჩნია საკმაო ადამიანური და ბუნებრივი რესურსი, რომ მიწყივ გაჭირვებაში არ ცხოვრობდეს.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4
რადიო-მოგზაურთა კლუბი „მწვანე ტალღაზე"
მოისმინეთ გადაცემაში „რადიო დილა"



### მე ავირჩევდი მადრიდს . . .

წამყვანები: ქეთევან კორძახია, გაგა ჯობრონიძე
სტუმარი, რადიო ბილი: მანანა სალუქვაძე, ესპანური ენის სპეციალისტი, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტების აღმასრულებელი კოორდინატორი.

მანანა სალუქვაძე: ჩემთვის ესპანური ენა ულამაზესია. ალბათ წინა ცხოვრებაში ესპანელი ვიყავი. რაც შეეხება საქართველოს და ესპანეთის კულტურულ ურთიერთობებს, ალბათ ესპანეთში ჩვენი საელჩოს გახსნასთან ერთად ეს საქმე წინ წაიწევს. სამწუხაროდ,ესპანური ენა საქართველოში პრიორიტეტი აღარ არის.
რაც შეეხება კორიდას, ის ესპანელებისთვის უფრო ბალეტია, ვიდრე სისხლიანი ბრძოლა. ბოლო პერიოდში ქალი ტორეადორიც გამოჩნდა, რომელიც თავისი შემართებით ტოლს არ უდებს კაც ტორეადორებს.

# მიდიან!

## მოსკოვი თანახმაა, ბაზების გაყვანის პროცესი წელსვე დაიწყოს

პირველი გვერდიდან

დათმობებზე წასვლა ქართულ მხარესაც მოუხდა - იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთი საქართველოდან აბარგებას ინებებს, რუსეთის სამხედროების რაღაც ნაწილი აქ მაინც დარჩება. გუშინდელი გადაწყვეტილებით, რომელიც პრესკონფერენციაზე ლავროვმა გაახმოვანა, საქართველოში განლაგებული რუსული ბაზების ნაწილი ქართულ-რუსული ანტიტერორისტული ცენტრის შესაქმნელად იქნება გამოყენებული. **"ამის თაობაზე ორი ქვეყნის სპეცსამსახურებს შორის მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და უახლოეს პერიოდშიც გაგრძელდება,"** - აღნიშნა ლავროვმა.

რუსული ბაზების გაყვანის პირველ ეტაპზე საქართველოს მძიმე ტექნიკა დატოვებს, ამის პარალელურად კი, ანტიტერორისტული ცენტრის ჩამოყალიბება დაიწყება.

ბაზების გარდა, საქართველოსა და რუსეთის საგარეო უწყებების ხელმძღვანელებს სხვა არაერთი სადავო საკითხი ჰქონდათ განსახილველი და, მათივე თქმით, აქაც გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს.

დამატებითი იმპულსი გაჩნდა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის "საუკუნოვანი" პრობლემის გადაწყვეტაში და, ასევე - რუსეთ-საქართველოს შორის მოქმედი სავიზო რეჟიმის საკითხშიც. თუმცა, კონკრეტულად რა ძვრებსა და იმპულსებზეა საუბარი, ჯერჯერობით, მხარეები არ ამბობენ.

ორი ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ შეთანხმდნენ იმაზე, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტები მშვიდობიანად, გაერო-სა და ეუთო-ს ხელშეწყობით უნდა მოგვარდეს.



მინისტრები კმაყოფილნი ჩანდნენ.

გუშინდელ შეხვედრაზე რამდენიმე დღის წინ გალის რაიონში მომხდარ ტრაგიკულ ინციდენტსაც შეეხნენ, რომლის დროსაც საქართველოს მოქალაქე ლაშა რიგვავა რუსი მშვიდობისმყოფელის ტყვიით იქნა მოკლული. რუსული მხარე აფხაზური პროკურატურის ვერსიას ეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ნასვამი ლაშა რიგვავა რუსი ჯარისკაცისთვის იარაღის წართმევას აპირებდა, ამ უკანასკნელს კი სხვა გზა არ ჰქონდა და გაისროლა. ქართული მხარე ამ ვერსიას არ ეთანხმება და ერთობლივი გამოძიების დანიშვნას ითხოვს. გუშინდელ მოლაპარაკებებზე ქართული მხარის აღნიშნული წინადადება ლავროვმა უპირობოდ მიიღო. **"ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, დასკვნებისგან თავი შეიკავონ და გამოძიების შედეგებს დაელოდონ,"** - აღნიშნა ლავროვმა, რომელმაც დაღუპულის ოჯახს მიუსამძიმრა. **"მსგავსი ფაქტები აღარ უნდა განმეორდეს,"** - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

რუსული პრესა მოსკოვში გუშინ გამართული მოლაპარაკებების შედეგებს საქართველოს გამარჯვებად აფასებს და ბაზებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას "სენსაციურს" უწოდებს. **"ლავროვის გუშინდელი განცხადებები ძირფესვიანად განსხვავდება იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც კრემლი საქართველოში განლაგებულ ბაზებთან დაკავშირებით წლების განმავლობაში იცავდა,"** - წერს ინტერნეტ-გაზეთი "გაზეტა.რუ". **"საქართველომ რუსეთს მოუგო: რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა საქართველოდან წელსვე დაიწყება,"** - წერს გაზეთი "პრავდა". გაზეთი "ვრემია ნოვოსტეი" იმ სანქციებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც მაშინ ამოქმედდება, თუ რუსეთის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკება მარცხით დასრულდება. კერძოდ: საქართველო 15 მაისიდან, ცალმხრივი წესით რუსული სამხედრო ბაზების ბლოკირებისთვის მზად არის.

ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა გუშინ საქართველოს პრეზიდენტის მოსკოვში შესაძლო ვიზიტზეც ისაუბრეს. სალომე ზურაბიშვილის თქმით, ჯერჯერობით უცნობია, დაესწრება თუ არა მიხეილ სააკაშვილი მოსკოვში 9 მაისს, გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას. **"თუ აღდგომამდე დარჩენილი ერთი კვირის განმავლობაში რუსი და ქართველი ექსპერტები კარგად იმუშავებენ და მნიშვნელოვან შედეგს მივაღწევთ, მაშინ პრეზიდენტი, ალბათ, მოსკოვს ეწვევა,"** - განაცხადა ზურაბიშვილმა.

# "დეტალებზე ჯერ ვერ ვისაუბრებთ"

პირველი გვერდიდან

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ნატო-სთვის უმნიშვნელოვანესია საქართველოში არა მხოლოდ ქართული არმიისა და ჯარის მშენებლობა, არამედ სამოქალაქო კონტროლის განხორციელება თავდაცვის სფეროზე, რაშიც საქართველოს პარლამენტს განსაკუთრებული როლი აქვს მინიჭებული.

მისივე თქმით, ნებისმიერი რეფორმის პროცესი გამჭვირვალედ უნდა მიმდინარეობდეს, რათა არც ერთ პოლიტიკურ პარტიასა თუ კონკრეტულ პიროვნებას კითხვის ნიშნები არ გაუჩნდეს. **"დღევანდელი კონფერენცია უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია საქართველოსთვის, რადგან რაც უფრო მეტი ღონისძიება ჩატარდება ნატო-ს ეგიდით, მით უფრო მეტი საშუალება ექნებათ ნატო-ს წარმომადგენლებს, გაიცნონ არსებული ვითარება საქართველოში,"** - ხაზგასმით აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.



ნატო-ს წარმომადგენელი კონკრეტიკისგან თავს იკავებს.

თბილისში ვიზიტზე და რეფორმების განხორციელებაზე რობერტ სიმონსმა მოკლე კომენტარი გააკეთა: **"საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს ნატოსთან. პროცესი კარგად მიმდინარეობს. ჩვენი მიზანი არა კრიტიკა, არამედ დახმარების გაწევაა. დეტალებზე ჯერ ვერ ვისაუბრებთ."**

თუმცა, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის დავით სიხარულიძის განცხადებით, საქართველოში ნატო-ს პროგრამა "IPAP"-ს გრიფი "საიდუმლო" უახლოეს 10 დღეში მოეხსნება და ის გახსნილად გამოცხადდება. **"IPAP"-ის პროგრამის ნაწილი შესრულებულია, ნაწილი - შესასრულებელი, თუმცა როგორც ნატო, ასევე საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევენ, რომ პროგრამა, შესაძლოა, საზოგადოებისთვის გახსნილად გამოცხადდეს. ამის შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას და არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალება მიეცემათ, თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებზე მონიტორინგი განახორციელონ,"** - განმარტა სიხარულიძემ.

ამას გარდა, რობერტ სიმონსი გუშინ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გიორგი ბარამიძეს შეხვდა. როგორც სიმონსმა შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მან ქართულ მხარეს ის შენიშვნები და რეკომენდაციები გააცნო, რომელიც ნატო-ს ხელმძღვანელობას აქვს. აღნიშნული რეკომენდაციები და შენიშვნები, ჯერჯერობით, დაფარულია და მათი გახმოვანება ან პრესისთვის გაცნობა ამ ეტაპზე არ იგეგმება.

როგორც ბარამიძე აცხადებს, 18 მაისს ბრიუსელში, 26+1 ფორმატში, ნატო-ს წევრი ქვეყნებისა და საქართველოს შეხვედრა გაიმართება, სადაც საქართველოს ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის შესრულების პერსპექტივები განიხილება.

ბარამიძის თქმით, ნატო-სთან პარტნიორობის ახალ ეტაპზე გადასვლა, სავარაუდოდ, 2006 წლის ბოლოსთვის იგეგმება. შესაძლებელია, ამ დროისთვის ამოქმედდეს ე.წ. ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო პროგრამა, რისი შესრულების შემდეგაც საქართველო, შესაძლოა, უკვე ნატო-ს წევრობის კანდიდატი გახდეს.

# წყალდიდობა დასავლეთ საქართველოში

პირველი გვერდიდან

ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებს და აცხადებს, რომ წვიმა გრძელდება, რის გამოც ზარალი შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს.

წყალდიდობის შედეგად დაზარალებული რაჭა-ლეჩხუმის რეგიონიდან გუშინ მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო. მძიმე მდგომარეობაა მესტიაშიც, სადაც მეწყერი ჩამოწვა. წყალტუბოს რაიონში კი 21 ოჯახის კარმიდამო მთლიანად დაიტბორა, 6 კი მეწყერსაშიშ ზონაშია.

უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა ხონის რაიონში, სადაც სასმელი წყლის სათავე ნაგებობები წყალმა წაიღო და რაიონს სასმელი წყლის მიწოდება შეუწყდა. რამდენიმე ოჯახი დაიტბორა ქუთაისშიც, ლესელიძის ქუჩაზე. ადიდებულმა მდინარე რიონმა ქალაქის ერთ-ერთ ქუჩასთან ჯებირი დაანგრია და კალაპოტიდან გადმოვიდა. წყალმა მთლიანად დატბორა ვარლამიშვილის ქუჩაზე ირემაძეების რვა და ბაბლუანების შვიდსულიანი ოჯახების საცხოვრებელი სახლები.

*24 საათი*

# "თავისუფლების ინსტიტუტი" აჭარაში მედიას სიტყვის თავისუფლებას ჰკარნახობს

## "შპარგალკად" კი ახალ სახელმძღვანელოს აწვდის

*უკვე გამოვიდა "თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ შედგენილი ორტომეული "გამოხატვის თავისუფლება", რომლის ავტორებად თამარ კინწურაშვილი, ლევან რამიშვილი, მაია ოქრუაშვილი და ამ ინსტიტუტის სხვა აქტიური წევრები გვევლინებიან. მოცემული სახელმძღვანელო, რომელიც მომავალი და მოქმედი ჟურნალისტებისთვის, მოსამართლეებისა და ადვოკატებისთვისაა განკუთვნილი, ღირებულია იმ მხრივ, რომ მოიცავს ქართული სასამართლოების მიერ გამოხატვის თავისუფლების სფეროში ბოლო რვა წლის განმავლობაში განხილულ გადაწყვეტილებებსა და მათ ანალიზს, რაც საქართველოში ამ ტიპის საქმეების მონაცემთა ბაზის შექმნის პირველი მცდელობაა. პირველი ნაწილი ეთმობა ევროპის საბჭოს პრეცედენტულ, ასევე აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. მეორე ნაწილში კი განხილულია საქართველოს სასამართლოების პრაქტიკა და კომენტარები ახლად მიღებულ კანონზე "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ".*

შორენა გოგირჩაიშვილი
რეზო ძნელაძე
ბათუმიდან

წიგნი ჯერ რეგიონებს და შემდეგ დედაქალაქს - ამ პრინციპით და წიგნებით სავსე ყუთებით ხელდამშვენებული შეხვდნენ "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებს.

პრეზენტაციამ ბოლოდროინდელი ქართული სინამდვილისთვის საკმაოდ უჩვეულო ამპლუაში - არაფორმალურად, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი სახეების თანდასწრებით ჩაიარა და სტუმარ-მასპინძლის აზრთა გაზიარება დროის სიმცირის მიუხედავად შედგა, მედიაში არსებული პრობლემების მოგვარების გზები ორივე მხარემ გამოძებნა: გამბედაობა თავისუფალი სიტყვისთვის საბრძოლველად. **" ვფიქრობ, რომ დღეს ცენტრალურ მედიაში გაცილებით პასიური ჟურნალისტები არიან და რეგიონები იძლევიან მაგალითს, თუ როგორ უნდა იბრძოლონ ჟურნალისტებმა უფლებების დასაცავად. მხედველობაში მაქვს აჭარის ტელევიზიის ირგვლივ არსებული ბოლოდროინდელი მოვლენები, სადაც ჟურნალისტებმა შესაშური სოლიდარობა გამოიჩინეს,"** - განაცხადა თამარ კინწურაშვილმა, რომელიც თვლის, რომ წიგნის პრეზენტაცია იმ ადამიანებთან უნდა მოხდეს, ვისთვისაც იწერება სახელმძღვანელო. **"ძალიან მნიშვნელოვანია ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებთან შეხვედრა, რადგან გაცილებით საინტერესოა მომხმარებლის აზრი."**

მასპინძლებში სტუდენტებთან ერთად მედიის წარმომადგენლებიც აღმოჩნდენ, რომლებიც მყარი სამართლებრივი ცოდნის მხრივ (პრაქტიკის მიუხედავად) სტუდენტებს ვერაფრით აღემატებოდნენ, თუ არა პირიქით.

**"ჩვენი მიზანი იმ სტუდენტებთან შეხვედრა იყო, რომლებიც სწავლობენ მედიის სამართალს, რაც ასევე თავისუფლების ინსტიტუტის პროექტის ფარგლებშია (საქართველოს ექვს უნივერსიტეტში იკითხება ეს კურსი). სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ არსებული პრობლემები მთელ საქართველოში თითქმის იდენტურია, ამ მხრივ გამონაკლისს არც ქუთაისი და არც აჭარა წარმოადგენს. თავისუფლების ინსტიტუტი არა ერთ გზის დამდგარა მედიის თავისუფლების დასაცავად არა მარტო თეორიულად (პუბლიკაციების გამოცემით), არამედ პრაქტიკულადაც. ამ მხრივ, ჩვენი სახით მედიას სერიოზული მხარდამჭერი ჰყავს,"** - აღნიშნა მაია ოქრუაშვილმა.

პრეზენტაციის ბოლოს წიგნები საჩუქრად გადაეცა აჭარის მოქმედ ჟურნალკისტებს და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

3 მაისს- სიტყვის თავისუფლების საერთაშორისო დღეს - "თავისუფლების ინსტიტუტი" სახელმძღვანელოს პრეზენტაციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან გეგმავს.

# სოხუმი ისევ რუსეთისკენ მიილტვის

სოხუმის ხელისუფლება აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის რუსეთის ფედერაციაში ასოცირებულ წევრად შესვლის საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩასატარებლად ემზადება.

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საპარლამენტო წრეებთან დაახლოებული წყაროს ცნობით, სოხუმის ხელისუფლება აფხაზეთში რეფერენდუმის ჩატარებას მაისის თვეში გეგმავდა, რისთვისაც, ბიულეტენებიც მოამზადა.

იმავე წყაროს ცნობით, ბიულეტენის ნიმუში სოხუმში 11-16 მარტს, რუსეთის სათათბიროს ვიცე-სპიკერ სერგეი ბაბურინის ინიციატივით ჩასული, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის თანამშრომლების აფხაზეთის ხელისუფლებასთან აქტიური კონსულტაციის შედეგად მომზადდა.

რუსმა იურისტებმა ბიულეტენი მას შემდეგ მოამზადეს, რაც სახელმწიფო სათათბირომ უარი თქვა კანონპროექტის მიღებაზე, რომელიც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ახალი სუბიექტების მიღების პროცედურას ამარტივებდა.

დაზუსტებული ინფორმაციით, სარეფერენდუმო ბიულეტენში შეკითხვა შემდეგნაირად არის ფორმირებული: "თანახმა ხართ თუ არა, რომ აფხაზეთი კრასნოდარის მხარის (რუსეთის ფედერაცია) შემადგენლობაში შევიდეს".

იმავე წყაროს მტკიცებით, რეფერენდუმის გადადების მიზეზად სარეფერენდუმო შეკითხვის "იურიდიული გაუმართაობა სახელდება". თუმცა, წყაროს ინფორმაციით, აფხაზეთის ახალი ხელისუფლება რეფერენდუმის ჩატარებისთვის აქტიურ მზადებას განაგრძობს. **ინტერ-პრესი**

# ჯიბგირები და მძღოლები

*სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა მანქანა გააჩერა და სამ ახალგაზრდას ჩასვლა მოსთხოვა. პირველი ორი უხმოდ ჩავიდა, მესამემ, ჩასვლამდე, მძღოლს რაღაც ბასრი საგანი "გაუყარა" და "მგზავრობის საფასური" ასე გადაუხადა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, "მარშრუტკიდან" გაძევებული ახალგაზრდები "ჯგუფურად" მომუშავე ჯიბის ქურდები იყვნენ, რომლებიც მძღოლმა სახეზე იცნო და სამარშრუტო ტაქსში "მუშაობის" საშუალება არ მისცა. დაჭრილი მძღოლი, საბედნიეროდ, გადარჩა. თუმცა, ეს შემთხვევა გამონაკლისი არ ყოფილა. თავად მძღოლებს, როგორც ისინი თავს გადამხდარი ამბების მოყოლისას იხსენებენ, "კარმანშიკებთან" ბრძოლა, ძირითადად, შიშველი ხელებით უხდებათ.*

თამარ მაისურაძე

მძღოლები ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ამბობდნენ, რომ რევოლუციაგამოვლილ ხელისუფლებას "თაფლობის თვე" ძალიან გაუგრძელდა და სამართალდამცავ ორგანოებს ზემონახსენები პრობლემისთვის დროზე უნდა მიეხედა. დღეს ამბობენ, რომ ეს საკითხი სასწრაფოდ მოსაგვარებელია - არა მარტო მათი დაცვის მიზნით, არამედ საზოგადოების კეთილდღეობისთვის, რადგან ჯიბის ქურდები ძალიან გააქტიურდნენ. ამ პრობლემის მოგვარებას მოსახლეობაც ითხოვს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, მძღოლებს "კარმანშიკებთან" ალიანსში ადანაშაულებენ. მძღოლები იგივე "ბრალდებას" სამართალდამცველებს უყენებენ და აცხადებენ, რომ აბსოლუტურად დაუცველნი არიან, და ხმის ამოღების შემთხვევაში, მათაც იგივე ელით, რაც მათ კოლეგას, რომლის შესახებაც დასაწყისში გიამბეთ.

**"ჯიბის ქურდების თარეში ბოლო დროს გაორმაგდა. სახეზე ყველას ვცნობთ. ძირითადად, არ ვუჩერებთ, მაგრამ თუ მგზავრი ჩადის და მაშინ ამოვიდა, ხელს ვერ ვკრავ. ერთხელ ვეჩხუბე, "მარშრუტკიდან" ჩავაგდე, მეორე დღეს გზაზე დამხვდა, მანქანას შუშები ჩაულეწა,"** - ამბობს გივი ამირანაშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ იგი ამ სიტუაციიდან იოლად "გამოძვრა".

სხვა მოხელეების მსგავსად, "კარმანშიკებიც" კვირის სამუშაო დღეებში მუშაობენ. **"შაბათ-კვირას ისვენებენ,"** - ასე ამბობენ მძღოლები, რომლებიც "კარმანშიკების" გადამკიდე, სავარძლებზე გადაკრული, დაჭრილი შალითების გამოცვლას ვერ აუდიან. ქურდები თავიანთი "ნადავლიდან" ფულს იღებენ, შალითებს ჭრიან და საფულეს შიგ აგდებენ. თავს იზღვევენ, რომ შემთხვევით "ფაქტით" არავინ დაიჭიროს. მათი ამოცნობა რთული არ არის, მით უმეტეს, რომ ჯიბის ქურდებს "სამუშაო ობიექტები" გადანაწილებული აქვთ.

ნათქვამია, "მომპარავმა ერთი ცოდვა ქნა, დამბრალებელმა - ათასიო..." და მაინც, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას (აუცილებელი არ არის, მხოლოდ სამარშრუტო ტაქსით მგზავრობდეთ) ზედმეტი პრობლემები თავიდან რომ აიცილოთ, გთავაზობთ "ინსტრუქციას მგზავრებისთვის":

**რჩევა №1:** თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობთ და თქვენს თითოეულ მოქმედებას ვიღაც განსაკუთრებული ყურადღებით (არაბუნებრივად) აკვირდება, ფრთხილად იყავით, დიდია ალბათობა იმისა, რომ ის "ვიღაც" ჯიბის ქურდი აღმოჩნდეს.

**რჩევა № 2:** თუ სამარშრუტო ტაქსით მგზავრობთ, კარებთან მგზავრი უხერხულად ზის, თავად სამარშრუტო ტაქსი კი ნახევრად ცარიელია, ყურადღებით იყავით, კარებთან მჯდომმა "მარშრუტკიდან" ჩასვლის დროს, თავისუფლად შეიძლება, ხელი ჯიბეში ჩაგიყოთ.

**რჩევა №3:** საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას, თუ მობილური ტელეფონით საუბრობთ, ვიღაც კი დიდი მონდომებით ცდილობს ჯერ მობილური ტელეფონის მოდელზე თვალის შევლებას, შემდეგ კი იმის დანახვას, თუ სად შეინახეთ ტელეფონი, იცოდეთ, რომ თქვენი ტელეფონის "მსურველია".

**რჩევა№4:** ყურადღება მიაქციეთ მკლავზე ქურთუკგადაკიდებულ, გაზეთით, ან დიდი პარკით "ხელდამშვენებულ" მგზავრებს, რადგან ეს ჩამონათვალი მათი საქმიანობისთვის აუცილებელი ატრიბუტია.

იგივე ინსტრუქცია უნდა გამოიყენოთ ბაზრებსა და ბაზრობებზეც. თუ "მარშრუტკაში" ჯიბეში ხელს მამაკაცი გიყოფთ, არ გაგიკვირდეთ, ბაზრებსა და ბაზრობებზე ამ "პროფესიით" ქალბატონებიც რომ იყვნენ დაკავებულნი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის მიერ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით, რომელიც, სამწუხაროდ, ჯიბის ქურდობის შემთხვევებს ცალკე არ აღრიცხავს, 2004 წლის პირველ ორ თვეში ქურდობის 563 ფაქტი დაფიქსირდა, აქედან გახსნილია 157. 2005 წლის პირველ ორ თვეში, ქურდობის 764 შემთხვევა აღირიცხა, თუმცა მხოლოდ 213 მათგანი გაიხსნა. რაც შეეხება ძარცვას, 2004 წელს 73 ფაქტი იყო დაფიქსირებული, ხოლო 2005 წელს - 94.

ციფრებიც და ფაქტებიც იმას მოწმობს, რომ ქვეყანას, კრიმინოგენული სიტუაციის მხრივ, არ ულხინს. თუმცა, თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი მერაბ ბალათურია მიიჩნევს, რომ ციფრებს არ უნდა ვენდოთ, რადგან **"ადრე საქმეები არ იხსნებოდა, ამდენად, დღეს აღრიცხული საქმეების რაოდენობა გაცილებით მეტია, წინა წლების სტატისტიკასთან შედარებით. სიტუაცია კონტროლირებადია, დაკავებულია სერიოზული ყაჩაღური ჯგუფები, ამოღებულია დიდი რაოდენობის ცეცხლსასროლი იარაღი და ცოტა ხანში ძალიან სერიოზული დანაშაულები გაიხსნება."**

ქურდებისა და ყაჩაღებისგან მოსახლეობის დაცვა პატრულის პრეროგატივაა. მეტროპოლიტენის პატრულის უფროსი მიხეილ სალაძე ფიქრობს, რომ მეტროში ქურდობა რომ იყოს, ხალხი მეტროპოლიტენით არ ისარგებლებდა. **"ქურდობები რომ ხდებოდეს, ხალხი მეტროში არ ჩამოვიდოდა. ბოლო დროს საგრძნობლად მოიმატა ხალხის გადაზიდვამ, ვფიქრობ, მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდა. მას შემდეგ, რაც მეტროში პატრული მუშაობს, მხოლოდ რამდენიმე განცხადება იყო შემოსული მობილურის მოპარვასა და საბუთების დაკარგვასთან დაკავშირებით,"** - გვითხრა მან.

საპატრულო პოლიციის ახალი ხელმძღვანელი ზვიად ცაგარეიშვილი ამბობს, რომ ყველა სამარშრუტო ტაქსში პოლიციის თანამშრომელს ვერ ჩასვამ. **"ამ ვითარებაში ყველაზე ცუდი ისაა, რომ არც მძღოლები და არც დაზარალებულები პოლიციასთან არ თანამშრომლობენ. ამ პირობებში ძალიან ძნელია რაიმე ქმედითი ღონისძიებების გატარება, თუმცა მას შემდეგ, რაც დედაქალაქში ქვეითმა პატრულმა დაიწყო მუშაობა, მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. მთავარია, საზოგადოება დადგეს პოლიციის გვერდით, რათა ბოროტმოქმედებს ერთობლივი ძალებით ვებრძოლოთ,"** - გვითხრა ზვიად ცაგარეიშვილმა.

# გაერო-ს ოფისთან მიჯაჭვული ინვალიდები

თამარ დვალი

*"დაგვიხსენით დისკრიმინაციისგან" და "განახორციელეთ თქვენი რეზოლუციები" - ამ ლოზუნგით გუშინ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა გაერო-ს ოფისთან საპროტესტო აქცია გამართეს. რადგანაც, ხელისუფლებამ მათ ათდღიან შიმშილობას დაჭერის მუქარით უპასუხა, ინვალიდებმა გუშინ ხელებზე ბორკილები დაიდეს და გაეროს ოფისის შესასვლელთან მოაჯირს მიეჯაჭვნენ.*



*აქციის ორგანიზატორი გიორგი ძნელაძე.*

**"ჩვენ გვინდა, გაერო-ს დავანახოთ, რომ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უკიდურესად ზღუდავენ. ამ ქვეყანაში არ ტარდება გაეროს რეზოლუციები, რომელიც ყველასთვის სავალდებულოა. იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებას პრობლემის გადაწყვეტაზე ეზრუნა, ათდღიანი შიმშილობის შემდეგ, პროკურატურა შემოგვიგზავნა. ძველი საქმეები გადააკეთეს და თანხის მითვისების ბრალდებით, 22 აპრილს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში თბილისიდან გაუსვლელობის ხელწერილი დამაწერინეს. ისღა დაგვრჩენია გაეროს ვთხოვოთ, მის მიერ მიღებული რეზოლუციები საქართველოში განახორციელოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგვცეს საშუალება, გავიდეთ სხვა ქვეყანაში,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას აქციის ორგანიზატორმა გიორგი ძნელაძემ. მისივე თქმით, ქვეყანაში უნდა არსებობდეს მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც ინვალიდთა საკითხებს კოორდინირებას გაუწევს. ხელისუფლების მიერ მის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას კი ძნელაძე ხელისუფლების კონტრნაბიჯებს უწოდებს.

**"რადგანაც ხელისუფლება სრულ იგნორირებას გვიკეთებს და დახმარების მაგივრად, დაჭერით გვემუქრება, იძულებული გავხდით, პროტესტის ყველაზე უკიდურესი ფორმისთვის მიგვემართა. რკინის ჯაჭვით დაბმა, ეს არის ჩვენი შეზღუდულობის გამოხატულება. ბუნებისგან მონიჭებულ შეზღუდულობას ხელისუფლებისაგან შექმნილი ბორკილებიც დაემატა,"** - აღნიშნა მან.

გია ძნელაძის ადვოკატის, გიორგი ამაშუკელის თქმით, "ინვალიდთა ლიგაში" არსებული დარღვევების შესახებ სისხლის სამართლის საქმე 1998-1999 წლებში აღიძრა, თუმცა მაშინ გიორგი ძნელაძე მოწმის სახით იკითხებოდა და მისი ბრალეულობა არ იკვეთებოდა. ადვოკატის თქმით, საქმე 2003 წელს შეჩერდა. ამასწინათ კი ძიება განახლდა და მოწმე ძნელაძე ეჭვმიტანილად იქნა ცნობილი. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის ა და ბ ქვეპუნქტის მიხედვით წაუყენეს. გიორგი ამაშუკელი აღნიშნულ ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს.

მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ომბუდსმენი, პარლამენტარები და ოპოზიციური პარტიის წევრები დახმარებას ერთხმად ჰპირდებოდნენ, მათი დაპირება დაპირებადვე დარჩა. გუშინ ინვალიდებმა კოფი ანანის სახელზე დაწერილი წერილი გაეროს წარმომადგენლებს გადასცეს. სახელისუფლო სტრუქტურების შემდეგ, ინვალიდები თავიანთი უფლებების დაცვას გაერო-სგან ელიან.

## პროფესიული განვითარების შესაძლებლობები
## BP საქართველო

bp

BP, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ენერგოკომპანია, საქართველოში უმსხვილეს ინვესტორთა შორისაა წარმოდგენილი. 1999 წლიდან ჩვენ ვახორციელებთ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ექსპლუატაციას და მალე დავასრულებთ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მშენებლობას. ეს არის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტები, რომლებიც მიმართულია საქართველოს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყნის როლის გაფართოებისაკენ აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოდერეფანში. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტები უზრუნველყოფს კასპიის ენერგორესურსების წარმატებულ ტრანსპორტირებას მსოფლიო ბაზარზე და რეგიონში ენერგომომარაგების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს.

BP-მ აიღო ვალდებულება წარმატებით განახორციელოს ამ მნიშვნელოვანი პროექტების ექსპლუატაცია და ჩამოაყალიბოს ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობა საქართველოსა და მის ხალხთან. ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ გვესაჭიროება განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური ადგილობრივი მენეჯმენტი და კადრები. ამიტომ ვაცხადებთ კონკურსს გამორჩეული შესაძლებლობების მქონე მცირერიცხოვანი კანდიდატების სამუშაოზე მისაღებად, რომლებიც პერსპექტივაში დაიკავებენ ხელმძღვანელ თანამდებობებს ჩვენს ორგანიზაციაში.

წარმატებულ კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ განათლების შესაბამისი დონე და დოკუმენტურად დადასტურებული სამსახურებრივი მიღწევები, იქნება ეს კერძო, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორებში.

BP მსურველებს სთავაზობს პროფესიული განვითარების ჩამოყალიბებულ პროგრამას საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, რომელსაც საჭიროებისამებრ ახლავს ფორმალური ტრენინგების კურსი. გამარჯვებულ კანდიდატებს BP წაუყენებს უმაღლეს მოთხოვნებს შესრულებული სამუშაოს ხარისხის მხრივ, მაგრამ სანაცვლოდ სთავაზობს ანაზღაურების მიმზიდველ პაკეტს და წამყვან საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციაში სამსახურებრივი წინსვლის ბრწყინვალე შესაძლებლობებს.

სავარაუდო ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

გამოცდილების, კვალიფიკაციის და პროფესიული განვითარების მიზნების მიხედვით, წარმატებული კანდიდატები დაიკავებენ თანამდებობებს სხვადასხვა დეპარტამენტში, როგორიცაა ექსპლუატაცია; ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა (HSE); კომუნიკაციის და საგარეო საქმეთა; ბიზნეს-სერვისები და უშიშროება.

**საქმიანობის სახეებს მიეკუთვნება:**
■ საქაჩ სადგურზე ან თბილისში განთავსებული ექსპლუატაციის ჯგუფთან მუშაობა
■ ურთიერთობის წარმართვა სამთავრობო უწყებებთან, საზოგადოებასთამ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მას-მედიასთან.
■ BP-ს მუშაობის და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ტექნიკური, იურიდიული, კომერციული ან HSE სფეროებში; ამ სტანდარტების სიღრმისეული ცოდნის განვითარება .
■ პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ანალიზი და ანგარიშგება.
■ შესყიდვების, კონტრაქტების, ლოგისტიკის ან ბიზნეს-სერვისების სხვა დამხმარე სფეროების მართვა.

შესრულებული სამუშაო სისტემატურად შემოწმდება და მოხდება მისი შედარება ორგანიზაციაში მომუშავე მაღალი პოტენციალის მქონე თანამშრომლების მიღწევებთან. გარდა ამისა მოხდება სამსახურებრივი წინსვლის მიზნების პერიოდული მოდიფიცირება კანდიდატების გრძელვადიანი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით.

**ძირითადი უნარები და კვალიფიკაცია**
■ ინიციატივიანი, შემოქმედებითი და თვითჩამოყალიბების გამოკვეთილი უნარი;
■ მონაცემთა გაანალიზების, პრობლემებისადმი შემოქმედებითი მიდგომების მოძებნის და სალი გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
■ კომუნიკაციის და პიროვნებათაშორისი ურთიერთობის კარგად განვითარებული უნარი;
■ ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის დადასტურებული უნარი, რთული ამოცანების დასახულ ვადებში შესრულების უნარი;
■ საერთო მიზნის მისაღწევად გუნდური მუშაობის გამოცდილება;
■ ხელმძღვანელის თვისებების გამომჟღავნების დადასტურებული უნარი.

**პროფესიული გამოცდილება**
წარმატებულ კანდიდატს სასურველია გააჩნდეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება ბიზნესისი სფეროში, სამთავრობო უწყებებში, დიპლომატიურ სამსახურში, მსხვილ დონორ ორგანიზაციაში ან არასამთავრობო ორგანიზაციაში.

*აუცილებელია:*
■ მინიმუმ ხუთი წლის მუშაობის გამოცდილება არჩეულ სფეროში სწრაფი სამსახურებრივი წინსვლის დემონსტრირებით.
*სასურველია:*
■ საერთაშორისო ბიზნესში მუშაობის ან მასთან ინტენსიური კონტაქტის გამოცდილება.

**განათლება**
■ უმაღლესი განათლების დიპლომი ან სამეცნიერო ხარისხი ბიზნესის, საერთაშორისო ურთიერთობების, იურიდულ, სამშენებლო საინჟინრო ან მანქანათმშენებლობის, ან სხვა შესაფერის დარგში. სასურველია საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება.
■ აუცილებელია ქართული, რუსული და ინგლისური ენების თავისუფლად ფლობა,.

***განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2005 წლის 10 მაისი.***

**როგორ მოგვმართოთ/დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**
თუ თვლით, რომ თქვენ გაქვთ ყველა აუცილებელი უნარ-ჩვევები და გამოცდილება აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ჩV-ის ასლი და შეავსოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე არსებული განცხადების ფორმა. განაცხადების მიღების ბოლო დღეა სამშაბათი 10 მაისი, 2005 წელი.

**ყველა მიღებული განაცხადი დადასტურდება, მაგრამ ეს იმის ნიშანი არ იქნება, რომ კანდიდატი მიწვეულია ინტერვიუზე ან მიღებულია სამუშაოზე.**

**კადრების დეპარტამენტი**
**ბპ საქართველო**
**საბურთალოს ქუჩა 38**
**თბილისი, საქართველო**

*საერთო ეროვნული გამოცდები*

# როგორი იქნება ტესტი ინგლისურ ენაში?

დალი კუპრავა

ცნობილია, რომ ყველა აბიტურიენტი წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფორმატში, ერთ-ერთ სავალდებულო გამოცდად უცხო ენას ჩააბარებს. აბიტურიენტების დიდი ნაწილი უცხო ენად ინგლისურს ირჩევს. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ნოემბრის თვეში გამოცემული, ინგლისური ენის ტესტების კრებული ადეკვატურ ინფორმაციას იძლევა, როგორც საგამოცდო ტესტის სტრუქტურისა და შინაარსის, ასევე შეფასების მექანიზმების შესახებ. მიუხედავად ამისა, ახლოვდება რა მისაღები გამოცდები და, შესაბამისად, ჩნდება რა ახალი შეკითხვები, კიდევ ერთხელ გვინდა განვმარტოთ ინგლისური ენის ტესტთან დაკავშირებული საკითხები: მისი სტრუქტურა და შინაარსი, მომზადების მეთოდიკა, შეფასების კრიტერიუმები და საგამოცდო ტესტის გასწორების პროცედურა. შეკითხვებს პასუხობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინგლისური ენის ექსპერტი რუსუდან ტყემალაძე.

### როგორია ტესტის შინაარსი და სტრუქტურა?

ტესტი 7 დავალებისაგან და 60 საკითხისაგან შედგება. თითოეული დავალება ამოწმებს აბიტურიენტის კითხვის და წერის უნარ-ჩვევებს და ლექსიკურ-გრამატიკულ კომპეტენციას. ტესტში შესული გრამატიკულ-ლექსიკური მასალა არ სცილდება ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის (არა სპეციალიზებული ინგლისური) პროგრამასა და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელოებში მოცემული გრამატიკული საკითხებისა და ლექსიკური ერთეულების ჩამონათვალს. ინგლისურ ენაში წლევანდელი გამოცდის შინაარსის ძირითადი სიახლე არის ის, რომ პროგრამული საკითხების ცოდნა მოწმდება იმ მეთოდიკის საშუალებით, რომელიც აბიტურიენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის პრაქტიკული მიზნებისათვის გამოყენების უნარ-ჩვევების ქონას გულისხმობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საგამოცდო ტესტი ამოწმებს არა მარტო იმას, თუ გრამატიკისა და ლექსიკის რა მოცულობის ცოდნა აქვს აბიტურიენტს, არამედ, პირველ რიგში იმას, თუ როგორ შეუძლია მას ამ ცოდნის გამოყენება კომუნიკაციური მიზნებისათვის სკოლის გარეთ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ნოემბრის თვეში გამოქვეყნებული ინგლისური ენის ტესტურ დავალებათა კრებულში ისეთი სახის დავალებებია მოცემული, რომლებიც აბიტურიენტებს სწორედ ამგვარი, პრაქტიკულ-ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარებაში მოეხმარება. ის მოსწავლე, რომელიც კრებულში მოცემულ ყველა მითითებას და მეთოდურ რეკომენდაციას ყურადღებით წაიკითხავს და გაითვალისწინებს, დამოუკიდებლად, მასწავლებლის მხოლოდ მინიმალური დახმარებით შეძლებს კრებულზე ვარჯიშს და, აქედან გამომდინარე, გამოცდისთვის მომზადებას. აბიტურიენტს ვურჩევთ, კრებულში მოცემული ყოველი სავარჯიშოს გაკეთების შემდეგ პასუხები შეადაროს კრებულში მოცემულ პასუხებს და შეცდომის შემთხვევაში, სავარჯიშო ისევ და ისევ გააკეთოს. აბიტურიენტს ასევე ვურჩევთ, ყურადღებით შეისწავლოს კრებულში მოცემული ტესტის ნიმუშის სტრუქტურა და დავალებების ტიპები. ტესტის სტრუქტურის, დავალებების ტიპების და მათი თანმიმდევრობის კარგად ცოდნის შემთხვევაში, აბიტურიენტი საგამოცდო ტესტის შესრულებისას ნაკლებ დროს დახარჯავს დავალებების პირობების გაგებაში, და, ამგვარად, ინგლისური ენის გამოცდისთვის მიცემულ დროს - 2 საათს, უფრო ნაყოფიერად გამოიყენებს.

ტესტის მე-7 დავალებაში აბიტურიენტს მცირე ზომის (120-150 სიტყვის მოცულობის) თხზულების დაწერა მოეთხოვება. "თხზულება" ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. ფაქტობრივად, ეს არის მოთხოვნა, აბიტურიენტმა ერთ არასრულ გვერდზე ინგლისურ ენაზე ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ, მისი ასაკისთვის შესაფერის დებულებასთან დაკავშირებით. აბიტურიენტი ამ დავალების შესრულებისას ავლენს აზრის წერილობით მოკლედ და გასაგებად გადმოცემის უნარს, ასევე გრამატიკისა და ლექსიკის პროგრამულ ცოდნას. ვფიქრობთ, რომ ეს აუცილებელი მოთხოვნა უნდა იყოს ისეთი ამბიციური მიზნის მისაღწევად, როგორიც უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებაა. აბიტურიენტებს ვურჩევთ, ამ დავალებაზე ვარჯიშისას გაითვალისწინონ ის კრიტერიუმები და მოთხოვნები, რომლებიც კრებულში მოცემული თხზულების შეფასების სქემაშია მოცემული. შეფასების სქემის ცოდნა აბიტურიენტს დაეხმარება თხზულების წერისას გაითვალისწინოს ის მოთხოვნები, რომელიც მაღალი ქულის მისაღებად არის საჭირო.

### როგორ ფასდება ტესტი?

საკითხი სირთულის მიხედვით ფასდება ერთი ან ორი ქულით, თხზულება - 16 ქულით. მთელი ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. შეფასების ასეთი სისტემა იძლევა იმის მაქსიმალურ შესაძლებლობას, რომ სათანადოდ შეფასდნენ და შერჩევის სკალაზე ობიექტურად განთავსდნენ ოდნავ განსხვავებული ცოდნის მქონე აბიტურიენტები. შეფასების ეს სისტემა, ამავე დროს, კონკურენტუნარიანს ხდის ყველა იმ აბიტურიენტს, რომელიც ინგლისურში (ისევე როგორც ყველა სხვა საგანში) ქულათა მინიმალურ ზღვარს - 15 ქულას - გადააჭარბებს.

### ვინ და როგორ გაასწორებს ტესტს?

ინგლისური ენის ტესტებს 88 გამსწორებელი გაასწორებს, აქედან 65 პროცენტი უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელია, დანარჩენი - სკოლის. უკვე არსებობს გამსწორებელთა წინასწარი სია, მიმდინარეობს მათი ტრენინგი. ტესტს გაასწორებენ თბილისის, ქუთაისის და ბათუმის უმაღლესი სასწავლებლების, ასევე თბილისის სკოლის მასწავლებლები. კანდიდატურები მოგვაწოდა უმაღლესი სასწავლებლების ინგლისური ენის კათედრებმა, თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა და ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციამ. გამსწორებელთა საბოლოო სია დადგინდება ტრენინგების შედეგების მიხედვით, მაისის ბოლოს. ტესტს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და სხვადასხვა დროს ორი გამსწორებელი გაასწორებს. მათ, ცხადია, არ ეცოდინებათ, თუ ვის ნაწერს ასწორებენ, რადგანაც ტესტს სტუდენტის მხოლოდ შტრიხ-კოდი ექნება. ასევე შტრიხ-კოდით (და არა ხელისმოწერით) დაფიქსირდება ორივე გამსწორებლის იდენტიფიკაცია. გასწორების ეს პროცედურა (ერთიანი შეფასების სქემა, აბიტურიენტის და გამსწორებლების სრული ანონიმურობა, ორი დამოუკიდებელი გამსწორებელი) გამორიცხავს დახმარების ან "ჩაწყობის" მცირედ შესაძლებლობასაც კი და ყველა აბიტურიენტს თანაბარ პირობებში აყენებს.

ტესტი ინგლისურ ენაში (ისევე, როგორც სხვა უცხო ენებში) ისეთ მეთოდიკაზეა აგებული, რომ ტესტისთვის მზადების პერიოდშივე აბიტურიენტი იმ ცოდნას იძენს და ისეთ ენობრივ უნარ-ჩვევებს ინვითარებს, რომელიც მას არა მარტო გამოცდის ჩაბარებაში, არამედ მომავალი საქმიანობის წარმატებით წარმართვაშიც დაეხმარება. ვფიქრობთ, რომ ეს განსაკუთრებულად კარგი მოტივაცია უნდა იყოს.

P.S. აბიტურიენტთა საყურადღებოდ! შეკითხვებზე პასუხის მისაღებად დარეკეთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელ ხაზზე 94 33 11.

# რუსეთის პრიორიტეტები სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა მოკლევადიან პერსპექტივაში სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში პრიორიტეტები განსაზღვრა. პრიორიტეტებად დასახელდა: საბიუჯეტო სექტორში ხელფასების ზრდა, ბიზნესის განვითარებისთვის გარემო პირობების გაუმჯობესება და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ეკონომიკური სექტორების მკვეთრი განსაზღვრა-გამიჯვნა.

სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, რუსეთის პრეზიდენტმა აქცენტები, რასაკვირველია, სახელფასო ზრდაზე გააკეთა. **"უახლოეს მომავალში საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურება, სამომხმარებლო საქონლის ფასთან შედარებით, სულ მცირე, ერთნახევარჯერ უნდა გაიზარდოს,"** - აღნიშნა ვლადიმირ პუტინმა. მისი თქმით, სახელფასო თანხის ზრდის მიზანია აუცილებელ საცხოვრებელ მინიმუმთან გათანაბრება.

გარდა ამისა, სახელმწიფო მეთაური მიიჩნევს, რომ მართებული იქნება, თუკი გაუქმდება მემკვიდრეობით გარდამავალ ქონებაზე გადასახადები. ამ მოსაზრებას პუტინი მილიარდერთა ქონების ოფშორულ ზონებში არსებობით ხსნის, რომელთა გაკონტროლების მექანიზმი არ არსებობს. ასეთ პირობებში გაცილებით მცირე ქონების მეპატრონეები იჩაგრებიან, რომელთა საკუთრების გაკონტროლებასაც სახელმწიფო წარმატებით ართმევს თავს.

სააგენტო "რია ნოვოსტ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პუტინმა სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების განსაზღვრისას არც გასულ წლებში დაგროვილი დავალიანების ამოღების ფორმები დაივიწყა. მან საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს მოუწოდა, გასული წლების დავალიანების ამოღებისას ბიზნესი ჩიხში არ მოემწყვდიათ. **"ფისკალურმა ორგანოებმა არ უნდა აუარონ გვერდი კანონებს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უნდა მოხდეს ბიზნესმენთა შევიწროება. საჭიროა გამოინახოს დავალიანებების ამოღების ისეთი ფორმა, რომელიც სახელმწიფოს ინტერესების დაცვასთან ერთად ხელს არ შეუშლის ეკონომიკის განვითარებას,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

მან, ასევე, მოითხოვა რუსეთის მოქალაქეების მიერ კაპიტალის დეკლარირების წესების გამარტივება, იმ პირობით, თუ მოქალაქეები დაფარავენ საშემოსავლო გადასახადების 13 პროცენტს და შესაბამის თანხას რუსულ ბანკებში შეიტანენ. **"აუცილებელია გასულ წლებში დაგროვილი კაპიტალის დეკლარირებისას მოქალაქეებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რადგან ეს თანხები უნდა ბრუნავდეს რუსულ ეკონომიკაში და არ უნდა ილექებოდეს ოფშორულ ზონებში,"** - აღნიშნა პუტინმა.

მან, ასევე, მოითხოვა საპრივატიზაციო გარიგებებთან დაკავშირებით სასარჩელო დავების ხანდაზმულობის ვადის 10-დან 3 წლამდე შემცირება. პუტინის თქმით, მისთვის გაუგებარია, რატომ არ მოხდა ამ საკითხის დღემდე გადაწყვეტა. **"მე მოვითხოვ დაჩქარდეს ფორმალური შეთანხმება,"** - აღნიშნა მან.



*რუსეთის პრეზიდენტმა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში პრიორიტეტებად დაასახელა - საბიუჯეტო სექტორში ხელფასების ზრდა, ბიზნესის განვითარებისთვის გარემოპირობების გაუმჯობესება და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ეკონომიკური სექტორების მკვეთრი განსაზღვრა-გამიჯვნა.*

გარდა ამისა, **"რუსეთი დაინტერესებულია ეკონომიკაში კერძო ინვესტიციების მაქსიმალურად მიზიდვით. ეს ეხება უცხოურ ინვესტიციებსაც. ეს ჩვენი სტრატეგიული არჩევანი და მიდგომაა,"** - თქვა პუტინმა. ამასთანავე, აუცილებელია იმ კრიტერიუმთა სისტემის შემუშავება და კანონის ფარგლებში ფორმულირება, რომელიც ეკონომიკის ცალკეულ სფეროებში უცხოური კერძო კაპიტალის მონაწილეობის მასშტაბებს განსაზღვრავს. თანაც, მკაცრად უნდა განისაზღვროს ეკონომიკის ის ცალკეული სფეროები, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფოს კონტროლქვეშ დარჩება.

**"ქვეყნის დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების ინტერესების გამყარების მიზნით, აუცილებელია ეკონომიკის იმ სფეროების კონკრეტულად განსაზღვრა, რომლებსაც რუსეთის ნაციონალური, მათ შორის, სახელმწიფო კაპიტალი უნდა აკონტროლებდეს. მხედველობაში მაქვს ინფრასტრუქტურის ზოგიერთი ობიექტი; საწარმო, რომელიც თავდაცვის სფეროში ასრულებს შეკვეთებს; სასარგებლო წიაღისეულის სახეობები, რომელთაც ქვეყნის მომავალ განვითარებაში სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

# ყირგიზი "რევოლუციონერები" ვერ შეთანხმდნენ

### ფელიქს კულოვი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად აპირებს

ყირგიზეთის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი და უშიშროების უწყების ხელმძღვანელი ფელიქს კულოვი ივლისის საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარ კანდიდატურას წამოაყენებს. ამის შესახებ მან ორშაბათს ოფიციალურად განაცხადა. კულოვი ამბობს, რომ მას სურს, ყირგიზეთს მოუტანოს "სტაბილურობა, ეროვნებათაშორის თანხმობა და ერთიანობა". "უპირველეს ყოვლისა, ეს გამოწვეულია ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაციის სურვილით; აგრეთვე, მოსახლეობის დაცვის, სახელმწიფო დაწესებულებების მუშაობის ნორმალიზების, ეროვნებათაშორის თანხმობის უზრუნველყოფის, რუსულენოვანი მოსახლეობის გადინების თავიდან აცილებისა და ერისა და ხალხის შეკავშირების აუცილებლობით".

ფელიქს კულოვმა, თითქმის, 5 წელი გაატარა ციხეში ასკარ აკაევის პრეზიდენტობის დროს, მექრთამეობის ბრალდებით. თუმცა, კულოვი ირწმუნება, რომ მისი პატიმრობის მოტივი პოლიტიკური იყო. ცოტა ხნის წინ ყირგიზეთის უზენაესმა სასამართლომ ყოფილ პატიმარს ყველა ბრალდება მოუხსნა, რამაც მას საშუალება მისცა, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიეღო.

სავარაუდოდ, საპრეზიდნეტო არჩევნებში კულოვის დამოუკიდებლად მონაწილეობა მარტში აკაევის განდევნის შემდეგ სათავეში მოსული პოლიტიკურ ძალების ისედაც მყიფე ალიანსს დაშლას უქადის. საქმე ისაა, რომ კულოვის მთავარ კონკურენტად ყირგიზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის მოვალეობის ამჟამინდელ შემსრულებელ კურმანბეკ ბაკიევს მიიჩნევენ. კულოვი ამბობს, რომ, გამარჯვების შემთხვევაში, ბაკიევს პრემიერ-მინისტრის პოსტს შესთავაზებს.

თავდაპირველად გამარჯვებული ოპოზიცია აცხადებდა, რომ ყველასათვის მისაღებ კანდიდატზე შეაჩერებდნენ არჩევანს. თუმცა, როგორც ჩანს, საკმაოდ არაერთგვაროვან გაერთიანებაში (ხელოვნურად შექმნილი კავშირი მხოლოდ და მხოლოდ აკაევის წინააღმდეგ საბრძოლველად თუ იყო გამოსადეგი) შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

აშკარაა, ივლისის თვეში დაგეგმილი არჩევნები სერიოზული გამოცდა იქნება ყირგიზელი "რევოლუციონერებისთვის".



# ჩეხეთის მთავრობაში პოლიტიკური კრიზისი ამოწურულია

ჩეხეთის მთავრობაში რამდენიმეკვირიანი პოლიტიკური კრიზისი პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომით დასრულდა. კრიზისის მიზეზი აწ უკვე ყოფილი პრემიერ-მინისტრის სტანისლავ გროსის მიერ დედაქალაქის ცენტრში ფეშენებელური ბინის შესყიდვის გამო აგორებული სკანდალი გახდა.

სააგენტო "ესოშიეიტიდ პრესის" თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტმა ვაცლავ კლაუსმა დააკმაყოფილა სტანისლავ გროსის განცხადება გადადგომის თაობაზე. 35 წლის სტანისლავ გროსი ევროპის მასშტაბით ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი იყო; ასაკის შესაბამისად, ხანმოკლე აღმოჩნდა აღნიშნულ თანამდებობაზე მისი მუშაობაც. ქვეყნის მეორე პირად მოღვაწეობა მას სულ 9 თვე მოუხდა. სკანდალი დაიწყო კორუფციაში ბრალდებით, როდესაც პარლამენტარები გროსის შემოსავლებით დაინტერესდნენ. მართალია, გროსმა უარყო მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება, მაგრამ თანამდებობის დატოვება მაინც მოუწია. "ბიბისი"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ყოფილი პრემიერ-მინისტრი მომავალ წელს დაგეგმილი არჩევნებისთვის დაიწყებს მზადებას.

სტანისლავ გროსის განცხადების დაკმაყოფილების შემდეგ ცვლილებები მოხდა მმართველ კოალიციაშიც. ახალ კოალიციურ მთავრობას, სავარაუდოდ, გროსის ყოფილი მოადგილე ირჟი პარუბეკი ჩაუდგება სათავეში. მას დღემდე რეგიონული განვითარების საკითხებში მინისტრის თანამდებობა ეკავა. პოლიტიკური ორიენტაციით ირჟი პარუბეკი, წინამორბედისაგან განსხვავებით, მემარცხენე მიმართულებისაა.

ახალ სამთავრობო კოალიციაში, სოციალ-დემოკრატების ნაცვლად, შევა ქრისტიან-დემოკრატების პარტია და თავისუფლების კავშირი.

## ორი სიტყვით

**იაპონია.** ქალაქ ამაგასაკიში მომხდარი სარკინიგზო კატასტროფის შედეგად, დაუზუსტებელი მონაცემებით, 56 ადამიანი დაიღუპა და 300-ზე მეტი დაშავდა.

ტრაგედია გუშინ დილით მოხდა. 7-ვაგონიანი სამგზავრო მატარებელი, რომელშიც ავარიის დროს 580 მგზავრი იმყოფებოდა, სარკინიგზო გადასასვლელზე მსუბუქ ავტომანქანას დაეჯახა, ლიანდაგებიდან გადავიდა და საცხოვრებელ სახლს შეასკდა. ბოლო ორმოცი წლის მანძილზე ეს, მსხვერპლის რაოდენობის თვალსაზრისით, ყველაზე მძიმე სარკინიგზო შემთხვევა იყო იაპონიაში. ხელისუფლების ვარაუდით, მატარებლის 23 წლის მემანქანეს ავარიის დროს გადაჭარბებული სიჩქარით მიჰყავდა მატარებელი. **24 საათი**

■ ■ ■

**გერმანია.** საგარეო საქმეთა მინისტრი იოშკა ფიშერი გუშინ პარლამენტის საგამოძიებო კომისიის წინაშე წარდგა. აღნიშნული კომისია გერმანიის საკონსულოების მიერ ასობით ათასი ვიზის უკანონოდ გაცემის საქმეს იძიებს. 2000 წლის ვიზების ლიბერალიზაციის პროგრამის ფარგლებში გერმანიის საელჩოებმა უკრაინაში, რუსეთში, ალბანეთსა და სხვა ქვეყნებში ვიზები გასცეს იმ ადამიანებზე, რომლებსაც ლიბერალიზაციამდე გერმანიაში შესვლის უფლებას არ მისცემდნენ. ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დღეს უკვე გაუქმებული ლიბერალური წესებით გერმანიაში კრიმინალების მოხვედრის ხელშეწყობა მოხდა. იოშკა ფიშერმა კომისიის მოსმენაზე განაცხადა, რომ მას დასამალი არაფერი აქვს. ფიშერის თქმით, ქვეყნის კრიმინალებით გავსება ოპოზიციის პროპაგანდისტული თეორიაა. მანამდე ფიშერს ნათქვამი აქვს, რომ მისი დიპლომატების შეცდომებზე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებდა. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

**თურქეთი.** საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მუსტაფა ბუმინმა გუშინ განაცხადა, რომ უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში ისლამური თავსაბურავების აკრძალვის წესის შერბილების ნებისმიერი მცდელობა თურქეთის მკაცრად სეკულარული კონსტიტუციის დარღვევა იქნება. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ამ განცხადებას თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ერდოჰანიც ესწრებოდა. ერდოჰანი მუსულმანური თავსაბურავების ტარების აკრძალვის გაუქმების მომხრეა. ერდოჰანის "სამართლისა და განვითარების პარტია" იმ აკრძალული ისლამისტური პარტიის განშტოებაა, რომელიც თავსაბურავების აკრძალვას რელიგიური თავისუფლების ხელყოფად და განათლებაზე თანასწორი უფლების დარღვევად აფასებდა. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

**ირანი.** ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი, დღესაც გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე, აკბარ ჰაშემი რაფსანჯანი 17 ივნისს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. დღეისთვის რაფსანჯანი ირანში მთავარ პოლიტიკურ არბიტრაჟს ხელმძღვანელობს. აკბარ ჰაშემ რაფსანჯანი ირანის პრეზიდენტი იყო 1989-1997 წლებში. **24 საათი**

■ ■ ■

**ალბანეთი.** პრეზიდენტმა ალფრედ მოისიუმ განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნები 3 ივლისს ჩატარდება. პრემიერ-მინისტრ ფატოს ნანოს მმართველი სოციალისტური პარტია იმედოვნებს, რომ მესამედაც გამარჯვებას მოიპოვებს. საპრეზიდენტო არჩევნები ალბანეთში 2007 წელს ჩატარდება. 2003 წელს ალბანეთმა ევროკავშირთან სტაბილიზაციისა და კანდიდატი-ქვეყნის სტატუსის მიღების შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყებას მიაღწია და იმედი აქვს, რომ 2015 წლისთვის გაერთიანების წევრი გახდება. დღეისთვის ალბანეთის უმთავრეს პრობლემებად რჩება - ეკონომიკის განუვითარებლობა, კორუფცია და ქმედუუნარო ბიუროკრატია. **24 საათი**

■ ■ ■

**ევროპა.** რუმინეთმა და ბულგარეთმა ლუქსემბურგში მიმდინარე ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ხელი მოაწერეს შეთანხმებას ევროკავშირთან, რომელიც 2007 წლის 1 იანვარს ამ ქვეყნების გაერთიანებაში გაწევრიანებას ითვალისწინებს. ბალკანეთის ქვეყნებმა პირობა დადეს, რომ აღნიშნული ვადისთვის რეფორმების დასრულებას მოასწრებენ - კერძოდ, დაძლევენ კორუფციას, გააძლიერებენ საზღვრების დაცვას, ევროპული სტანდარტების შესაბამისად, გარდაქმნიან სასამართლო სისტემას და, რაც მთავარია, გააუმჯობესებენ სახელმწიფო მართვის ინსტიტუტების მუშაობას. როგორც, დაახლოებით, 860-გვერდიან შეთანხმებაშია ნათქვამი, თუ ქვეყნები ვერ შეძლებენ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მათი ევროკავშირში გაწევრიანება, შესაძლოა, 2008 წლისთვის გადაიდოს. **24 საათი**



# ბიზნესმენებს შეკითხვები არ გასჩენიათ

ირაკლი გვერდიძე

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბიზნესმენებს ის გეგმები გააცნო, რომელიც ბიზნესთან დაკავშირებულ დანაშაულებთან ბრძოლისთვის აქვს დასახული. ვანო მერაბიშვილი ბიზნესმენებს საქართველოში უსაფრთხო ბიზნეს-გარემოს გარანტიებს აძლევდა.

შინაგან საქმეთა მინისტრს ბიზნესმენების მხრიდან კონკრეტული კანონდარღვევების ფაქტების მოსმენა სურდა, თუმცა გუშინ ბიზნესი დუმდა. ბიზნესმენების პასიურობით "გულდაწყვეტილმა" შს მინისტრმა შეხვედრის ბოლოს ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ვინაიდან დღევანდელი შეხვედრა პირველი იყო, ბიზნესმენების მხრიდან კონკრეტული კანონდარღვევების ფაქტები ამიტომაც ვერ მოისმინა.

**"მე მაქვს ინფორმაცია, რომ კრიმინალური ავტორიტეტების მხრიდან ბიზნესმენებზე ზეწოლა ხორციელდება. მე ყოველ ამგვარ ფაქტზე უმკაცრეს რეაგირებას მოვახდენ,"** - განაცხადა მინისტრმა.

მერაბიშვილმა მაგალითად ბაკურიანში სასტუმროების ასაშენებლად ხელსაყრელი მიწის ნაკვეთების ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებული პრობლემა მოიყვანა.

მისი თქმით, ბაკურიანში გარკვეულმა კრიმინალებმა მეწარმეებს შეუთვალეს, არ შეეძინათ აღნიშნული მიწები. ამასთან დაკავშირებით, შს სამინისტრომ ბაკურიანში სამართალდამცველთა სპეციალური ჯგუფი მიავლინა, რომელიც აღნიშნულ საკითხს სწავლობს.

**"ახალი ხელისუფლების პირობებში შს სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან ბიზნესში ჩარევის ფაქტები, ფაქტობრივად, მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან დღეისათვის ძალოვანი უწყების წარმომადგენლებს დაკისრებული მოვალეობის ჯეროვნად შესრულებისთვის შესაბამისი ხელფასები და ალტერნატივა გააჩნიათ,"** - აღნიშნა გუშინ მინისტრმა.

რაც შეეხება საკუთრივ დაცვის საკითხს, მერაბიშვილის თქმით, შს სამინისტროს კერძო ბინების დაცვის სისტემის დამატებითი გეგმა აქვს შემუშავებული, რაშიც სერიოზული ინვესტიციები ჩაიდება.

ვანო მერაბიშვილმა გუშინ სახელმწიფო შესყიდვებზეც ისაუბრა. მინისტრი ამ სფეროში მისი უწყების ბიზნესთან ურთიერთობას წარმატებულად მიიჩნევს, რადგან სამინისტრო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემსყიდველი, ყველა პროდუქტის შეძენას ტენდერის საშუალებით ცდილობს.

**"შს სამინისტროს ინტერესებში შედის, რომ საქართველოში ყველა ბიზნესმენმა თავი კომფორტულად იგრძნოს, თავისი საქმიანობა განავითაროს და ქვეყანაში რეკეტი აღარ არსებობდეს,"** - განაცხადა მერაბიშვილმა.

გუშინ, შს მინისტრმა ყველაზე დიდი დრო საკუთარი უწყების საქმიანობაზე და მიღწევებზე საუბარს დაუთმო. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ საქართველოში თანხის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცების ფაქტები, ფაქტობრივად, არ დაფიქსირებულა. ადამიანთა გატაცების ერთეული ფაქტები მხოლოდ კონფლიქტის ზონებში ფიქსირდება, სადაც გარკვეული მიზეზების გამო, საქართველოს შს სამინისტრო ღონისძიებებს ვერ ატარებს.

წვრილი რეკეტი კვლავ აქტუალურია საქართველოში, განსაკუთრებით კი - ქუთაისში, ფოთში და თბილისში. მეტიც, ამ სახის კანონდარღვევებმა ყოველდღიური ხასიათი მიიღო. მერაბიშვილმა ამ პრობლემის გადასაწყვეტად ბიზნესმენებს დახმარება სთხოვა, რათა მათ ძალოვან უწყებას დარღვევის ფაქტებზე ინფორმაცია მიაწოდონ.

ვანო მერაბიშვილმა ფულის გამოძალვის ორი შემთხვევა მოიყვანა. 6 ათასი დოლარის გამოძალვის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მძიმე დანაშაულისთვის რამდენჯერმე ნასამართლევი, თემურ თოლორაია დააკავეს. ეს უკანასკნელი, თანამზრახველთა ჯგუფთან ერთად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორის მოადგილის ბესიკ დათიაშვილის გატაცებას აპირებდა. თოლორაია ყოველთვიურად ფეროს დირექტორს 20 ათას ამერიკულ დოლარს სძალავდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ფულის გამოძალვისთვის დააკავეს სურამში მცხოვრები კახა ფოსოევი და დავით აგმალოევი. ისინი საჩხერეში მცხოვრებ ერთ-ერთ მეწარმეს ფულს სძალავდნენ. ბიზნესმენის ვინაობას, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ახმაურებენ.

**"თუ საქართველოში თანხის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცების ფაქტი დაფიქსირდება, იგი უმკაცრესად გაკონტროლდება პირადად ჩემ მიერ. ნებისმიერი სახის თავდასხმა თქვენზე, ეს ჩემ წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება იქნება,"** - განაცხადა მინისტრმა.

ბადრი პატარკაციშვილი გუშინ, სხვა ბიზნესმენებთან შედარებით, უფრო პირდაპირი გახლდათ. **"მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება აბსურდს უწოდებს გაჩენილ ბზარს, მე მაინც მგონია, რომ ეს აბსურდი არ არის და ბზარი ნამდვილად არსებობს, რაც წარმოიქმნა ახალ საგადასახადო კოდექსთან, კერძო არბიტრაჟის პრობლემასთან დაკავშირებით. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ნდობის ის ხარისხი, რომელიც ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის იყო, ისევ იმ ხარისხში ავიყვანოთ,"** - აღნიშნა შეხვედრის ინიციატორმა.

შეხვედრის ბოლოს, ბიზნესმენები კმაყოფილები ჩანდნენ.

*ავთო წერეთელი, "სამგორი 98":* **"დღევანდელი შეხვედრით ძალიან კმაყოფილი ვარ. შინაგან საქმეთა სამინისტროსგან დაცვის გარანტიები გვაქვს მიღებული. მნიშვნელოვანია, რომ აღარ არის რეკეტი საქართველოში. გვაქვს შენიშვნები საგადასახადო კოდექსთან და სხვა თემებთან დაკავშირებით, თუმცა იმ საკითხზე, რაზეც ჩვენ დღეს შეხვედრა გვქონდა, არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია."**

*ვანო ჩხარტიშვილი, გქბ:* **"მიმაჩნია, რომ დღეს მსხვილი ბიზნესი მეტ-ნაკლებად დაცულია, თუმცა მცირე და საშუალო ბიზნესი კრიმინალების მხრიდან კვლავ სერიოზულ ზეწოლას განიცდის. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, მე მას, გარდა პოზიტიურისა, ვერანაირ შეფასებას ვერ მივცემდი. ეს პირველი შეხვედრა იყო და დარწმუნებული ვარ, შემდეგი შეხვედრები უფრო გახსნილი იქნება."**

*გიორგი გოგუაძე, "სახალხო ბანკი":* **"დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, არ შეიძლება ეს შეხვედრები ერთჯერადი იყოს, ისინი პერმანენტულად უნდა ხორციელდებოდეს, თვეში ერთხელ მაინც. პირადად მე ერთი კვირის წინ, ბანკირებთან შეხვედრისას ვესაუბრე მინისტრს და, პრაქტიკულად, მაშინ ამოვწურე ჩემი შეკითხვები. ვფიქრობ, დღეს ბიზნესმენები უფრო აქტიურები უნდა ყოფილიყვნენ და შეკითხვები მათი მხრიდან უფრო ინტენსიურად უნდა დასმულიყო. ყველაფერი შედარებითია და, წინა წლებთან შედარებით, შემიძლია ვთქვა, რომ ბიზნესი საქართველოში დაცულია. ადრე არასტაბილურობის შეგრძნება იყო, დღეს სურათი უკეთესობისკენაა შეცვლილი. თუმცა, საბანკო სფერო მეტ-ნაკლებად წინა ხელისუფლების დროსაც დაცული იყო. პრეტენზიები შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არ მაქვს. პირიქით, ის ფაქტი, რომ ეს უწყება ბანკების საქმიანობაში არ ერევა, ძალიან კარგი და სწორია. მინისტრმა აღნიშნა კიდეც, რომ ის მომავალშიც გააკონტროლებს - მისი თანამშრომლები ბიზნესში მხოლოდ კანონის ფარგლებში ერეოდნენ."**

*ოსმან თურანი, "ჯეოსელი":* **"ჩვენი ბიზნესი ცოტა სპეციფიკური სფეროა, რომელიც, შეიძლება ითქვას, საკმაოდ დაცულია. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, მე პირველად ვარ ასეთ შეხვედრაზე და ყველანაირად მივესალმები მას. შს მინისტრთან შეხვედრები ბიზნესმენებისთვის იმ მოტივაციის მიმცემია, რომ ახლა უფრო დაცულები ვიქნებით. ქართული ბიზნესი ამჟამად უფრო დაცულია. დღეს ნამდვილად არ მქონია მინისტრთან ისეთი შეკითხვები, რომელიც მას ვერ დავუსვი."**

*გიორგი კოდუა, "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები":* **"ჩემი ბიზნესპარტნიორები და კოლეგები ყოველთვის ინტერესდებიან, რამდენადაა დაცული ბიზნესი საქართველოში და რამდენად არის შესაძლებელი, ჩამოყვანილმა ტურისტმა ქუჩაში უსაფრთხოდ გაიაროს. დღევანდელ შეხვედრაზე ჩვენ "დავიჭირეთ" მესიჯი, რომ ჩვენს ბიზნესში უსაფრთხოების დაცვა შესაძლებელია.**

**როგორც ბადრი პატარკაციშვილმა განაცხადა, უახლოეს პერიოდში ანალოგიური შეხვედრები ყველა ძალოვანი უწყების ხელმძღვანელებთან გაიმართება."**

# ქართულ-ირანული ბიზნესის პერსპექტივები

*უკვე მეორე დღეა, საქართველოში ირანელ ბიზნესმენთა დაახლოებით 20-კაციანი დელეგაცია იმყოფება, რომელსაც ირანის ვიცე-პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. გუშინ სასტუმრო "ამბასადორში" დიდი ბიზნესფორუმი მოეწყო, სადაც ორი ქვეყნის საქმოსნებმა მომავალ პარტნიორობაზე ისაუბრეს. დღეს დილით ირანელი ბიზნესმენები საქართველოს პრემიერ-მინისტრს შეხვდებიან, მოგვიანებით კი, ქართველ კოლეგებთან ერთად ისინი დასავლეთ საქართველოს ეწვევიან. ფოთის შემდეგ ბოლო გაჩერება ბათუმში იქნება.*

მარიამ ჭაჭკაძე

უკვე მერამდენედ, საქართველოში დიდი ბიზნესფორუმი ეწყობა. ნოემბრის რევოლუციის შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში რიგ-რიგობით ჩამოდიან სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესის წარმომადგენლები და რიგ-რიგობით ეწყობა დიდი ბიზნესფორუმები, ხელი ეწერება სხვადასხვა ტიპის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს და ბევრს ლაპარაკობენ სამომავლო გეგმებსა და საქმიან ურთიერთობებზე. თუმცა, აქედან კონკრეტული შედეგი ჯერ არც ერთ ბიზნესფორუმს არ მოუტანია. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ეს მეტად მოკლე დროა თვალსაჩინო შედეგებზე საუბრისთვის. მოკლედ, ასეა თუ ისე, გუშინ ქართულ-ირანული ბიზნეს-ფორუმის პირველმა დღემ ჩვეულებრივი პომპეზურობით ჩაიარა, სადაც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ირანის სავაჭრო-სამრეწველო და მადანის პალატისა და ირანელ ბიზნესმენთა კავშირის ხელმძღვანელმა პირებმა ამ ფორუმის მნიშვნელობაზე ერთმანეთის მიყოლებით ისაუბრეს. ბევრჯერ ითქვა, რომ ქართულ და ირანულ ბიზნესს შორის ორივე ქვეყნის ისტორიაში გუშინდელი შეხვედრა პირველი იყო, რაც, სავარაუდოდ, იმის მთავარი მიზეზია, რომ ორ სახელმწიფოს შორის სავაჭრო და სხვა ეკონომიკური აქტივობა დღემდე სუსტად არის განვითარებული. ირანელი ბიზნესმენები განსაკუთრებულად იმის გამო წუხდნენ, რომ მათ ყველაზე სუსტი კავშირები ქართულ საბანკო სექტორთან გააჩნიათ. ორადორი კომერციული ბანკი, რომელსაც თავის ირანელ კოლეგებთან გარკვეული სახის ურთიერთობები გააჩნია, "საქართველოს ბანკი" და "პროკრედიტ ბანკია".

გუშინდელი შეხვედრის ძირითადი დრო ირანის ისლამური რესპუბლიკის ერთგვარ პრეზენტაციას და ამ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ქართველი ბიზნესმენებისთვის გაცნობას დაეთმო. ალი ნაღი ხამუშმი, ირანის სავაჭრო-სამრეწველო და მადანის პალატის თავმჯდომარე, ქართველი მეწარმეების ირანული საგადასახადო სისტემით მოხიბვლას ცდილობდა. მისი თქმით, ახლო აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ირანელი მეწარმეები და იქ ჩასული უცხოელი ინვესტორებიც ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით იბეგრებიან.

ალი ნაღი ხამუში იმასაც ირწმუნებოდა, რომ მსოფლიო ბაზარზე მეტალის ფასის ზრდის მიუხედავად, ამ ლითონზე ფასებმა ირანში მნიშვნელოვნად დაიწია. ხამუშმა ქართველ ბიზნესმენებს ინვესტიციების მძიმე მრეწველობაში დაბანდებისკენ მოუწოდა, რადგან მძიმე მრეწველობის პროდუქციაზე მოთხოვნა ირანში წელიწადში 24 მილიონ ტონას აღემატება, მაშინ, როცა წარმოებული პროდუქციის რაოდენობა 12 მილიონ ტონაზე ნაკლებია.

მანქანათმშენებლობა, ფარმაცევტული წარმოება, საბანკო სექტორი, კავშირგაბმულობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა - მოკლედ, თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენელი ესწრებოდა გუშინდელ ბიზნესფორუმს, როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნიდან.

ირანელ ბიზნესმენთა კავშირის თავმჯდომარემ ალი რეზე თარიმმა კი ჟურნალისტებს უთხრა, რომ ირანელი ბიზნესმენები საქართველოში, ძირითადად, ტურიზმის, საბანკო და ენერგეტიკის სფეროთი ინტერესდებიან. როგორც ჩანს - ამ უკანასკნელით განსაკუთრებით, რადგან, ალი რეზე თარიმის თქმით, ირანელ ბიზნესმენებს სურვილი აქვთ, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში ათეულობით მილიონი დოლარის ინვესტიციები დააბანდონ.

მოგვიანებით, დახურულ კარს მიღმა ქართველი და ირანელი ბიზნესმენები ერთმანეთს გაეცნენ და საკუთარი საქმიანობისა და შესაძლებლობების შესახებაც ბევრი ილაპარაკეს.

ცნობისათვის, საქართველოში დღეს სხვადასხვა სფეროში 200-მდე ირანელი მეწარმე საქმიანობს.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური (ქ. თბილისი, ალმაშენებლის გამზ. №89/24, საიდ. კოდი 201955296, ა/ა 001132801, საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო კოდი 220101107) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს ქ. თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენგეგმის წინამოსამზადებელი სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასრულებელი სამუშაოები დაყოფილია ორ ლოტად:

I ლოტი: ქ. თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის წინამოსამზადებელი სამუშაოები;

ა) ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენების გეგმის მოსამზადებელი სამუშაოები (მათ შორის საყრდენი გეგმა);

ბ) ქ. თბილისის სატრანსპორტო ქსელის ანალიზი - საველე სამუშაოები და გეოსაინფორმაციო სისტემის (გის) პროგრამული უზრუნველყოფა;

გ) ქ. თბილისის მრავალმიზნობრივი ქალაქგეგმარებითი კადასტრის სამუშაოები.

II ლოტი:ქ. თბილისის საინჟინრო ინფრასტრუქტურის საყრდენი გეგმისმომზადება.

1. დაფინანსების წყაროა ქ. თბილისისბიუჯეტი.
2. მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 1 დეკემბრამდე.
3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ღირებულების გარეშე) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 11 მაისიდან 13 მაისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალმაშენებლის გამზ. №89/24.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) დადგენილება სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ, წესდების ან დებულების თანდართვით.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;

დ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირისათვის:

ა) ლიცენზია საპროექტო სამუშაოების განხორციელების შესახებ;

ბ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების განხორციელების შესახებ;

გ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

დ) ინფორმაცია სუბკონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოს შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდა.
6. ტენდერში მონაწილეობის მსურველს აქვს ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენის უფლება.
7. საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას პირველადი სატენდერო წინადადება ზოგადი მონაცემებით, ღირებულების გარეშე.
8. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.
9. პირველადი და საბოლოო სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება დახურული კონვერტებით.
10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერის მეორე ეტაპზე მოწვეულ პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალმაშენებლის გამზ. №89/24, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური. სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის კონკრეტული ვადა პრეტენდენტებს ეცნობებათ საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად, შერჩევიდან არაუმეტეს 5 დღის ვადაში.
11. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ბესო გელდიაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95-30-37 და ალეკო ჩხეიძე - სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონტაქტო ტელეფონი 95-32-19 მისამართზე: ქ. თბილისი, ალმაშენებლის გამზ. №89/24, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# პარლამენტი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების გაჩერებით დაინტერესდა

ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების გაჩერების გამო პარლამენტი პასუხს ფინანსთა სამინისტროს სთხოვს. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი ეჭვობს, რომ ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების ფუნქციონირების შეჩერება "სატელეფონო ზარის დამსახურებაა".

როგორც ლეკიშვილმა განაცხადა, საწარმოები ნავთობის გადამუშავების ნებართვას ვერ იღებენ, რადგან მათ განაცხადს ნავთობისა და გაზის რესურსების სახელმწიფო სააგენტო არ განიხილავს.

**"სააგენტოს უფლება არ აქვს, განაცხადების განხილვაზე უარი თქვას, თუმცა, ვფიქრობთ, რომ სააგენტომ ლიცენზიების საკითხის განხილვა სატელეფონო ზარის შემდეგ შეაჩერა,"** - განაცხადა ლეკიშვილმა.

პარლამენტში მიაჩნიათ, რომ ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების ფუნქციონირების შეჩერება კერძო ინტერესებს ემსახურება, ამიტომ 27 აპრილს დაგეგმილია დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური კომიტეტის სხდომა, სადაც ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტართა შეკითხვებს უპასუხებენ.

დღეისთვის საქართველოში ლიცენზირებას მხოლოდ ნავთობის გადამუშავება ექვემდებარება. ცოტა ხნის წინ, ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა და პარლამენტში განსახილველად შეიტანა კანონპროექტი **"ნავთობისა და თამბაქოს ლიცენზირების შესახებ."** ამ კანონპროექტით, პრინციპში, ხელისუფლება ნავთობის ბიზნესის "სრულად გაკონტროლებას" გეგმავდა. აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, ნავთობის გადამუშავებასთან ერთად, ლიცენზირებას უნდა დაექვემდებაროს ნავთობის იმპორტი, რეალიზაცია და გადაზიდვა. აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტმა დაიწუნა და მთავრობას გადასამუშავებლად გადაუგზავნა.

*24 საათი*

# "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" "ელექტროსისტემის" წინააღმდეგ

"საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" ელექტროენერგიის დარიცხვასთან დაკავშირებით "სახელმწიფო ელექტროსისტემასთან" პრეტენზიები გააჩნია.

როგორც "ინტერ-პრესს" კომპანიის ოპერაციათა მართვის სამსახურის უფროსმა მამუკა კიკალიშვილმა განუცხადა, "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" "სახელმწიფო ელექტროსისტემა", რეალურთან შედარებით, 20-30 პროცენტით მეტ ელექტროენერგიას არიცხავს.

**"ქვესადგურებიდან, საიდანაც ჩვენს კომპანიას ელექტროენერგია მოეწოდება, მონაცემები არასწორად გამოდის. საბითუმო ბაზარს მიეწოდება გაზრდილი ციფრები, რის გამოც ჩვენს ენერგოკომპანიას, რეალურ მოხმარებასთან შედარებით, ზედმეტი ელექტროენერგია ერიცხება,"** - განაცხადა კიკალიშვილმა.

მისი თქმით, სწორედ ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" თანხები გამოუყო. **"აღნიშნული თანხებით "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ქვესადგურებში დამონტაჟდება 1200 ერთეული საბითუმო ელექტრონული მრიცხველი, რომლითაც შესაძლებელი იქნება, ჩვენი კომპანიისთვის მოწოდებული ელექტროენერგიის ოდენობა 15 წუთში ერთხელ გაკონტროლდეს,"** - განაცხადა კიკალაშვილმა.

"სახელმწიფო ელექტროსისტემაში" "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ბრალდებებს აბსურდულს უწოდებენ. როგორც "ინტერ-პრესს" კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" ზედმეტად დარიცხულ ელექტროენერგიასთან დაკავშირებით პრეტენზია "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" არ გამოუთქვამს, ამიტომ, ენერგოკომპანიის მხრიდან ამგვარი განცხადებები გაუგებარია.

**"ქვესადგურებში დამონტაჟებულია მრიცხველები, რომლებიც ქვესადგურებიდან გასული ელექტროენერგიის ოდენობას აღრიცხავს. თუ მრიცხველების ჩვენების სიზუსტესთან დაკავშირებით "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" პრეტენზიები გააჩნია, მაშინ ეს ოფიციალურად უნდა გამოეთქვა, რის შემდეგაც ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის, "სახელმწიფო ელექტროსისტემისა" და თავად "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" სპეციალისტები მრიცხველებს შეამოწმებდნენ და მათი მუშაობის ხარისხს გააკონტროლებდნენ,"** - განაცხადეს "ელექტროსისტემაში".

სხვათა შორის, ელექტროსისტემაში მრიცხველებთან დაკავშირებით არსებულ გარკვეულ პრობლემებზე გასული წლის მიწურულს "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ენერგეტიკის მონიტორინგის ფარგლებში "24 საათში" უკვე წერდა, მაგრამ გასულ წელს გამოქვეყნებულ მასალებს რეაგირება არ მოჰყოლია. (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ სხვა პრობლემასთან - ენერგოდანაკარგების პრობლემასთან გვქონდა საქმე, რაც ცალკე განსახილველი თემაა).

რაც შეეხება "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის" სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 20 მილიონი ლარის ხარჯვის პერსპექტივას: კომპანიის ინფორმაციით, ეს თანხა 10 ქალაქში აბონენტთა ინდივიდუალურ გამრიცხველიანებაზე დაიხარჯება.

როგორც კომპანიაში აღნიშნავენ, ბიუჯეტიდან კომპანიისთვის გამოყოფილი თანხის სამი მეოთხედი გამრიცხველიანებაზე დაიხარჯება, დანარჩენი თანხა კი ქსელების რეაბილიტაციას მოხმარდება.

კომპანიაში ვარაუდობენ, რომ 20 მილიონი ლარის სრულად ათვისების შემდეგ, მომხმარებლებისგან ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი 70 პროცენტამდე გაიზრდება. ამჟამად კომპანიაში ამოღების მაჩვენებელი 50 პროცენტია.

*24 საათი*

# პირველი საერთაშორისო ნუტრიციოლოგიური სემინარი ბავშვთა კვების საკითხებში.

საქართველოს პერინატოლოგთა და ნეონატოლოგთა პროფესიული ასოციაცია უკვე მრავალი წელია ემსახურება საქართველოში ნეონატოლოგიის განვითარებას.

პროფესიული სემინარებისა და სემეცნიერო კონფერენციების მოწყობა ასოციაციის ტრადიციად იქცა. ჩვენი ასოციაციის მიერ ჩატარებულია 17 სემინარი და 13 კონფერენცია, რაშიც აქტიურად გვიჭერდნენ მხარს საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი და შვეიცარული კომპანია "ნესტლე", რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებთ.

განსაკუთრებით გვსურს ავღნიშნოთ კომპანია "ნესტლე" , რომელიც უდიდეს ყურადღებას უთმობს უწყვეტ პროფესიულ სამედიცინო განათლებას და რომლის აქტიური მხარდაჭერითაც შესაძლებელი გახდა საქართველოში ბავშვთა კვების საკითხებისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო ნუტრიციოლოგიური სემინარის ჩატარება.



აღნიშნული სემინარი მოეწყო 2005 წლის 20 აპრილს სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში. ღონისძიებას ესწრებოდნენ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები საქართველოდან, სასომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან- მონაწილეობა მიიღო 250-ზე მეტმა ექიმმა. სემინარი გახსნა სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის პრორექტორმა: პროფ. ი. ფავლენიშვილმა. მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარემ: ზ.ბოხუამ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, პარლამენტის წევრმა გ. გეგელაშვილმა. სპეციალურად ამ სემინარისათვის შვეიცარიიდან მოწვეულ იქნენ ექსპერტები ნუტრიციოლოგიის დარგში : პროფ. მარი-ქრისტინ სეკრეტინი-სამეცნიერო კონსულტანტი ბავშვთა კვების საკითხებში, პროფ. როდოლფო ფრიჩე-"ნესტლეს" სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, პროფ. ფლორენს როშატ-"ნესტლეს" სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს უახლესი მიღწევები და სამეცნიერო კვლევების შედეგები ბავშვთა კვების სფეროში.

ასოციაცია მომავალშიც გეგმავს პროფესიული სემინარებისა და კონფერენციების მოწყობას, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მედიცინის სფეროს განვითარებას საქართველოში და საერთაშორისო პროფესიული გამოცდილების გაზიარებას.

*საქართველოს პერინატოლოგთა და ნეონატოლოგთა*
*პროფესიული ასოციაციის პრეზიდენტი:*
*ია დავითაია*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელოს სამმართველომ ფოთის საგადასახადო ინსპექციის უფროსი ინსპექტორის ლევან ხოჭოლავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. როგორც ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, ლევან ხოჭოლავამ ერთ-ერთ შპს-ზე ყალბი ცნობა გასცა. აღნიშნული ცნობის თანახმად, შპს-ს სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება არ ჰქონდა, თუმცა ფინანსური პოლიციის მიერ ჩატარებული მოკვლევით დადგინდა, რომ საგადასახადო ინსპექციამ ცნობა უკანონოდ გასცა. მოკვლევის თანახმად, შპს-ს სახელმწიფო ბიუჯეტის 11 ათას ლარზე მეტი მართებდა. სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით აღიძრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის სამეგრელოს ოპერატიულმა სამმართველომ, მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით სიგარეტის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვის მუხლით, ორი სისხლის სამართლის საქმე აღძრა. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, გიორგი გრიგალაშვილი ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაყარის ტერიტორიაზე მაშინ დააკავეს, როდესაც მას "მერსედესის" მარკის ავტომანქანით 4 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი "ტროიკა" გადაჰქონდა. ზუგდიდის მახლობლად, ე.წ. ხორცკომბინატის დასახლებაში კი ფინანსურმა პოლიციამ უაქციზო სიგარეტის სამალავს მიაგნო, სადაც 5 ათასი კოლოფი უაქციზო "ნოვოსტი" და 2 ათასი კოლოფი "ტროიკა" ინახებოდა. მფლობელის ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის განყოფილების თანამშრომლებმა სურამში მცხოვრები კრიმინალური დაჯგუფების წევრები დააკავეს, რომლებიც კერძო მეწარმეებს თანხებს სძალავდნენ. შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულები არიან - კახა ფოსოევი და დავით აგამალოვი, რომლებიც საჩხერეში მცხოვრებ კერძო მეწარმეს 1000 დოლარს სძალავდნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს საჩხერის საგამოძიებო სამსახური იძიებს. ბიზნესმენის ვინაობას, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ ახმაურებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კასპის რაიონის სოფელ იგოეთთან შიდა ქართლის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ავტომანქანა "ნივა", რომლის მძღოლს უსაბუთოდ გადაჰქონდა 300 ლიტრი სპირტი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველმა მესაზღვრეებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ეროვნებით ჩეჩენი რუსეთის მოქალაქე დააკავეს. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრეს-სამსახურის განცხადებით, ჩეჩენი მოქალქე მესაზღვრეებმა "დომოდედოვო-თბილისის" რეისზე, სავიზო რეჟიმის დარღვევის ბრალდებით, დააკავეს.

სავიზო განყოფილებამ აღნიშნულ პირზე საქართველოს ვიზა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნით, არ გასცა. პრეს-სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული პირის საქართველოდან რუსეთში დეპორტაცია დღეს მოხდა. **ინტერ-პრესი**

# სასჯელაღსრულების დეპარტამენტში პატიმართა უფლებების დარღვევის დაფარვას ცდილობენ

*თავისუფლების ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგების თანახმად, საქართველოს საპატიმროებში სხეულის დაზიანებებით შეყვანილი ადამიანების რაოდენობა არ მცირდება, რაც იმთავითვე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში კვლავაც გრძელდება დაკავებულებზე ფიზიკური ზეწოლის მავნე პრაქტიკა.*

თავის დროზე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებიდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადანაცვლება თავიდანვე იქნა აღქმული იმის საწინდრად, რომ პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში დაკავებულებზე ფიზიკური ზეწოლის ფაქტთა რაოდენობა თუ არ შემცირდებოდა, ყოველ შემთხვევაში, მათი გამოვლენა და შესაბამისად რეაგირების საშუალება შეიქმნებოდა, რაც, თავისთავად, პრევენციული ფუნქციის მატარებელი იქნებოდა. პირველ ეტაპზე ამან მართლაც შეასრულა გარკვეული როლი, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, სასჯელაღსრულების სისტემის იუსტიციის სამინისტროში გადანაცვლებასთან ერთად წინასწარი დაკავების საკნებიდან საპყრობილეებში გადაყვანილ პატიმრებისთვის დაწესდა სამედიცინო შემოწმების ჩატარების აუცილებლობა, რა დროსაც ექიმები პატიმართა სხეულზე არსებულ დაზიანებებს აფიქსირებენ. თუმცა, საბოლოო ჯამში, აღმოჩნდა, რომ ექიმების მიერ აღრიცხული მონაცემები მხოლოდ სტატისტიკური მაჩვენებლების შესადგენად თუ გამოიყენება და ისიც, ხშირ შემთხვევაში - მცდარის. სწორედ მცდარი მონაცემების გამოქვეყნებაა ის ერთ-ერთი პრეტენზია, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელს შოთა კოპაძეს უყენებენ და სხვა მრავალ დარღვევასთან ერთად ესეც გახლავთ მისი თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნის მიზეზი. იუსტიციის სამინისტროს მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული მონაცემები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდება არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძოდ, თავისუფლების ინსტიტუტის მიერ მოპოვებული ინფორმაციისგან, ამას ქვემოთ მოყვანილი ციფრებიც მოწმობს.







თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლის თეა თუთბერიძის მონაცემებით, 2005 წლის მარტის თვეში მხოლოდ №1 საპყრობილეში, ექიმის სარეგისტრაციო ჟურნალის თანახმად, 65 ადამიანია შეყვანილი სხეულის დაზიანებებით, თებერვალში - 63, ხოლო აპრილის თვის პირველ კვირას - 13. არადა, სრულიად სხვა მონაცემებს გასცემს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - კერძოდ, შოთა კოპაძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, მარტში მთელი საქართველოს მასშტაბით არსებულ საპყრობილეებში დაზიანებებით შეიყვანეს მხოლოდ 32 პატიმარი, თებერვალში კი - 23.

თავისუფლების ინსტიტუტი ამ საკითხს კიდევ უფრო ჩაუღრმავდა და, თითქმის, წელიწადნახევრის მონაცემები გააანალიზა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ოფიციალური მონაცემებით, 2003 წლის დეკემბრიდან 2005 წლის მარტის ჩათვლით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებით შეყვანილ პირთა რაოდენობა 558 ადამიანს შეადგენს. თუმცა, თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლის თეა თუთბერიძის განცხადებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონაცემები არასწორია, რადგან მხოლოდ №1 საპყრობილეში იმავე პერიოდში, ექიმის სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით, სხეულის დაზიანებებით 1067 ადამიანია შეყვანილი.

**"და ეს მაშინ, როცა №1 საპყრობილეში შეყვანილ ყველა დაკავებულს არ უტარდებოდა სამედიცინო შემოწმება. იყო პერიოდი, როცა აღნიშნულ საპყრობილეში დღეში 50-60 დაკავებულის შედიოდა, ხოლო საპყრობილეში ერთი მორიგე ექიმი იყო, რომელიც ყველას შემოწმებას ფიზიკურად ვერ ახერხებდა. შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებით შეყვანილ პირთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე სასჯელაღსრულების დეპარტამენტი იუწყება"**, - აცხადებს თუთბერიძე და დასძენს: **"სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსმა შოთა კოპაძემ განაცხადა, რომ, საკითხის შესწავლის გარეშე, თავისუფლების ინსტიტუტის კითხვაზე თავისუფლების ინსტიტუტის დამოუკიდებელი მონიტორინგისა და იუსტიციის სამინისტროს მონაცემებს შორის ასეთი მნიშვნელოვანი სხვაობის თაობაზე კომპეტენტური პასუხის გაცემა არ შეუძლია".**

პატიმრების სხეულზე დაზიანებების აღმოჩენის ფაქტების რეაგირების გარეშე დატოვების გამო, არასამთავრობოები მხოლოდ სასჯელაღსრულების დეპარტამენტს როდი უყენებენ პრეტენზიებს.

**"პროკურატურის წარმომადგენელთა განცხადება, რომ სამართალდამცველ სტრუქტურებში, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მდგომარეობა გაუმჯობესდა, უსაფუძვლოა"**, - ამბობს თეა თუთბერიძე, რომლის თქმითაც, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სხეულის დაზიანებებით შეყვანილ პირთა რაოდენობა ყველაზე მაღალი 2004 წლის აგვისტოში იყო, როდესაც №1 საპყრობილეში 119 ადამიანი სხეულის მძიმე დაზიანებებით შეიყვანეს. სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტებით გამოყენებისა და წამების ფაქტზე კი პროკურატურაში მხოლოდ რამდენიმე საქმეა აღძრული.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ შედგენილი არასწორი სტატისტიკის გამო "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა ლევან რამიშვილმა იუსტიციის მინისტრს კოტე კემულარიასაც მიაწოდა ინფორმაცია და, ყალბი სტატისტიკის შექმნის გამო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შოთა კოპაძის პასუხისმგებლობის საკითხიც დასვა. **"სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ შედგენილი ყველა მონაცემი, იმის შესახებ, თუ რამდენი პატიმარი შევიდა ციხეში სხეულის დაზიანებით, ყალბია. რეალური მონაცემები სამჯერ აღემატება იმას, რასაც კოპაძე "ასაღებს". ამის გამო, კოპაძემ პასუხი უნდა აგოს",** - განაცხადა ლევან რამიშვილმა რამდენიმე დღის წინ იუსტიციის მინისტრისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა მრჩეველთა საბჭოს შეხვედრაზე.

*24 საათი*

## მოკლედ

### აფხაზეთთან, ადმინისტრაციულ საზღვარზე შსს-ს განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი განლაგდა

ზუგდიდში შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის წევრები ჩავიდნენ და მდინარე ენგურზე გადებული ცენტრალური საავტომობილო ხიდის მისადგომებთან განთავსდნენ. გარდა ამისა, განსაკუთრებული დანიშნულების ჯგუფის წევრები განთავსდებიან ენგურის ზოლზე და ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციულ საზღვართან. რაზმის წევრების მიზანია ნარკოტიკული საშუალებებისა და ასაფეთქებელი ნივთიერების საზღვარზე გადმოტანის მცდელობების აღკვეთა. აღნიშნულ ტერიტორიაზე კინოლოგების მიერ გაწვრთნილი ძაღლებიც ჩაიყვანეს. შსს კონტრდაზვერვის სამმართველოს რეგიონული განყოფილების უფროსის მოადგილის ბადრი სერგიას განცხადებით, აღნიშნული ღონისძიება იქამდე გაგრძელდება, ვიდრე რეგიონში აფხაზეთის ტერიტორიიდან ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და ნარკოტიკული საშუალებების შემოტანის მცდელობები არ აღიკვეთება. ბადრი სერგია ჯერჯერობით თავს იკავებს კონკრეტულ შედეგებზე საუბრისგან. თუმცა, მისი განცხადებით, ეს ღონისძიება საკმაოდ ეფექტური იქნება და დადებით შედეგს გამოიღებს. არაოფიციალური სტატისტიკით, ზუგდიდი, ნარკოტიკების მოხმარების თვალსაზრისით, საქართველოში მეორე ადგილზეა თბილისის შემდეგ. ნარკოტიკების მომხმარებელთა საშუალო ასაკი აქ 15-დან 20 წლამდე მერყეობს. **ინტერ-პრესი**

### ქართველ მსმენელებს ავსტრიული სერტიფიკატები გადაეცათ

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში დასრულდა სასწავლო კურსი "ეკონომიკა და ადმინისტრირება", რომლის 14 მონაწილეს ევროპული სტანდარტების შესაბამისი სერტიფიკატები საქართველოში ავსტრიის საპატიო კონსულმა ევა ბერგერმა გადასცა. იუსტიციის სასწავლო ცენტრის საკონფერენციო დარბაზში 5-კვირიანი ტრეინინგი 19 მარტს დაიწყო და 22 აპრილს გამოცდით დასრულდა. კურსი გაიმართა საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და ავსტრიის ინსტიტუტის თანამშრომლობის ფარგლებში. ტრეინინგი ჩაატარეს ავსტრიიდან მოწვეულმა ექსპერტებმა - მაქსიმილიან ფიოდინგერმა, ინსტიტუტის დირექტორმა მარტინ შტიგერმა და ჰერბერტ შლაიერმა. იუსტიციის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელის სულხან გამყრელიძის ინფორმაციით, მომდევნო, ქართულ-ავსტრიული კურსი - "ფინანსური კონსულტანტი" 10-16 მაისს ჩატარდება, რომელიც 48 აკადემიურ საათს მოიცავს. **24 საათი**

### ლაშა ბიგვავას მკვლელობაში ეჭვმიტანილი რუსი მშვიდობისმყოფელისთვის ბრალი არ წაუყენებიათ

21 წლის ქართველი ახალგაზრდას ლაშა ბიგვავას მკვლელობაში ეჭვმიტანილი რუსი მშვიდობისმყოფელისთვის, ლეიტენანტ მირონოვისთვის გამოძიებას ბრალი ჯერ არ წაუყენებია. სამშვიდობო ძალების პრეს-სამსახურის უფროსის ვიცე-პოლკოვნიკ ვიქტორია დერგილიოვას განცხადებით, სოფელ ღუმურიშში 21 აპრილს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, რის შედეგადაც მოქალაქე ბიგვავა დაიღუპა, სამშვიდობო ძალების პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მისივე ინფორმაციით, ამჟამად გამოძიება აფხაზ სამართალდამცველებთან და ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის წარმომადგენლებთან ერთად მიმდინარეობს. როგორც დერგილიოვამ "ინტერ-პრესთან" საუბრისას განაცხადა, სამხედრო პროკურატურა, რომელიც მომხდარ ფაქტს იძიებს, გამოძიების დასრულებამდე ინფორმაციის გაცემას მიზანშეუწონლად მიიჩნევს. მისივე თქმით, გამოძიება მკვლელობის ორ ვერსიაზე მუშაობს. ერთ-ერთი ვერსიით, მირონოვმა იარაღი თავდაცვის მიზნით გამოიყენა, მეორე ვერსიის თანახმად კი, ბიგვავა "მირონოვის მხრიდან იარაღის გაუფრთხილებელი გამოყენების მსხვერპლი გახდა".

ვიცე-პოლკოვნიკი დერგილიოვა არ ადასტურებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის გიგი უგულავას მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს სამშვიდობო ძალების სარდლობამ 108-ე საგუშაგოზე 21 აპრილს მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი აფხაზეთიდან რუსეთის ტერიტორიაზე გადაიყვანა. თუმცა, იმასაც აცხადებს, რომ მისთვის უცნობია მკვლელობაში ეჭვმიტანილი მირონოვის ადგილსამყოფელი. საქართველოს ხელისუფლებამ სამშვიდობო ძალების სარდლობას კატეგორიულად მოსთხოვა გალის რაიონის სოფელ ღუმურიშში 21 აპრილს მომხდარ მკვლელობაში მონაწილე პირთა დასჯა. 1994 წლის ივლისიდან, კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების მოქმედების პერიოდში დაღუპულია გალის რაიონში მცხოვრები 1400 ქართველი. **ინტერ-პრესი**

### რუსთავის მერი ქალაქის საპატრულო პოლიციის მუშაობით უკმაყოფილოა

რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი საპატრულო პოლიციის მუშაობით უკმაყოფილოა და ქალაქში ამოქმედებული სამსახურის თანამშრომლებს შენიშვნებსა და მითითებებს აძლევს. ტყეშელაშვილის უკმაყოფილების მიზეზი ის გახდა, რომ გუშინ დილით მან ქალაქში საპატრულო ავტომანქანა ვერ შეამჩნია. "მაინტერესებს მათი მუშაობის განრიგი; მითხრან, რას აპირებენ; მინდა, იცოდნენ, რომ თუ ქალაქში მაქსიმალური კონტროლი და წესრიგი არ დამყარდება, ჩვენგან დანდობა არ იქნება," - განაცხადა მერაბ ტყეშელაშვილმა მერიაში გამართულ ორშაბათის თათბირზე. **ინტერ-პრესი**

### თბილისის საოლქო სასამართლო ბასილ მკალავიშვილის საქმეს განიხილავს

თბილისის საოლქო სასამართლოში ბასილ მკალავიშვილისა და მისი მრევლის წევრის პეტრე ივანიძის საქმის განხილვა განახლდა. სასამართლო პროცესი მკალავიშვილის მხარდამჭერთა საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა. საქმე ისაა, რომ პატიმართა ადვოკატები ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 31 იანვრის გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ, რომლითაც ბასილ მკალავიშვილს, სხვისი ქონების განზრახ განადგურებისა და სხვა ბრალდებების გამო, ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, პეტრე ივანიძეს ოთხი წლით პატიმრობა მიესაჯა.

შეგახსენებთ, რომ ბასილ მკალავიშვილი და მისი მრევლის შვიდი წევრი 2004 წლის 12 მარტს სპეცოპერაციის დროს გლდანის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. მათ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე თბილისის პროკურატურამ გამოიძია. პროკურატურამ მკალავიშვილს ბრალი 2002 წლის თებერვალში წაუყენა - იეღოველთა ლიტერატურის დაწვის გამო, სხვისი ქონების განზრახ განადგურების მუხლით; მრევლის წევრებს კი - პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 31 იანვრის გადაწყვეტილებით, მკალავიშვილს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მისი მრევლის წევრს პეტრე ივანიძეს - ოთხი წლით პატიმრობა, ხოლო დანარჩენებს პირობითი სასაჯელი შეეფარდათ; ოთხი წევრი - ავთანდილ გაბუნია, მიხეილ ნიკოლოზიშვილი, ავთანდილ ჯანაძე და აკაკი მოსეშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. **24 საათი**

# უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

.............................................................................................................

.............................................................................................................

.............................................................................................................

.............................................................................................................

.............................................................................................................

.............................................................................................................

.............................................................................................................

.............................................................................................................

.............................................................................................................

.............................................................................................................

## ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი** ..........................................................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..............................................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..............................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# ღია წერილი გაზეთ "24 საათის" მთავარ რედაქტორს

ბ-ნო მამუკა!

უკვე მესამე ბარათს გიგზავნით, მაგრამ ამჯერად ღია წერილის სახით, რაკი ჩემი წინა წერილები აინუნშიაც არ ჩააგდეთ. გწერდით კი იმის თაობაზე, რომ თქვენმა პრესომბუდსმენმა, ბ-ნმა *ნ. ლადარიამ* ისეთი ტირადები მოგვიძღვნა ჩოხოსნებს, არაფრით რომ არ ეკადრება არც მას და არც თქვენს გაზეთს. ცხადია, თავად ბ-ნ ნ. ლადარიასაც მივწერე, ბარე სამჯერ, გასული წლის დეკემბერში, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ. მხოლოდ ამის შემდეგ მოგმართეთ თქვენ, მაგრამ ისევ ამაოდ.

საქმე ისაა, რომ, როგორც ჩანს, თქვენს ავტორებს, ქუჩარას ("ყვარყვარე თუთაბერი") სიმპტომი შეჰყრიათ - მხოლოდ ის ჰგონიათ მართალი, რასაც თვითონ ამბობენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ ერთი ტენდენცია ამოძრავებთ - ოღონდ კი ვინმე გაკილონ და მერე, ჰაიდა, უკანაც არ იხედებიან, აქაოდა, ეს ციხე ხომ მივასოდომგომორეთ, ახლა სხვა სიმაგრეებს უნდა მივხედოთო.

ავტორებს-თქო, იმიტომ მოგახსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინ ქ-ნმა *ნინია კაკაბაძემაც* შემოგვიტია (ამ შემთხვევაში ვლაპარაკობ როგორც თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი), კინოფაკულტეტის კინოსარეჟისორო და კინოსაოპერატორო განყოფილებაზე წამყვანი პედაგოგები ძირითადად *კლიპმეიკერები, ტელეოპერატორები* და სრულიად *გაუგებარი პროფესიისა* თუ *სტაჟის* მქონე პედაგოგები არიანო.

აფერუმ შენს ქალობას! ნამდვილად ოსტატობა უნდა ერთ წინადადებაში, მართლაც, ამდენი *გაუგებრობა* ჩატიო:

1. ტელეოპერატორი საერთოდ არ გვყავს პედაგოგად, რომ გვყავდეს კიდეც, რა გასაკვირი იქნებოდა - ჩვენი ფაკულტეტი ხომ კინო-ტელე ფაკულტეტია?!

2. "გაუგებარი სტაჟის მქონე პედაგოგი" - რას ნიშნავს, ვერ ვხვდები - სტაჟზე გაუგებრობა არ ითქმის. სტაჟი ან გაქვს, ან არ გაქვს. თუ უსტაჟობაზე, ანუ გამოუცდელობაზეა საუბარი, ვთქვათ, ვინმე ისეთი ახალგაზრდა თუ მოვიწვიეთ, რომელსაც არ ჰქონდა პედაგოგობის გამოცდილება, არც ეს მიმაჩნია ცოდვად - ს. *ეიზენშტეინი* სულ პირტიტველა ყმაწვილი იყო, პედაგოგობა რომ დაიწყო, იღლიაში უამრავი წიგნი ჰქონდა ამოჩრილი და ამტკიცებდა, "Лучший способ изучать, это - преподавать"-ო. ასე რომ, მოდით, ეს მხოლოდ სტილისტურ ლაფსუსად ჩავუთვალოთ ქ-ნ ნ. კაკაბაძეს.

3. მთავარი ის ბრალდებაა, რომელსაც ჩვენივე კურსდამთავრებული გვიყენებს: ეს კაი დედ-მამის შვილი (არადა, მართლაც კაი დედ-მამის შვილია, ჩემი მეგობრებისა და კოლეგების), რომელი შორეული მე ვიყავი მისთვის, რას მიმალავდა ამდენ ხანს, თუ მართლაც (თუნდაც მისი აზრით) ასეთი (გაუგებარი პროფესიის) პედაგოგები მყავდა შემოპარული კინოსარეჟისორო და კინოსაოპერატორო განყოფილებაზე?!

ამიტომაც მწყდება, ბ-ნო მამუკა, გული თქვენს ავტორებზე, ასე "უპრაგონოდ" რომ მიწუნებენ საქმიანობას, მეგობარ-კოლეგებს და არც კი მეუბნებიან, კერძოდ, ვის გულისხმობენ. მათ არგუმენტებს მხოლოდ მაშინ შემიძლია ვცე პატივი, თუკი მეტყვიან, ვისზეა საუბარი. ასე ზოგადად, დაუსახელებლად, ვარაუდებით, გნებავთ, ჭორებით, როგორ შეიძლება ვინმეს ლანძღვათრევა?! განა ეს თქვენი სტილია, ბ-ნო მამუკა? როცა გსურთ, გვარებსაც კარგად ასახელებთ და არც არაფერს ერიდებით, მაგრამ რაღა ჩვენზე გადაწყვიტეთ მიკიბულ-მოკიბული საუბარი, თანაც ასე შეურაცხმყოფელი?!

ამდენად, ახლა თქვენგან, როგორც გაზეთის მთავარი რედაქტორისაგან, უკვე *კატეგორიულად* მოვითხოვ დამისახელოთ თუნდაც ორი ჩვენი პედაგოგი, რომელიც ასწავლის სარეჟისორო და საოპერატორო ფაკულტეტზე და გაუგებარი პროფესიისაა. თუ ეს ინფორმაცია დადასტურდება, ვიღაცას ყალბი დიპლომი შემოუპარებია ჩემთვის და საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს, მაგრამ თუ არ დადასტურდა, მაშინ?!

ასევე უნდა ალიაროთ, რომ თქვენმა ავტორმა მოატყუა მკითხველი, როცა განაცხადა, რომ ჩვენთან ტელეოპერატორები არიან პედაგოგები - სამწუხაროდ, დღემდე არ გვყავდა და მომავალი სასწავლო წლიდან კი აუცილებლად იქნებიან.

კატეგორიული მოთხოვნა მაქვს უფალ ლადარიასთანაც. თვით ჩოხა რომ არ მოსწონს, როგორც სამოსი, ეს მისი პირადი, თუმცა ერთობ სიმპტომური პრობლემაა... ვაი, რომ არ ისმინა ფილოსოფოსის რჩევა, ადამიანს ენა იმიტომ აქვს, რომ დამალოსო თავისი აზრები...

რაც შეეხება საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოებას, უფ. ლადარიას ან ვინმეს გასაკილ ჩოხოსანს ამ სტრიქონების ავტორი არ იცნობს და, რაც ნამდვილად პარადოქსულია, დარწმუნებული ვარ, არც თავად იცნობს, უფ. ლადარია, რა თქმა უნდა, რომელიმე ჩოხოსანს, თორემ მთელი ოთხი თვეა ამას ვთხოვ და ორიოდე მათგანს მაინც დამისახელებდა.

აი, რამდენიმე ამონარიდი მისი სტატიიდან და, ნეტავ, თუ მოგწონთ, როგორ მოიხსენიებს იგი საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოებას:

"ადამიანთა ამ თავისებურ ჯგუფს..."

"ყოველი მათგანისათვის ეს მასკარადი..."

"ჩვენი ჩოხოსნებიც დაახლოებით ამგვარ უცნაურ სურათს წარმოადგენენ..."

"მათი ჩოხები მხოლოდ რაღაც შორეული მსგავსების შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ ქართულ ტრადიციულ სამოსად..."

რა ყველაფერი *იცის*, ბ-ნო მამუკა, ამ თქვენმა პრესომბუდსმენმა? ჩვენი ჩაცმულობის "მიმოხილვის წარმოება" მაინც რაღად დაავალეთ, ამაზე ხომ არანაირი მასალა არ დაბეჭდილა "24 საათში"? ასე რომ, მან, უმჯობესია, ერთი ანეკდოტის არ იყოს, გემს მიხედოს, გემს... *ომარ მხეიძეს* რა *ნამუსით* უნდა ასწავლოთ, როგორი ჩოხა ჩაიცვას, ღმერთი აღარაა ამ ქვეყნად?! თქვენი ჩაცმულობა უფრო სტალინური ეპოქის სახელმწიფო ფოლკლორულ ანსამბლებს შეეფერებაო, რომ ბრძანებს, რა სჭირთ, ღმერთო კი მომკალი, მისი გასაკილი *სანდრო კავსაძისა* თუ *სუხიშვილის* ლეგენდარულ ანსამბლებს - *სულიკო ვირსალაძისა* და *ფარნაოზ ლაპიაშვილის* უნატიფესი კოსტიუმებით დამშვენებულებს?! ნუთუ ყოველი ახალი დროების იმ უბადრუკ სალახანებს ემსგავსებით, ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში რომ ამტკიცებდნენ, ლიანდაგებიც ავყაროთ, ცარიზმის დროსაა დაგებულიო?! რა გემართებათ, ხალხნო?!

მაგრამ, ირკვევა, უფ. პრესომბუდსმენი იმ გარემოებითაა გაღიზიანებული, რომ ჩოხოსნებს, როგორც თავად წერს, სულ უფრო ხშირად ვხედავთო საპატრიარქოს *მახლობლად*.

ჯერ ერთი, საპატრიარქოს *მახლობლად* რა გამოთქმაა?! *მახლობლად* ვინც არის, იმ ხალხს თავისი გაჭირვებაც არ ეყოფა, ჩვენც რომ არ მიგვაყოლოთ ზედ? თქვენი პრესომბუდსმენი სულ სხვებს რომ უკირკიმალებს, მისივე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, "სიტყვათშეთანხმებაზე", რატომ ერთხელ მაინც არ გადახედავს მის მიერვე აწყობილ ტექსტს, პირდაპირ რომ გააქანებს "24 საათის" ფურცლებზე?! პირველ აბზაცში რომ "ფოსმაჟორს" ხმარობს, მომდევნოში - "ფორსმაჟორს" და არც ერთია სწორი და არც მეორე, ამას რა, რედაქტორი, სტილისტი ან კორექტორი ვერ შეამჩნევდა, მის სტატიებს რომ ვინმე (რედაქციიდან) კითხულობდეს?! ან რა ქართულია, თავს რომ იწონებს, უნდა "*ვაწარმოო* (ხაზი ჩემია - გ.დ.) "24 საათში" დაბეჭდილი მასალების მიმოხილვა". თქვენ რა, მართლაც მასალების მიმოხილვის *წარმოება* დაავალეთ თუ უბრალოდ, მიმოხილვა ამ მასალებისა?

მაგრამ, მოდით, ჩავთვალოთ, რომ აქ კალამი გაექცა პრესომბუდსმენს... მთავარი და საწყენი ისაა, რომ მას რატომღაც აშკარად აღიზიანებს ჩვენი სიახლოვე საპატრიარქოსთან და ამდენად, *ლაშა ბუღაძის* არ იყოს, მართლაც ხომ არ გვღუპავს უფ. ლადარია და გვაეჭვებს თავის მართლმადიდებლობაში? ბოლოს პრესომბუდსმენის გაღიზიანება იქამდეც კი მივიდა, რომ, მისი აზრით, საბოლოოდ გაგვწირა და საბედისწერო ვერდიქტი გამოგვიტანა - ჩოხოსნები აღიარებასა და მხარდაჭერას საპატრიარქოს გარდა ვერსად მიიღებენო...

დიდება შენდა, ღმერთო! ამაზე უკეთესს რას ინატრებს ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, თუკი საპატრიარქო მართლაც მხარს დაგვიჭერს და გვაღიარებს?!

ასეთი დალოცვის შემდეგ თუ ისევ გაუტევდა, არაფრით მეგონა, მაგრამ არც მეტი, არც ნაკლები, ადგა და რუს სლავოფილებს შეგვადარა ქართველი ჩოხოსნები. *ბესო ჟღენტისეული* ერთი ცნობილი მანევრის არ იყოს, აქაც აშკარად ცდება თქვენი პრესომბუდსმენი, თუკი ჰგონია, რომ სლავოფილებზე არსებული წიგნები თუ ლიტერატურა საერთოდ თითო-თითო ეგზემპლარი ჩამობეჭდეს და ისიც პერსონალურად მისთვის.

სანამ უშუალოდ ამ საკითხზე გადავიდოდე, თქვენი პრესომბუდსმენის ტერმინოლოგიით უნდა ვისარგებლო და სახელი დავარქვა ერთ ფენომენს, რომელსაც არ ჰქონია აქამდე სახელი - ეს გახლავთ - *კეკლუცობა*. ასეთი რამ უყვარს კალმის ზოგ ოსტატს, მაგრამ ბ-ნი ლადარია ნამდვილი *სუპერკეკლუცია*. მისთვის არსებობს მხოლოდ და მხოლოდ საკმაოდ ტრივიალური რეგლამენტი - რა საჭიროა (როგორ გვეკადრება!) ვთქვათ "ცხენი", როცა არსებობს "რაში" და "მერანი". ამიტომაც, როცა რაიმე საკითხზე იწყებს საუბარს, უბრალოდ კი არ იტყვის ("ცხენი"), არამედ "მერანი" უნდა გააჯირითოს: "სწორედ ამას ავირჩევ დღევანდელ სამიზნედ" ან "რისი აღწერაც განვიზრახე დღეს" და ა.შ. და ა.შ.

განსაკუთრებით წაიკეკლუცა, როცა მე-19 საუკუნეში გადაგვტყორცნა და შეგვახსენა, რას წერდა თურმე ალექსანდრე *ჰერცენი* ალექსი ხომიაკოვის შესახებ... აქ მთავარი ის კი არაა, თუ მართლაც რას წერდა ჰერცენი ხომიაკოვზე თუ ძმებ კირეევსკებზე და, გნებავთ, აქსაკოვებზე, არა. მთავარია, რომ *ჰერცენი* თქვას, რომ ეგებ ვინმე წამოეგოს ამ ანკესზე და იკითხოს, მოიცა, მოიცა, ამიგო, ეს *ჰერცენი* ვინღააო... და ტირადებიც მაშინ ნახეთ, როგორ იოქროპირებს უფ. ლადარია, რა განსახვავებაა *"ჰერცენსა"* და *"გერცენს"* შორის, იქ *"იაკოვლევის"* გვარიც გაიჟღერებს, *"ისკანდერიც"*, როგორც ფსევდონიმი, და, რაღა თქმა უნდა, გერმანული სიტყვა *"Herz"* და ა.შ. და ა.შ. და სუპერ-კეკლუცობის არსიც ეს არის. რა ტრადიცია, რის ტრადიცია, ან რა მოსატანია აკაკი წერეთელი თუ ნიკო ნიკოლაძე, აქამდე ქართულ ენაზე გამოცემული ტომეულები რუსული სულიერი კულტურის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლისა?

მაგრამ ერთი რამ ავიწყდება თქვენს პრესომბუდსმენს - კეკლუცობა ისეთი ვერაგი რამ არის, რომ როგორც კომედიიდან ვოდევილამდე ერთი ნაბიჯია, აქაც ერთი ნაბიჯია, ძალიან, ძალიან, ძალიან მსუბუქად და ერთობ მწიგნობრულად რომ ვთქვა... კადნიერებამდე, როგორც თქვენს ომბუდსმენს დაემართა, როცა ჩოხოსნებს მოგვმართა, რუსმა სლავოფილებმა წითელი მოოქროვილი პერანგების გარდა, ტექსტები დაუტოვეს შთამომავლობას, თქვენ კი რასა ჰქმნითო?

მხოლოდ ჭეშმარიტ ქრისტიანსა და რაინდს შეუძლია მოითმინოს ასეთი სარკაზმი, მაგრამ, მოდით, თავი მოვიკატუნოთ, თითქოს ვერც მივუხვდით და ჩავთვალოთ, რომ მართლაც აინტერესებს, რას ჰქმნიან ქართველი ჩოხოსნები! კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მაინც იმ კითხვამდე მივდივართ, ხუთი თვეა რომ ვთხოვ პასუხს: კერძოდ, ვის მოისაზრებს იგი ქართველ ჩოხოსნებში, რამდენიმე პიროვნება მაინც დაასახელოს, ვთქვათ, ხუთი, ათი, ოღონდ სადმე, ბოლოში მაინც მიუჩინოს ადგილი ამ სტრიქონების ავტორს.

იცით, რატომ გაკადნიერდა (ღმერთო, ერთი მეც როდის მივუშვებ "ჩემს ლურჯას სადავეს", რომ ეს მატრაკვეცა სიტყვა აღარ ვიხმარო?!) თქვენი პრესომბუდსმენი? ინტელიგენტობას რომ გადაუხვია და არ მოთოკეთ. ერთმა პატარა გოგონამ ამერიკული ცხოვრების წესზე რომ გამოთქვა თავისი გულწრფელი აზრი და მხოლოდ ამის გამო თქვენმა პრესომბუდსმენმა იგი "იდიოტად" გამოაცხადა, თქვენ ისე გაიტრუნეთ, ვითომ არაფერიც მომხდარიყოს, აბა, კარგად დაფიქრდით, *გერონტი ქიქოძე* თუ შეაფასებდა ამ გოგონას საქციელს ასე ან, გნებავთ, *ანდრე მორუა*?!

რაღა შორს წავიდეთ, *დათო ტურაშვილმა* არსებითად ხომ სილა გააწნა თქვენს პრესომბუდსმენს, როცა იმავე გოგონაზე, სხვათა შორის, თქვენსავე გაზეთში განაცხადა, სამწუხაროა, რომ მას ასეთი არასწორი წარმოდგენა აქვს ამერიკული საზოგადოების ცხოვრების წესზეო...

როგორი ამპლიტუდაა "არასწორი წარმოდგენიდან" "იდიოტობამდე"!

ისიც ხომ არაა შემთხვევითი, რომ თქვენს პრესომბუდსმენს თავის მიმოხილვაში "გამორჩა" დათო ტურაშვილის ეს გამონათქვამი. რატომ? მისი მოვალეობა ხომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ "24 საათში" გამოქვეყნებული მასალების მიმოხილვაა და არა იმის უტაქტო კომენტირება, რასაც გაჭირვებული ადამიანი სადღაც იტყვის.

და, ბოლოს, ბ-ნო მამუკა, გლახა ჭრიაშვილივით ერთხელაც გაგიმეორებთ - თქვენმა ავტორებმა უნდა დაასახელონ, რამდენიმე მაინც, ის ჩოხოსნები და პედაგოგები, რომელთა შესახებაც ასე აგდებულად ესაუბრებიან მკითხველს. ქ-ნი ნინია კაკაბაძე ჯერ ძალიან, ძალიან ახალგაზრდაა და კარგი იქნება, თუ სიტყვას ჯერ მოზომავს და მერე იტყვის, რაც შეეხება ბ-ნ ნ. ლადარიას, "გალობანი სინანულისანი" უთარგმნია იტალიურად და ეს ღვარძლი საიდანღა გაუჩნდა, ან რას სუპერ-კეკლუცობს, როცა ეს სულაც არ სჭირდება. "Да говори просто - ты довольно умен для этого". А.С. Пушкин.

*გოგი დოლიძე*

P.S. ამ ბოლო ხანებში ინგლისურ ფრაზებს იყენებთ "ნამეტნავად". ცხადია, ესეც კეკლუცობაა, მაგრამ ვინმეს მაინც გადააკითხეთ, ქვეყანამ იცის ინგლისური. ბუშს რომ ლოზუნგს სთავაზობთ (ქ-ნ ნ. კაკაბაძის სტატია ა.წ. 22 აპრილს) და ოთხსიტყვიან წინადადებაში ორი შეცდომაა, რას იფიქრებს ის კაცი, ხომ "მოვიჯაყეთ"?! ამასთან, შემიძლია, გაგანდოთ ერთი საიდუმლოება - ბუშს თურმე, ნუ იტყვით და, საკუთარი თარჯიმანიც ეყოლება! - გ.დ.

# გვარი და საზოგადოება

ღია წერილი საქართველოს პარლამენტს

*ჩვენ, საზოგადოების ერთმა ჯგუფმა, გადავწყვიტეთ მოგმართოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული "საქართველოს კანონის "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" განხილვასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ დღევანდელ რთულ გეოპოლიტიკურ კონტექსტში, კავკასიაში რუსეთის ნეოიმპერიული ინტერესების გაცხოველების პირობებში, არსებული კანონიდან 74-ე მუხლის ამოღება იურიდიული, პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული, მორალურ-ფსიქოლოგიური და სხვა თვალსაზრისით მიზანშეუწონელია. ვფიქრობთ, რომ საქართველოს პარლამენტი გაეცნობა და გაითვალისწინებს ჩვენ მიერ წარმოდგენილ არგუმენტაციას.*

გვარი, სახელისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს მარტოოდენ კონკრეტული პირის კუთვნილებას, არამედ, ეკუთვნის ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს და ამ ჯგუფთან, საზოგადოებასთან მის იდენტურობას ადასტურებს. ლოგიკაში არსებობს გვარის ცნება, როგორც კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინისა. მაგალითად სახელები: "პობედა", "მოსკვიჩი", "ზაპოროჟეცი", "ვოლგა", "ფოლქსვაგენ პასატი", "ჯიპი ჩეროკი" და სხვა, შეიძლება გავაერთიანოთ უფრო მაღალი ლოგიკური დონის გვაროვნულ ცნებაში - **"მსუბუქი ავტომანქანები".** აღნიშნულ ჩამონათვალს თუ დაემატა ისეთი სახელები, როგორებიცაა "ბოინგი" , "ტუ-144", ველოსიპედის, თხილამურების, ავტობუსების, ცხენების, საბაგირო გზების და სხვა სახელები, მაშინ ეს სახელები ერთიანდებიან კიდევ უფრო მაღალ გვაროვნულ ცნებაში - **"სატრანსპორტო საშუალებები"** და ა.შ. ადამიანები არ არიან საგნები, მაგრამ მათაც აქვთ სახელები, რომლებიც ლოგიკის უნივერსალური კანონების შესაბამისად, ერთიანდებიან უფრო მაღალი ზოგადობის დონის კატეგორიებში, ვიდრე საკუთარი სახელია, კერძოდ - გვარებში. გვარი გულისხმობს ადამიანთა სახელების გაერთიანებას ისეთ კატეგორიებთან, ლოგიკური დონეების იერარქიის მიხედვით, როგორებიცაა: **ოჯახი - ნათესაობა - კუთხე - ერი - სახელმწიფო - კაცობრიობა.**

ადამიანის გვარი მკაცრ ლოგიკურ კავშირშია მთელი საზოგადოების სოციალურ მოწყობასთან და ამავე დროს წარმოადგენს მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური თვითიდენტურობის განმსაზღვრელ ნიშანს.

რა მოხდება, თუ ადამიანებს მიეცემათ უფლება, მხოლოდ თავისი სუბიექტური გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონისაგან ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეიცვალონ არა მარტოოდენ საკუთარი სახელები, არამედ გვარებიც? მაშინ გვარი დაკარგავს ზოგადი კატეგორიის აღმნიშვნელი, ობიექტური ნიშნის ფუნქციას და გაუტოლდება თავისი მნიშვნელობით მხოლოდ კერძო სახელს, რაც ლოგიკურად გამოიწვევს საზოგადოების ფუნდამენტური სტრუქტურის რღვევას, საზოგადოების მოწყობის საფუძვლების მოშლას.

ამ მხრივ განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს გვარის შეცვლის უფლება არა ახალ, ხელოვნურად კონსტრუირებულ, არამედ უკვე არსებულ, ისტორიულ გვარზე.

შეუძლებელია აქ წარმოვადგინოთ სისტემური ანალიზი ყველა იმ დარღვევების, რომლებიც ლოგიკურად მოჰყვება ასეთი კანონის მიღებას იურიდიული, ბიოლოგიური, მორალურ-ფსიქოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, და სხვა ასპექტებით. აქ დავსჯერდებით მხოლოდ რამოდენიმე მაგალითს - **იურიდიული ასპექტი:** წარმოდგენილი კანონის მიღების აუცილებლობაში ვერ გვარწმუნებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოხსენებით ბარათში (რომელიც კანონპროექტს ახლავს) მოცემული არგუმენტაცია, ვფიქრობთ, რომ ის კი არ აადვილებს, არამედ მხოლოდ ართულებს სიტუაციას. მოქმედი კანონიდან 74-ე მუხლის ამოღება გამორიცხავს განმცხადებლის იურიდიულ ინტერესს შეიცვალოს სახელი (გვარი). თუ აქამდე გვარის გამოცვლის მსურველს უნდა დაესაბუთებინა მისი ინტერესი სახელის გამოსაცვლელად, აღნიშნული მუხლის ამოღების შემდეგ იურიდიული ინტერესის დასაბუთება აღარ იქნება აუცილებელი.

გვარი, თავისი იურიდიული ბუნებით (სახელთან ერთად) წარმოადგენს სახელის განუყოფელ ნაწილს. სახელი, თავისთავად არის თითოეული ჩვენთაგანის არაქონებრივი უფლება, რომელიც ქონებრივ უფლებებთან ერთად არის ჩვენი ქონების, საკუთრების შემადგენელი ნაწილი, რაც დაცულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლის აქტებით. სახელის ამგვარი ნიველირება აუცილებლად გამოიწვევს თითოეული ჩვენთაგანის არაქონებრივი უფლების - სახელის ხელყოფას. **ბიოლოგიური ასპექტი:** გვარი წარმოადგენს ადამიანის გენეტიკური, ბიოლოგიური გადაგვარებისაგან დაცვის სოციალურ, ნორმატულ მექანიზმს. კერძოდ, ის იცავს ადამიანებს ინცესტუალური კავშირებისაგან. თუ ოჯახის წევრები შეიცვლიან გვარებს, მაშინ მომავალ თაობებში, რომელთაც არ აკავშირებთ ერთმანეთთან პირადი ნაცნობობა, შესაძლებელი გახდება ქორწინებები გენეტურად ახლო ნათესავებს შორის. ამ კანონის მიღების შემთხვევაში ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება არა ერთი და ორი, არამედ მრავალი ოჯახი. რაც მომავალში კატასტროფულად გაზრდის შემთხვევითი ინცესტუალური კავშირების დამყარების და ერის გენეტიკური გადაგვარების სტატისტიკურ ალბათობას.

თუ ადამიანი დაინტერესდა თავისი წარმომავლობით, ახლო ნათესავების ვინაობით, ასეთი ინტერესის დაკმაყოფილება მომავალში უკვე პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება. ადამიანები მოსწყდებიან საკუთარი გვარის, ერისა და ქვეყნის ისტორიას. **ეკონომიკური ასპექტი:** ცნობილია, რომ სახელმწიფოში კორუფციის განვითარების ერთ-ერთი ბურჯია კლანური მმართველობა. კლანი, მნიშვნელოვან თანამდებობებზე ახლო ნათესავების დაწინაურებას გულისხმობს. ახლო ნათესავების დადგენა გვარით ხდება. თუ ადამიანებს მიეცათ გვარების შეუზღუდავად შეცვლის უფლება - შეუძლებელი გახდება კლანების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოში მაფიური მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას. **პოლიტიკური ასპექტი:** სახელისა და გვარის თავისუფალი გამოცვლის წესი ნაკლებ პრობლემატურია მაღალგანვითარებული ეკონომიკისა და დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც არსებობს საზოგადოების დაცვის შესაბამისი მექანიზმები და არის სტაბილური, ცივილური ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან.

მათგან განსხვავებით საქართველო, სსრკ-ს რღვევის შემდგომ, აღმოჩნდა მეტწილად ხელოვნურად ინსპირირებულ, ეთნოკონფლიქტებით გაჯერებულ გეოპოლიტიკურ კონტექსტში. გასათვალისწინებელია მეზობელი, მაღალი ეროვნული იდენტურობის მქონე, პრაქტიკულად მონოეთნიკური კავკასიური სახელმწიფოს, საქართველოსაგან რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაცია.

ამ პირობებში გვარის გამოცვლის უპირობო უფლების შემოტანა შეუწყობს ხელს, არა იმდენად საერთო ქართულ სახელმწიფოში პირთა ასიმილაციას, რაც ნაკლებად მოსალოდნელია, არამედ, მეტადრე რუსეთის ინტერესების გატარებას რეგიონში. **ვფიქრობთ, რომ სახელისა და გვარის გამოცვლის უფლების ესოდენ რაფინირებული დემოკრატიული მექანიზმის უპირობო ამოქმედება, პრაქტიკულად ომის მდგომარეობაში მყოფ, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით ახლადფეხადგმულ, ჟერ ჩამოუყალიბებელ ქვეყანაში კი არ მოხსნის, არამედ მხოლოდ შენიღბავს პრობლემას.** ჩვენი აზრით, არსებული კანონიდან 74-ე მუხლის ამოღება გამოიწვევს, საზოგადოებაში ბოლო პერიოდში ხელოვნურად ინსპირირებული, ეთნიკური ნიშნით დაპირისპირების (ქართული და ოსური, "აფხაზურ" - "ქართული", სომხური და აზერბაიჯანული და სხვა) ესკალაციას.

გვარის გამოცვლა, როგორც ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებისაგან დაცვითი მექანიზმი, არის სიმპტომის მკურნალობის მცდელობა და არა დაავადების მიზეზებთან ბრძოლა. დაავადების მიზეზები კი რუსეთის ნეოიმპერიული პოლიტიკაა, რომელსაც, ჩვენდა სავალალოდ საქართველოში ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ხსენებული კანონის ამოქმედება ირიბად ნიშნავს საქართველოს მოსახლეობის დადანაშაულებას ეთნოცენტრიზმში, შოვინიზმში, რაც რუსეთის პირდაპირ ინტერესში შედის და წარმოადგენს მისი სამხედრო ბაზების და "სამშვიდობო" კონტინგენტის საქართველოში დატოვების, ანუ საკუთარი იმპერიული, დამპყრობლური ინტერესების გატარების მთავარ "არგუმენტს".

წარმოდგენილი სახით კანონის მიღება უფრო დაძაბავს კავკასიაში არსებულ პოლიტიკურ კრიზისს, გამოიწვევს უფრო მეტ ეთნიზაციას, რაც თავისთავად ნიშნავს განვითარებადი დემოკრატიზაციის პროცესების დამუხრუჭებას. **დემოგრაფიული ასპექტი:** გვარი, ქვეყანაში დემოგრაფიული პროცესების დინამიკის ზუსტი ინდიკატორია. კანონის მიღება საგრძნობლად გააძნელებს ამ ინდიკატორით სარგებლობის შესაძლებლობებს და გაურთულებს სახელმწიფო სამსახურებს შესაბამისი ინფორმაციის ფლობას, რაც, დღევანდელ პოლიტიკურ გარემოში, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ქვეყანას (აქ შეიძლება აღინიშნოს თურქი მესხების განსახლებისა და მიგრაციის შესახებ ინფორმაციის ფლობის მნიშვნელობა. აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში ჩამოსახლებული და იქ დამკვიდრებული "ბოევიკების გამოვლენის" მექანიზმები და სხვა).

აფხაზეთში და ქართლში, რუსული იმპერიული პოლიტიკის შედეგად განხორციელდა ქართველთა გენოციდი ეთნიკური ნიშნით. ეჭვს არ იწვევს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, კონფლიქტების მიზეზების დადგენისათვის და მათი შედეგების აღმოფხვრისათვის, კონფლიქტის დემოგრაფიული შემადგენელის ანალიზი.

გენოციდის ფაქტების დადასტურება შესაძლებელი ხდება მხოლოდ დაზარებულ პირთა ეთნიკური კუთვნილებით, მათი გვარების მიხედვით.

**გვარის გამოცვლა არ ცვლის ადამიანთა ეთნიკურ კუთვნილებას და არ წარმოადგენს გენოციდისაგან მათი დაცვის საშუალებას, მაგრამ სამაგიეროდ საგრძნობლად ართულებს გენოციდის ფაქტების გამოვლენის შესაძლებლობას, რითაც მხოლოდ ხელს უწყობს, ეთნიკური ნიშნით, კონფლიქტების ესკალაციას.**

**მორალურ-ფსიქოლოგიური და კულტურულ-ისტორიული ასპექტები:** გვარი წარმოადგენს ადამიანის საკუთარ ოჯახთან, ნათესაობასთან იდენტიფიცირების არა მარტოოდენ ბიოლოგიურ, არამედ სოციალურ, ფსიქოლოგიურ, კულტურულ, საკრალურ მექანიზმს. ის ერთმანეთთან აკავშირებს და აახლოვებს ადამიანებს, სივრცეშიც და დროშიც, გვარი ატარებს თავის თავში იდენტობას ოჯახის, ნათესაობის, ერის, ქვეყნის ისტორიულ, იდეოლოგიურ, კულტურულ, ტრადიციულ მხარეებთან, რაც გვარებს არა მარტოოდენ ეროვნულ, არამედ მსოფლიო კულტურის ისტორიის ხელშეუხებელ ღირებულებად წარმოადგენს, რომლის ხელყოფის საშიშროებას ქმნის აღნიშნული კანონპროექტის მიღება. გვარი აკუმულირებული დრო და სივრცეა, ჩვენი კულტურული სხეულია. ერი ადამიანთა თანაარსებობის სივრცეა, რომელსაც გააჩნია გვაროვნული მეხსიერება.

"თანამოქალაქეებისაგან", "ხალხისაგან" განსხვავებით, რომელიც არსებობს მარტოოდენ აწმყოში, "ერის" არსებობის სივრცე მოიცავს წარსულს და მომავალს, ანუ ერი არსებობს დროის კონტინუუმზე და გვაზიარებს უსასრულობას, არსებობის ისტორიულ, კულტურულ, სემიოტიკურ, ენობრივ მხარეებს. სახელისა და გვარის მიცემა ადამიანისათვის - საკრალური რიტუალია, ეკლესიური საიდუმლო (მონათვლა, ქორწინება..), რომელიც მხარეთა კეთილი ნებისა და სულიერი და სხეულებრივი სიახლოვის საფუძველზე ხორციელდება, ეკლესიის წიაღში. ამიტომ, ადამიანი უაღესად მგრძნობიარეა საკუთარი სახელისა და გვარის მიმართ. ყოველგვარი ჩარევა დაუკითხავად ოჯახურ, გვაროვნულ სივრცეში არის ადამიანური იდენტობის საფუძვლების რღვევა და აღიქმება, როგორც ძალადობის აქტი გვარი არა მარტოოდენ პირადი "კლიჩკაა", არამედ ეროვნულთან, ისტორიულთან, სამყაროსთან მისი გენეტური, სულიერი ერთობის ფორმაა, საკრალური სხეულია. ტრადიციულად, ადამიანები ცდილობენ არ დაკარგონ თავიანთი გვარის ისტორიული ფესვები და ჟღერადობა, მიმართავენ გვარის ისეთ ტრანსფორმაციას, რომელშიც ის შენარჩუნებული იქნებოდა, რაც ბუნებრივიცაა და გამართლებულიც. **ადამიანს აქვს უფლება შეიცვალოს გვარი, მაგრამ არავის არ უნდა მიეცეს უფლება აიღოს სხვისი გვარი, ამ გვარის მატარებლის, ოჯახის და ეკლესიის დაუკითხავად.**

**ჩვენ ღრმად გვწამს, რომ საქართველოს პარლამენტი გაიზიარებს აღნიშნულ მოსაზრებებს და გაითვალისწინებს მათ კანონპროექტის განხილვის დროს.**

*დავით ამირეჯიბი, მირიან მესხი, ლევან ჩოლოყაშვილი, ირაკლი ჩხეიძე*

ისტორიის ფურცელი

# თბილისიდან - უკრაინაში

1986 წლის 26 აპრილს თბილისის დროით 2 საათსა და 23 წუთზე უკრაინაში, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის IV ენერგობლოკის კედლები, რომლებიც გარემოს რადიოაქტიური საწვავის გამოსხივებისაგან იცავდა, აფეთქებამ მომენტალურად დაანგრია. გარეთ გამოვიდა ცეზიუმი და სხვა მომწამვლელი რადიოაქტიური ნივთიერებები, რომლებიც ქარისა და წვიმის დახმარებით ასი ათასი კილომეტრის სიგრძეზე გავრცელდა. მათგან წარმოქმნილმა დამღუპველმა ღრუბელმა მთელ მსოფლიოში განაგრძო მოგზაურობა. ამ ნივთიერებებმა ხან სკანდინავიური ძროხების რძეში იჩინა თავი, ხან - ტიბეტის მყინვარებში და ხანაც - ამერიკულ პრერიებში. სადგურზე მომუშავენი ადგილზევე დაიღუპნენ, ათასობით მოწამლული კი ადგილზევე გარდაიცვალა.

■ ■ ■

იმ დღეებში კავშირგაბმულობის მინისტრმა ვლადიმერ კობახიძემ გამომიძახა და მკითხა:

- დაგვრჩა თბილისში გაუნაწილებელი რადიოდამაგრძელებლები?

- გრაფიკით გააქვთ საწყობიდან. დავაზუსტებ.

- კიევიდან კოლეგამ დამირეკა. რადიოდამაგრძელებლებს გვთხოვს ჩერნობილის 30-კილომეტრიან ყველაზე საშიშ ზონაში რადიოსატელეფონო კავშირების დასამყარებლად, რაც შეიძლება მეტიო. პასუხი ახლავე უნდა ვაცნობო. როგორ მოვიქცეთ?

- დავრეკავ საწყობში, თუ დაგვრჩა რამე, არც ერთს აღარ გავატან სოფლად, - ვუპასუხე მინისტრს.

საწყობში თხუთმეტი კომპლექტიღა ჰქონდათ.

- თხუთმეტივე გავგზავნოთ, არა? - მკითხა.

- რა თქმა უნდა...

ყურმილს მისწვდა და კიევს დაუკავშირდა. როცა საუბარი დაამთავრა, მითხრა:

- ხვალ კიევიდან სამი რადიოსპეციალისტი ჩამოფრინდება სპეციალური თვითმფრინავით. ჩემი სახელით მოაგვარე ავტომანქანებით კომპლექტების აეროპორტში მოტანა.

■ ■ ■

მინისტრმა პირდაპირი ტელეფონით დამირეკა.

- ჩემს კაბინეტში არიან უკრაინელები.

როცა მასთან შევედი და უკრაინელ მეკავშირეებს მივესალმე, მინისტრმა სტუმრებს უთხრა:

- ეს ჩვენი ტექნიკური სამმართველოს უფროსია. სწორედ მისი წინადადებით მივიღეთ პირველი რადიოდამაგრძელებელი საქართველოში უნგრეთიდან. მერე მოსკოვმა შემოიტანა დიდი რაოდენობით და ჩვენ 200 გამოგვიგზავნა.

მინისტრმა უთხრა სტუმრებს, რომ მხოლოდ თხუთმეტი რადიოდამაგრძელებელი იყო საწყობში და ყველას გაგატანთო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თბილისის და კიევის სატელეფონო ქსელებს შორის დიდი ხანია, მეგობრული კავშირებიაო.

- ახლა პირდაპირ საწყობში წაბრძანდით ჩემი მანქანით.

უკრაინელებმა გულწრფელი მადლობა გადაუხადეს მინისტრს დახმარებისათვის და თან მოუბოდიშეს, რომ კომპლექტების ღირებულებას მოგვიანებით, რამდენიმე დღეში გადმორიცხავდნენ.

ვლადიმერ კობახიძემ უთხრა:

- ეს ქართველი მეკავშირეების საჩუქრად ჩათვალეთ, ჩვენ გადავამოწმებთ, თუ რაიონებში ჯერ არ დაუმონტაჟებიათ ყველა რადიოდამაგრძელებელი, შეიძლება დამატებით მოგაწოდოთ კიდევ.

სანამ საწყობში წავიდოდით, გადავურეკე ჩვენს ორ სპეციალისტს, რომ იქ მისულიყვნენ და დაეწყოთ კომპლექტების შემოწმება.

■ ■ ■

ძალზე გულმოდგინედ ვსინჯავდით იმ დღეს რადიოდამაგრძელებლების კომპლექტებს საწყობში. ნიკოლოზ ჩიხრაძემ და არკადი ქართველიშვილმა კარგად იცოდნენ ზოგიერთი დეფექტი, რომლებიც ზოგიერთ კომპლექტს "ბუდავოქსის" ქარხნიდან მოჰყვა. ამიტომ მე პირველად მათ შემოწმებას მოვითხოვდი.

ამასთან ერთად, უკრაინელებს



ყველაფერს ვუხსნიდი, რათა მათთვის ადვილი ყოფილიყო კომპლექტების ექსპლუატაციაში გაშვება. განვუმარტე, თუ როგორ უნდა ჩართულიყო ანტენებით კომპლექტი ჩერნობილიდან უახლოეს ავტომატურ ტელეფონის სადგურში.

გვიანობამდე გრძელდებოდა მუშაობა.

მეორე დღეს აეროპორტში მივიტანეთ რადიოდამაგრძელებლები და სწრაფად ჩავტვირთეთ თვითმფრინავში.

კარგად მახსოვს, პოლკოვნიკმა იგნატენკომ მითხრა:

- იცით რა?.. უკრაინა შეიტყობს საქართველოს მეგობრულ დახმარებას და არასოდეს დაივიწყებს. მერწმუნეთ!..

და გადამეხვია.

თვითმფრინავმა გეზი კიევისკენ აიღო.

... გამახსენდა უკრაინაში დასახლებული დავით გურამიშვილი და თბილისში ორი წლით მცხოვრები უკრაინელი მიკოლა ბაჟანი, რომელიც თურმე წერდა, რომ "სულ უფრო ღრმად და ღრმად ვსუნთქავდი საქართველოს დალოცვილ სულს"-ო. ლესია უკრაინკა? საქართველოში რომ ცხოვრობდა, სურამში გარდაიცვალა და კიევში დაკრძალეს...

■ ■ ■

რამდენჯერმე დარეკეს სამინისტროში ჩვენმა ნაცნობმა უკრაინელმა რადიოსპეციალისტებმა. როგორც გვაცნობეს, მათ სრულად განახორციელეს ავტომატური რადიოსატელეფონო კავშირი ჩერნობილში, რამაც ხელი შეუწყო აღდგენითი სამუშაოების წარმართვას განსაკუთრებით საშიშ 30-კილომეტრიან ზონაში და ჩერნობილის სარკოფაგის შექმნაში. ჩერნობილიდან შესაძლებელი გახდა როგორც კიევთან, ისე უკრაინის სხვა ქალაქებთან ავტომატური ტელეფონით ლაპარაკი.

ჩვენმა სამინისტრომ კვლავ მიიღო რადიოდამაგრძელებლების ახალი პარტია ბუდაპეშტიდან.

1987 წლის 6 ნოემბერს კი საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრმა დეპეშა მიიღო ჩერნობილიდან კავშირგაბმულობის აღმდგენელი ბატალიონის უფროს იგნატენკოსაგან. "გისურვებთ შრომით წარმატებებს, პირად ჯანმრთელობას, მადლობას გიხდით ჩერნობილისთვის გაწეული დახმარებისთვის 30-კილომეტრიანი ზონის რადიოდამაგრძელებლებით უზრუნველყოფაში. თუ გაქვთ საშუალება, გთხოვთ დამატებით კვლავ მოგვაწოდოთ 10-20 კომპლექტი ამ წლის ნოემბერ-დეკემბერში.

ბატალიონის უფროსი იგნატენკო".

მინისტრმა დეპეშა მე დამაწერა.

ახალი თხოვნაც, რა თქმა უნდა, დაკმაყოფილდა.

*ანდრე კარბელაშვილი*

გენიალური ვუნდერკინდის თვითმკვლელობა



B3

ტყუილ სუპში ნაპოვნი სიმართლე



B4

ვარჯიში ჯანმრთელობისთვის



B6

ნომრის სტუმარი

# საზოგადოების განვითარება

## დააჩქარებს ნატო-სთან და ევროპასთან დაახლოებას

*ევროსტრუქტურები საქველმოქმედო ორგანიზაციები არ არიან და მათთან ინტეგრაციისთვის გარკვეული და ჩვენთვის საკმაოდ რთული მოთხოვნები უნდა დავაკმაყოფილოთ. სულ იმის შესახებ იყო საუბარი, რომ ნატო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს გარეთ დარჩენილ პარტნიორებთან თანამშრომლობას და განსაკუთრებით ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებში, როგორიცაა კავკასია და ცენტრალური აზია. დღეს შეიძლება ითქვას, რომ ნატო-ს პარტნიორებიდან ერთ-ერთი პრიორიტეტული ქვეყანა ვართ. რა არის ის კატალიზატორი, რაც ხელს შეუწყობს ნატოსთან ჩვენი ინტეგრაციის დაჩქარებას? როგორ აფასებს ეს ორგანიზაცია საქართველოში საჭირო რეფორმებისა და ინსტიტუციონალური ცვლილებების გატარების შესაძლებლობას? ამ კითხვებს პასუხობს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გია ბარამიძე, რომელიც ჩვენთან შეხვედრამდე ერთ ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვან, ნატო-ს უახლეს დოკუმენტს ეცნობოდა.*

მაია ჭალაგანიძე

**- რა არის ახალი ევროსტრუქტურებთან ინტეგრაციის პროცესში. რა ახალ მოთხოვნებს გვიყენებენ და რას ველით ჩვენ?**

- ძირითადი მოთხოვნა ახალი ნამდვილად ვერ იქნება, რადგან ჩვენ დიდი ხანია ვმუშაობთ საქართველოს ევროკავშირის წევრად გახდომაზე და ეს არის ყველაზე დიდი მიზანი. სამაგიეროდ, ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა. საქართველო გახდა ე.წ. ახალი სამეზობლო პოლიტიკის ნაწილი, რითიც ევროპასთან დაახლოების ახალი შესაძლებლობები მოგვეცემა. შეგვეძლება დავუახლოვდეთ და ვისარგებლოთ იმ სიკეთეებით, რასაც ევროპასთან სიახლოვე ჰქვია. შესაბამისად, გამოვიყენოთ საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული იურიდიული საფუძველი, რომელსაც პარტნიორობის და კოოპერაციის ხელშეკრულება ჰქვია. შეგვეძლება ე.წ სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელთან დაკავშირებითაც 25 აპრილს ევროკავშირის საბჭო საბოლოო, ფორმალურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

შევეცადეთ პროცესებისთვის დაგვესწრო და მიუხედავად იმისა, რომ ეს სამოქმედო გეგმა ევროკავშირის და საქართველოს ერთობლივი დოკუმენტია, რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად უკვე ჩამოყალიბებული გვაქვს ჩვენი კონკრეტული მოსაზრებები, რომელიც, ბუნებრივია, დასახვეწია. აგრეთვე კონკრეტულად გვაქვს დასახული სამოქმედო გეგმის პრიორიტეტები. ეს იმის წყალობით მოხდა, რომ საქართველოში ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო კომისია შევქმენით, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. მე მისი მოადგილე გახლავართ. ამ კომისიის და მთავრობის გადაწყვეტილებით ყველა სამინისტროში შექმნილია შესაბამისი ქვესტრუქტურა, რომელიც ფუნქციის შესაბამისად უშუალოდ მუშაობს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხებზე. ჩვენი ფუნქცია ამ საქმიანობის კოორდინირებაა.

**- ამ სამინისტროებთაგან პრიორიტეტულ მნიშვნელობას რომელს ანიჭებთ?**

- პრიორიტეტი საქართველოსთვის ევროკავშირში არსებული ოთხი თავისუფლების მიღწევაა. ესენია: მომსახურების, საქონლის, ფინანსების და ადამიანების გადაადგილების, რომელიც რთული მისაღწევია. ევროპის კავშირში არსებობენ ქვეყნები, რომელთაც ეს ოთხი თავისუფლება ბოლომდე არ აქვთ. მაგალითად, მუშახელის გადაადგილების თავისუფლება ევროკავშირის წევრ ბალტრიისპირეთის ქვეყნებს არ აქვთ. ჯერჯერობით, მათაც კი უნდა გაიარონ გარკვეული ეტაპები. თუმცა, ჩვენ ეს დაძლეული გვაქვს, რადგან ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი უპირატესობა ქვეყანაში დასაქმების ხელშეწყობა, ეკონომიკური ზრდის ტემპის გაზრდა, ინვესტიციების მოზიდვაა. ასევე პრიორიტეტია ინფრასტრუქტურის განვითარება და განათლების სისტემის იმგვარად რეფორმირება, რომ იგი ევროპულ სტანდარტებთან თავსებადი იყოს. და, რაც მნიშვნელოვანია - საქართველოში კონფლიქტების დარეგულირების და უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტაში ევროპის როლის გააქტიურება.

რა თქმა უნდა, საინტერესო და საყურადღებო საკითხებია გარემოს დაცვის სფეროში, მეცნიერების, სოფლის მეურნეობის საკითხებში და სხვა. ჩვენთვის აგრეთვე უმნიშვნელოვანესია ქართული პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე გატანის ხელშეწყობაც. ცნობილია, რომ საქართველოსთვის რუსეთის ბაზარი კვლავ რჩება ყველაზე დიდ ბაზრად. გვინდა, რომ ქართული ბიზნესი, რაც შეიძლება, ნაკლებად იყოს დამოკიდებული რუსეთის ბაზარზე და მისი დივერსიფიცირება მოხდეს. ორიენტაციის შეცვლა ნელ-ნელა ხდება. ახლა ორიენტირებულები ვართ უკრაინაზეც, თურქეთზეც და ევროკავშირის ტერიტორია სულ უფრო დიდ ბაზარს იკავებს, ეს 450-მილიონიანი სივრცეა.

ჩვენ უკვე ავამოქმედეთ სახელმწიფო მექანიზმები და ინსტიტუტები, რათა ევროკავშირთან დაახლოების პროცესისთვის საჭირო ინსტიტუციონალური საფუძველი შეგვექმნა. უკვე არსებობს დოკუმენტის პირველი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ევროპელ პარტნიორებს შეგვიძლია ველაპარაკოთ. ეს იქნება ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ევროკავშირისა და ჩვენი ქვეყნის ურთიერთობები შემდგომი სამი წლის მანძილზე განვითარდება.

**- ევროპელი მეგობრები ამბობენ, რომ უნდათ შეცდომები აგვაცილონ და სურთ, დაგვეხმარონ საკუთარი გამოცდილება. რა ტიპის შეცდომების გადალახვაა ჩვენთვის ყველაზე რთული?**

- ყველაზე რთული, ტრადიციულად, უწყებებს შორის კოორდინაციაა. უწყებებში საქმის მცოდნე ადამიანების სწრაფი გადანაცვლებები ხდება. ზოგჯერ, მოუცლელობის გამო პირველ პირებს მეორე პლანზე გადააქვთ ასეთი საკითხები. სხვა საკითხია აგრეთვე უწყებებს შორის კოორდინაცია და ეს ძალიან სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ევროპულის ანალოგიური სახელმწიფო მინისტრის პოსტი, რომელიც არსებულ სახელმწიფო სტრუქტურებს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხებთან დაკავშირებით კოორდინაციას უწევს.

**- კონკრეტულად როგორ მუშაობთ?**

- უშუალო ბერკეტი ჩვენ არ გაგვაჩნია, რადგან ყველა სამინისტროს თავისი მინისტრი ჰყავს. ჩვენ კი, მუდმივად ვამახვილებთ ყურადღებას კადრების შენარჩუნების მნიშვნელობაზე. მაქსიმალურად უნდა მოვუფრთხილდეთ კვალიფიციურ კადრებს და მათ საქმიანობის საშუალება მივცეთ. ბუნებრივია, შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელი თავად აგებს პასუხს სამინისტროს საკადრო პოლიტიკაზე და ამას სხვა ვერავინ უკარნახებს. ჩვენ მეთოდური მითითებების მიცემა შეგვიძლია. გარკვეული შედეგი ამას აქვს, რადგან ამ საკითხების მნიშვნელობის სულ უფრო და უფრო მეტი გაცნობიერება ხდება.

ბევრია გასაკეთებელი იმისთვისაც, რომ ჩვენმა სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებმა, მათ შორის, მინისტრებმაც უფრო მეტი იცოდნენ ევროკავშირის შესახებ - რა სტრუქტურებია, რა პოლიტიკაა. პირდაპირ გეტყვით, ეს ძალიან რთული სისტემაა და საკითხების ფართო სპექტრია. მეც კი დღემდე ვცდილობ, გავერკვე ამ უზარმაზარ თემაში. საგანმანათლებლო მიზნით, მთავრობის წევრებისთვის, ჟურნალისტებისთვის, ბიზნესმენებისთვის ვაპირებთ სპეციალური სემინარების ჩატარებას.



ნატო-ში მიაჩნიათ, რომ საქართველოში IPAP-ის იმპლემენტაციის გზაზე რეალური ნაბიჯებია გადადგმული. მათ მიაჩიათ, რომ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ინტენსიური დიალოგის დაწყება უკვე ამ წლის ბოლომდეა შესაძლებელი.

IPAP მხოლოდ თავდაცვის საკითხებზე ორიენტირებული დოკუმენტი არ არის. ეს ჩვენი საზოგადოების გარდაქმნის ამსახველი ყოვლისმომცველი დოკუმენტია. როგორ გარდავქმნით ჩვენს საზოგადოებას ყველა ძირითადი მიმართულებით, იმის მიხედვით დაჩქარდება ნატო-სთან დაახლოების ტემპები.

**- საქართველოში ჩამოსულია რობერტ საიმონსი - ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, გენერალური მდივნის თანაშემწე უსაფრთხოების საკითხებში. რას ემსახურება ეს ვიზიტი?**

- ორი მთავარი მიზანი აქვს მის ვიზიტს. იგი მონაწილეობს კონფერენციაში PAP-DIB (თავდაცვის ინსტიტუციონალურ აღმშენებლობაზე პარტნიორობის სამოქმედო გეგმა). ეს კონფერენცია პარლამენტში მიმდინარეობს და მასში სამხრეთ კავკასიისა და მოლდოვას წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას. იგი ორგანიზებულია საქართველოს პარლამენტისა და შეირაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის მიერ. PAP-DIB ნატოს პოლიტიკაა, რომელიც სტამბულის სამიტზე მიიღეს და იმ ქვეყნებისთვის არის, რომელთაც ჯერჯერობით არ მიუღიათ ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამაში (IPAP) ჩართვის გადაწყვეტილება. საქართველო ამ პროგრამაში ჩართულია და PAP-DIB ჩვენთვის შედარებით დაბალი საფეხურია, მაგრამ ეს IPAP-ის პროგრამაში შედის.

ვიზიტის მეორე მიზანი ჩვენთან შეხვედრებია. მას უკვე შევხვდი და გადმომცა დოკუმენტი, რომლის გაცნობაც დაუყოვნებლივ დავიწყე. ეს არის სამუშაო გასაიდუმლოებული დოკუმენტი ნატო-ს და საქართველოს შორის, რომელიც საქართველოს ნატო-სთან ინტეგრაციის ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის განვითარების მიმოხილვას მოიცავს. 7-12 მარტს ჩვენთან ჩამოსულები იყვნენ ნატო-ს ექსპერტები, რომელთაც ჩაატარეს კვლევა, თუ როგორ ახორციელებს საქართველო IPAP-ის იმპლემენტაციას. შემდეგ დაიწერა ეს დოკუმენტი.

**- დოკუმენტის წაკითხვას, ცხადია, არ გთხოვთ, იქნებ, ექსპერტთა შთაბეჭდილებებზე ისაუბროთ?**

- IPAP-ის იმპლემენტაციის გზაზე გარკვეული პროგრესი არსებობს. ამის გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტმა მიმართა ნატო-ს გენერალურ მდივანს გაწევრიანების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ინტენსიური დიალოგის დაწყების წინა ეტაპის თაობაზე. ამ დასკვნებიდან გამომდინარე და ამ დოკუმენტის მიხედვით, ჩემდა სასიხარულოდ, ნატო-ში მიაჩნიათ, რომ საქართველოში IPAP-ის იმპლემენტაციის გზაზე რეალური ნაბიჯებია გადადგმული. მათ მიაჩნიათ, რომ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ინტენსიური დიალოგის დაწყება უკვე ამ წლის ბოლომდეა შესაძლებელი.

IPAP 4 მიმართულებას მოიცავს - პოლიტიკურ მიმართულებას საგარეო საქმეთა სამინისტრო აწარმოებს, თავდაცვას - თავდაცვის სამინისტრო, ადამიანური რესურსების აღნუსხვას და კრიზისულ სიტუაციებს - შსს, ხოლო - რესურსების, გარემოს დაცვით და იურიდიულ საკითხებს - ფინანსთა სამინისტრო. პარალელურად, როგორც გითხარით, პრემიერის თავმჯდომარეობით შევქმენით სახელმწიფო კომისია, სადაც 4 სამუშაო ჯგუფია შექმნილი. მის მუშაობაზე ეს 4 მინისტრია პასუხისმგებელი. ჩამოვაყალიბეთ ჩვენი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა სჭირდება საქართველოს ნატო-ელი კოლეგების დახმარების მისაღებად. ჩვენ სულ მალე გვექნება IPAP-ის ადაპტირებული დოკუმენტი. მას მივაწოდებთ პარლამენტს, მედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა ნათელი წარმოდგენა გვქონდეს ამ დოკუმენტზე და იმისთვისაც, რომ თვალი მიადევნოთ, როგორ სრულდება ეს ღონისძიებები. IPAP მხოლოდ თავდაცვის საკითხებზე ორიენტირებული დოკუმენტი არ არის. ეს ჩვენი საზოგადოების გარდაქმნის ამსახველი ყოვლისმომცველი დოკუმენტია. როგორ გარდავქმნით ჩვენს საზოგადოებას ყველა ძირითადი მიმართულებით, იმის მიხედვით დაჩქარდება ნატო-სთან დაახლოების ტემპები.

**- როგორ აისახება ნატო-რუსეთის ურთიერთობები ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე?**

- ნატო-ს რუსეთთან ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა აქვს. არსებობს რუსეთ-ნატო-ს და ასევე უკრაინის საბჭო. ეს ორი უდიდესი სახელმწიფოა, რომელთან ურთიერთობასაც ნატო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგან ნატო ცდილობს, ახლოს იყოს იმ პოტენციურ საფრთხესთან, რომელთანაც მთავარი პრობლემები აქვს მოსაგვარებელი.

რაც შეეხება უკრაინას - ეს ქვეყანა ევროპაში პოტენციურად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა, რომელიც ბოლო მოვლენების შემდგომ მკაფიოდ ორიენტირებული გახდა დასავლეთზე. ჩვენთვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ნატო-ს ინტენსიური დიალოგის მეშვეობით შეუძლია, აქტიურად დასვას საკითხები, რომელიც მას რუსეთთან მიმართებაში აღელვებს და ერთ-ერთი ასეთი საკითხი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებია. მათ შორის უმთავრესი კი, ბუნებრივია, კონფლიქტების დარეგულირება და რუსეთის ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანაა. ამ თემებზე ნატო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელთან ყოველ შეხვედრაზე გვაქვს საუბარი.

ამ დოკუმენტის შესახებ მსჯელობის საშუალება გვექნება 18 მაისს, ბრიუსელში, სადაც საქართველოს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად გავემგზავრებით. იქ ნატო-ს 26-ივე სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი იქნება.

**- ბრიუსელში ევროპის პოლიტიკა კეთდება. რა შეგრძნება გაქვთ, როცა ამაში თქვენც მონაწილეობთ?**

- მართალი გითხრათ, ბრიუსელში, ჯერჯერობით, არ წავსულვარ. სულ ვცდილობ, იქ ტყუილუბრალოდ, გასაცნობად არ ჩავიდე და რაღაც კონკრეტული ჩავიტანო. ზოგადი მისწრაფებების თაობაზე იქ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ ისაუბრა, ასევე ჩასული იყო ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრიც. როგორც სახელმწიფო მინისტრს, რომელსაც ამ საკითხების კოორდინაცია ევალება, უფრო მნივშნელოვნად კონკრეტულ საკითხებზე საუბარი მიმაჩნია. ჩვენ ეს კონკრეტიკა გვაქვს. 18 მაისს ნატო-ში ნამდვილად შეგვეძლება კონკრეტულ შედეგებზე საუბარი.

**- როგორც ჩანს, ნატო-სთან ურთიერთობის სრულიად ახალ ეტაპზე გადავდივართ...**

- ეს არის თვისობრივად ახალი საფეხური ჩვენი ქვეყნის ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე.

**- ნატო უფრო მკაცრად უყურებს თავისი საზღვრების გაფართოებას თუ ევროკავშირი?**

- ევროკავშირთან ჩვენი დაახლოების საკითხები მნიშვნელოვანწილად არის გადაჯაჭვული ნატოსთან ინტეგრაციის საკითხებზე. რასაც ჩვენგან ეს ორი ორგანიზაცია ითხოვს, ბევრი რამ ერთმანეთს ემთხვევა. ლაპარაკია საქართველოში დემოკრატიის განვითარებაზე, სიტყვისა და პრესის თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, განათლების სფეროს, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე... ნატო-სთვის ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი საბიუჯეტო გეგმების გათვლა და კარგად გაანგარიშება. საშუალოვადიანი დაგეგმარება მაინც უნდა შეგვეძლოს. 2005-2008 წლის ბიუჯეტის შესახებ პირველი მოხსენება მთავრობის სხდომაზე უკვე გაკეთდა და მალე იქნება წარდგენილი პარლამენტში. რადგან საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოს უნდა ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა, თუ როგორ განვითარდება ჩვენი ქვეყანა, რაზე - რას დავხარჯავთ მომავალი წლების განმავლობაში.

მოთხოვნებს შორის პრინციპული განსხვავებები არ არის. უბრალოდ, ევროკავშირში გაწევრიანებისთვის ბევრად მეტი დრო დაგვჭირდება, ვიდრე ნატო-ში გაწევრიანებისთვის იმიტომ, რომ ეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან არის დაკავშირებული და სწრაფად, ნახტომისებურად ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია. ჩვენ დაახლოებით, 9 პროცენტით ვვითარდებით, 50 პროცენტით განვითარება - შეუძლებელია. რუმინეთს და ბულგარეთს ვარშავის ბლოკის დანგრევიდან 15 წელზე მეტი დასჭირდა და ეს ქვეყნები 2007 წელს გახდებიან ევროკავშირის წევრები. თან, ისინი იყვნენ სატელიტი, მაგრამ მაინც სახელმწიფოები, თავისი საგარეო პოლიტიკით, ჯარით, ფინანსებით და სხვა. ჩვენ კი ვიყავით გაუგებარი რესპუბლიკა და მხოლოდ ახლა ვაშენებთ დამოუკიდებელ სახელმწიფოს. დამოუკიდებლობის პირველ წლებში ვიომეთ და რისი დანგრევაც შეიძლებოდა, დავანგრიეთ.

**- თავდაცვის სამინიტროს ირგვლივ რამდენიმე კვირის წინ ბრალდებები გაისმა ამ უწყების საქმიანობის გაუმჭვირვალობის გამო. არის თუ არა ამ უწყებაში ტრანსპარანტულობისა და საზოგადოებისადმი ანგარიშგების პრობლემა?**

- მიმაჩნია, რომ ამგვარი შენიშვნების არსებობა ბუნებრივია. საზოგადოებას და პარლამენტის წევრებს რომ უფრო მეტის გაგების სურვილი აქვთ, ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ. თუმცა, ვთვლი, რომ თავდაცვის სამინისტროში ამ მიმარულებით საკმაოდ ბევრია გაკეთებული და კიდევ უფრო მეტი გაკეთდება. ამ კრიტიკის შემდგომ, ვხედავ, რომ თავდაცვის სამინისტროში გააქტიურდა ჟურნალისტებთან ურთიერთობები და ცოცხალი კონტაქტია. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ეს შენიშვნები თითიდან გამოწოვილი იყო. ზოგი ოპონენტი ამბობდა, რომ თავდაცვის ბიუჯეტი ფარატინა ქაღალდზეა დაბეჭდილიო. ეს ტყუილია, რადგან ბიუჯეტი წარდგენილი იყო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში და დაინტერესებულ პირს მისი წაკითხვა შეეძლო. თუ დიდი ბიუჯეტიდან ვილაცამ პატარა ფურცელი ამოიღო, რომელშიც თავდაცვის ხარჯები ერთ ბზკარად იყო მონიშნული, ეს სამინიტროს ბრალი ნამდვილად არ არის. ის ერთი ბზკარი გაწერილია ცალკე ბიუჯეტად, რომელიც რამდენადაც მომახსენეს, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში იყო წარდგენილი. ასე რომ, პრობლემის გაბუქებასაც აქვს ადგილი და გამოსასწორებელიც ბევრია. სხვათა შორის, ამ მხრივ, IPAP-ის იმპლემენტაციის სამუშაო გეგმაში საკითხები გვაქვს ჩადებული.

**- როგორ გგონიათ, დღეს მედია მთავრობას სირთულეებს უქმნის, რაც დემოკრატიული ქვეყნის მედიის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა?**

- ხელისუფლების კრიტიკის ფუნქცია ოპოზიციას აქვს. პრესის ფუნქცია ობიექტური სინამდვილის ასახვაა. ასეა განაწილებული ყველგან. თუ ანალიტიკურ სტატიებში გამოთქმულ იმ შენიშვნებს გულისხმობთ, რომელიც ხელისუფლების საქმიანობაში ხარვეზებს ასახავს, თავიდან ბოლომდე გეთანხმებით.

ობიექტურად უნდა აისახოს ის, რაც ცუდია და ისიც, რაც კარგია. ცხადია, ცუდი ხელისუფლებას არ სიამოვნებს, მაგრამ ეს საჭიროა და ამაზე დისკუსია დამთავრებული უნდა გვქონდეს. თუ სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს, პრესა ყველა ფაქტთან დაკავშირებით უნდა იყოს საქმის კურსში. სინამდვილის ობიექტური ასახვა აუცილებელია და დემოკრატიული საზოგადოების მამოძრავებელია. ეს არის ანა-ბანა.



# აფიშა

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
სტუდენტთა საჩვენებელი კონცერტი
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
კიტა ბუაჩიძე
"მკაცრი ქალიშვილები"
რეჟისორი: გოგი ქავთარაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**გლობუსი**
ნინო ნაკაშიძე
"ვინ არის დამნაშავე?"
რეჟისორი: სოსო ნემსაძე
ფასი: 2-3 ლარი
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
მოლიერი
"დონ ჟუანი"
რეჟისორი: ალექსი ჯაყელი
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
პრემიერა
"სამყარო"
ავტორი და რეჟისორი: დ. შალიკაშვილი.
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"რობოტები"
დას: 14:30 სთ.

"დაიკიდე"
დას: 12:00; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

**ამირანი**
"დაიკიდე"
დას: 20:00; 22:00 სთ.

"ყველაფერი ალფის შესახებ"
დას: 14:00; 16:00; 18:00 სთ.

## გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
სააღდგომო გამოფენა
"თექა-მიქსი"

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**თაგის არტი**
"ფიროსმანი თენგიზ მირზაშვილის თვალით"

**ჰობი**
სააღდგომო გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
"ევროპა-საქართველო"

**ეროვნული გალერეა**
გერმანელი მხატვრის ბერნარდ შვარცერის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ცენტრ-პოინტის გალერეა**
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**დოკუმენტური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**ანიმაციური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს:

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4

ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge

# თანდაყოლილი და შეძენილი

## ეროვნული მუსიკალური ცენტრის პრობლემები

ვერა ნეფარიძე

*დაარსებიდან ერთი თვის თავზე, ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელი გუშინ პირველად შეხვდა ჟურნალისტებს. ნიკა მემანიშვილის მონოლოგი უფრო მეტად პრობლემების ჩამონათვალი და მათ მიზეზებზე საუბარი იყო, ვიდრე ანგარიშის ჩაბარება. თუმცა, რა ანგარიში უნდა ჩაებარებინა ერთი თვის უწყების ხელმძღვანელს, როდესაც აკადემიური მუსიკის სხვადასხვა კოლექტივების გაერთიანების ისტორია "ცარიელი ფურცლიდან", პრობლემებით გაჯერებული ნიადაგიდან იწყება.*



ბესო გულაშვილის ფოტო

გუშინდელი შეხვედრით თუ განვსჯით, ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელმა გაამართლა ჟურნალისტების მოლოდინი. მედიის წარმომადგენლებს არც მანამდე უჭირდათ ნიკა მემანიშვილთან მუშაობა და თანამშრომლობა და როგორც ჩანს, ახალგაზრდა კომპოზიტორის თანამდებობაზე დანიშვნაც ვერ შეცვლის ამ მხრივ სიტუაციას. მასმედიის წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობის ინიციატივით ამჯერად თავად ცენტრის შეფი გამოვიდა: მემანიშვილმა ახალი შემოქმედებითი ორგანიზმის საქმიანობის წარმოსაჩენად ჟურნალისტებთან ყოველთვიური შეხვედრები დაგეგმა მიზეზით: რაც მეტი იქნება ინტენსივობა, მით უფრო გაიზრდება შრომისნაყოფიერება. ვნახოთ, რამდენად წაადგება ყოველთვიური პრესშეხვედრები ცენტრის პრობლემებს, რომლებიც მწირი დაფინანსებიდან იწყება თუ მუსიკოს-შემსრულებელთა ნაკლებობიდან, ამის გარკვევას ახლა აზრიც არ აქვს.

საკმარისია თუ არა 505 ათასი ლარის დაფინანსება ერთი შემოქმედებითი გაერთიანებისთვის ყოველწლიურად? ალბათ, ნახევარი მილიონი ლარი ჩვენს პირობებში ცოტა არაა, მაგრამ როდესაც ეროვნული ცენტრისთვის გაღებულ ამ თანხას ელოდებიან ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის, სულხანიშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელას, სახელმწიფო კამერული ორკესტრისა და კამერული ანსამბლების განყოფილებაში შემავალი რამდენიმე კვარტეტის წევრები, სავალალო რეალობის წინაშე უძლურად ვგრძნობთ თავს. თუმცა, რეალობა ასეთია - წელიწადში ნახევარი მილიონი ბიუჯეტიდან, და ამ პირობებში უნდა იმუშაოს ცენტრმა მიზნის - ქვეყანაში აკადემიური მუსიკის განვითარებისთვის. სწორედ ამ პირობებში - როდესაც სახელმწიფოს დაფინანსება მხოლოდ სახელფასო ფონდს ჰყოფნის, და არ არის გათვალისწინებული დარბაზის (მუსიკალური თეატრის დარბაზის რეკონსტრუქციას კიდევ წელიწადნახევარი დასჭირდება) არენდის, მუსიკოს-შემსრულებელთა მოწვევის ხარჯები, უნდა შეიტანოს თავისი წვლილი საქართველოს "კულტურულ რენესანსში"; განა ამიტომ არ მოაწერა ხელი პრეზიდენტმა ეროვნული მუსიკალური ცენტრის შექმნის ბრძანებულებას?!

რაც შეეხება დაფინანსებას, ამის შესახებ ცენტრის ხელმძღვანელი ამბობს: "სახელმწიფომ ცენტრისთვის გამოყო 505 ათასი ლარი, წლიურად. მაგრამ, როგორც საფინანსო ადმინისტრაციულ დარგში ჩემი მოადგილე იულია ხორბალაძესთან აქტიური კონსულტაციებით გავარკვიე, როცა ვამბობთ 505 ათასს, ვგულისხმობთ 420-ს, ვამბობთ რა 420-ს, ადამიანები რეალურად უფრო ნაკლებს იღებენ. ეს თანხა აბსოლუტურად შეუძლებელი აღმოჩნდა გაგვენაწილებინა ხელფასებზე, მით უფრო, რომ სხვა შემოქმედებით დაწესებულებაში, რომლებიც საჭიროებენ ორკესტრს, სახელფასო ფონდი ხუთჯერ-ექვსჯერ აღემატება იმას, რაც ჩვენ გვაქვს. ასეთ პირობებში, აბსოლუტურად არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა მიქელაძის სახელობის ორკესტრი, რადგან ხვალ თუ ოპერაში კონკურსი გამოცხადდა, არ ვართ დაზღვეულები, რომ აქ მოსული ხალხი ჩვენგან არ წავა. რაც უკვე მოხდა". ამ საშიშროებას, რაც ცენტრის ხელმძღვანელს აფიქრებს, ხელს ისიც უწყობს, რომ მუსიკოსს ერთდროულად რამდენიმე ორკესტრში მუშაობა კანონით ეკრძალება, რაც წლების წინათ სულაც არ იყო ასე.

პრობლემა მხოლოდ დაფინანსებაშიც არაა. რომელ კულტურულ აღორძინებაზე შეიძლება ვიოცნებოთ, როდესაც რეალურად არ მოიძებნება ქვეყანაში ინსტრუმენტალისტები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ორკესტრების მუშაობა? სწორედ ასეთი შედეგები მიიღეს ორი დღის წინათ დასრულებულ კონკურსზე, რომლის მიზანიც კაპელასა და სიმფონიურ ორკესტრში ვაკანსიების შევსება იყო. შედეგებით გაირკვა, რომ ქვეყანაში რამდენიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე შემსრულებელი არ გვყავს. "ჩვენ მოვუსმინეთ ყველას, ვინც მოისურვა კონკურსზე გამოსვლა. ვალდებულები ვართ ათი დღის ვადაში საჯაროდ გამოვაქვეყნოთ შედეგები, თუ ვინ გახდება საგუნდო კაპელისა და სიმფონიური ორკესტრის წევრი", - ამბობს ნიკა მემანიშვილი და უახლოესი მომავლის ძირითად გეგმებსაც გვაცნობს.

ეროვნული მუსიკალური ცენტრი პირველ სეზონს 26 მაისს, დიდ საკონცერტო დარბაზში გახსნის (უფროს თაობას ამ დარბაზში სიმფონიური კონცერტების ტრადიცია უნდა ახსოვდეს). ცვლილებებია ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გაერთიანებულ კოლექტივებში. კერძოდ, საკუთარი სურვილისამებრ, ვახტანგ მაჭავარიანი აღარ იქნება სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი. ცნობილი დირიჟორი გააგრძელებს საგასტროლო მოღვაწეობას, მის ადგილს კი, თბილისში 1991-93 წლებში ნამუშევარი, პერუელი დევიდ დელპინო-კლინგე (მასთან დაკავშირებულია თბილისში სიმფონიური "პარასკევობების" ტრადიცია, რაც თბილისში სასიამოვნოდ ახსენდებათ კლასიკური მუსიკის მოყვარულებს) დაიკავებს. კლინგე პარალელურად დარჩება პერუს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელად; ამჟამად მას კონტრაქტი უმთავრდება არგენტინის სიმფონიურ ორკესტრთან. როგორც ნიკა მემანიშვილმა აღნიშნა, კლინგე 2006 წლიდან ძირითად დროს თბილისში გაატარებს. სექტემბერში მისი მეთვალყურეობის ქვეშ სიმფონიური ორკესტრის წევრებისთვის ატესტაციაა დაგეგმილი; მანამდე კი, სწორედ კლინგეს დირიჟორობით გაიმართება 26 მაისის კონცერტი. სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტი გაუქმდა კამერულ ორკესტრშიც, ლიანა ისაკაძე კი დარჩება ორკესტრის მუსიკალურ ხელმძღვანელად; ნიკა მემანიშვილის თქმით, ისევე როგორც ვახტანგ მაჭავარიანისთვის სიმფონიური ორკესტრი, ლიანა ისაკაძისთვის კამერული ორკესტრი დარჩება შემოქმედებითი გეგმების განსახორციელებლად ძირითად საყრდენად. ამას გარდა, საკადრო ცვლილებები შეეხო ცენტრში შემავალ ყველა კოლექტივს; რეორგანიზაციის შედეგად, ავტომატურად გათავისუფლდა ყველა ადმინისტრაციული და შემოქმედებითი ხელმძღვანელი. გუშინდელ შეხვედრაზე ნიკა მემანიშვილმა მოადგილე - თათა იოსებაშვილი წარადგინა; ცენტრის კონსულტანტად კი თამაზ ბათიაშვილი დაასახელა (მოლაპარაკება უცხოეთში მოღვაწე ქართველ მუსიკოსთან წარმატებით დასრულდა). ცვლილებებია საგუნდო კაპელაში, რომლის ხელმძღვანელად გივი მუნჯიშვილი დაინიშნა, მთავარ დირიჟორად კი - არჩილ უშვერიძე; ამჟამად ეროვნული მუსიკალური ცენტრი მოლაპარაკებებს აწარმოებს კახეთის სამხარეო ადმინისტრაციასთან და ელისო ვირსალაძესთან, რეგიონის ცნობილი ფესტივალის "ქება ვაზისას" აღსადგენად. დაბოლოს, ახლად ჩამოყალიბებულმა ცენტრმა გუშინ საჩუქრად მიიღო ზაქარია ხუროძის ბიბლიოთეკა - პარტიტურა და ჩანაწერები, რომელიც ცენტრის ხელმძღვანელს დირიჟორის ოჯახის წევრებმა გადასცეს. "ჩუქების დოკუმენტს" ხელი გუშინ, ზაქარია ხუროძის დაბადებიდან 80 წლისთავზე მოეწერა.

# "უკანასკნელი ფურცლები ქალის დღიურიდან"

ტრისტან მახაური

რუსული სიმბოლიზმის აღიარებული ოსტატი ვალერი ბრიუსოვი მრავალმხრივი მოღვაწე იყო: წერდა ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს, რომანებს, თარგმნიდა... იყო ძალიან პროდუქტიული შემოქმედი, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე (სულ 51 წელი იცოცხლა) 80 წიგნის გამოცემა მოასწრო. თანამედროვენი მას აღიარებდნენ რუსული სიმბოლიზმის მეტრად.

"უკანასკნელი ფურცელი ქალის დღიურიდან" ბრიუსოვის პროზაული ნაწარმოებია, რომელიც ახლახან ითარგმნა ქართულ ენაზე და წიგნად გამოიცა. ნაწარმოები თარგმნა და ბოლოსიტყვაობა დაურთო მწერალმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა თეიმურაზ ქურდოვანიძემ.

ბრიუსოვის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან მხოლოდ ლექსების მცირე ნაწილია თარგმნილი ქართულად. ამიტომ გასაგებია ის ინტერესი და მნიშვნელობა, რაც წინამდებარე თარგმანს ენიჭება ქართველი მკითხველისთვის. საუკუნის წინ დაწერილი მოთხრობა დღესაც აქტუალურია.

მოთხრობა 1910 წელს დაიბეჭდა ჟურნალ "Русская мысль"-ში. ის დღიურის ფორმითაა დაწერილი და გადმოსცემს ქალის სულიერ განწყობილებებს მისი ცხოვრების მნიშვნელოვან და ტრაგიკულ მომენტებში. უდიდესი ერუდიციისა და მწერლური ტალანტის წყალობით ავტორი ღრმად გვახედებს პერსონაჟის სულიერი სამყაროს ურთულეს ლაბირინთებში, ღრმად სწვდება ქალის ბუნებას, ფსიქიკას, არაჩვეულებრივად ძერწავს ხასიათებს, ქმნის განუმეორებელ პორტრეტებს.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ნატალია გლებოვნა თავისუფალ ცხოვრებას ეწევა. კანონიერი ქმრის გვერდით ჰყავს ორი საყვარელი, თუმცა, მათთან ინტიმური ურთიერთობითაც არ კმაყოფილდება და, მრავალფეროვნების სიამოვნებას დაწაფებული, მზად არის, სასტუმროში დანებდეს სრულიად უცნობ მამაკაცს. საყვარლები მისგან ერთგულებას ითხოვენ, ის კი გადაჭრით ამბობს: "უპირველეს ყოვლისა, მინდა ჩემს თავს ვეკუთვნოდე".

მწერალი XX საუკუნის დასაწყისის რუსეთში ევროპიდან შემოსული ქალის ემანსიპაციის პრობლემას აყენებს, შთამბეჭდავად აღწერს არისტოკრატიული საზოგადოების ყოფით ურთიერთობებს, რომლის ერთი თვალსაჩინო გამოხატულება ნატალია გლებოვნაა; მისი თავისუფლება ქმრის სიცოცხლეშივე შეუზღუდავია. მართალია, მეუღლემ იცის მისი ღალატის ამბავი, მაგრამ ხუჭავს თვალს, რადგან, თავის მხრივ, ისიც ღალატობს ცოლს და მოახლესთან ცხოვრობს. ნატალის საზოგადოება თითქმის "ამ სიცრუის გათამაშებით" ცხოვრობს, ერთი სიტყვით, გარემოა ასეთი გარყვნილი: მხატვარი მოდესტი ნატალისაც ყვარობს და მის მოახლესაც, ნატალის მეგობრები სულ იმას ლაპარაკობენ, ვინ რამდენი საყვარელი გამოიცვალა და ა.შ.

ნატალისთვის ოჯახი, სადაც იგი მკაცრად შეზღუდული იქნება და საკუთარ სურვილებს არ აისრულებს, მარტოოდენ ბორკილი, ერთფეროვნება და მძიმე ასატანი რეალობაა.

მათი ცოლ-ქმრული ურთიერთობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ერთი შეხედვით, "სრული თანხმობაა" მათ შორის. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ეს "წონასწორობა" ვიქტორის მკვლელობის შემდეგ ირღვევა. მაშინ გამოჩნდება უზარმაზარი უფსკრული და ნათელი მოეფინება მრავალ ბუნდოვან საკითხს: "იქნებ ცუდია, რომ ვღალატობ ქმრის ნეშტს, - აღიარებს ნატალი, - სულში მართლაც დამრჩა უხერხულობის რაღაც შავბნელი გრძნობა. არასოდეს განმიცდია მსგავსი რამ, როცა ცოცხალს ვღალატობდი. აქვს სიკვდილს იდუმალი მეუფება". მაგრამ ეს სინანულიც დროებითია, რადგან ნატალის მოუთოკავი ვნებები ვერ თავსდება ერთფეროვნების მარწუხებში და კვლავ სიახლისკენ ისწრაფვის: "ახალი შინაგანი თავისუფლება რაკი ვიგრძენი, დღეს ვალოდიასთან გავემგზავრე, რომელსაც ბოლო დროს მთელი კვირაობით ვივიწყებ".

შინაგანი თავისუფლებისკენ სწრაფვა მხოლოდ ხორციელი ვნებებით კი არა, სულიერი მოთხოვნილებებითაც არის ნაკარნახევი. ყველა ადამიანს აქვს საკუთარი მე, თავისი ინტერესები, შეხედულებები ადამიანებზე და, საერთოდ, ამქვეყნად ყოფნის საზრისზე. ჩვეულებრივი ურთიერთობის მიღმა იმალება იდუმალი რაღაც, რისი ახსნაც ადამიანს არ შეუძლია.




ნატალი ინტელექტუალური არსებაა. მართალია, დაბალი წრიდან გამოსულა, მაგრამ არისტოკრატიისადმი მისწრაფება შთამომავლობით დედისგან მიუღია და არც განათლებისკენ ლტოლვაზე ამბობს უარს. ახალ-ახალი პარტნიორისადმი მისწრაფებას ნატალი ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა მრავალფეროვნებისადმი, შეუცნობელისა და იდუმალისადმი მიახლოების გაცხოველებული ინტერესით ამაგრებს. ის ამბობს, რომ ვენეციაში ყოფნისას უბირ ვალოდიას მან გააცნო და შეაყვარა ხელოვნება. ისინი კითხულობდნენ ფეტისა და ტიუტჩევის ლექსებს, ეცნობოდნენ ტიციანისა და ბელინის შედევრებს. ნატალის მოსწონს რემბრანდტის გრავიურებით დამშვენებული ოთახი, მაგრამ ჭკუას კარგავს აღმოსავლურ კულტურაზე და მოდესტის მიერ მოწყობილი შეხვედრა ზღაპარს აგონებს. ნაწარმოების ეს პასაჟები ყურადღებას იქცევს ღრმა და საგულისხმო ქვეტექსტებით. აქ ნათლად იკვეთება ავტორის დაინტერესება ისტორიითა და მითოლოგიით, როგორც შთაგონების უშრეტი წყაროთი.

ლიტერატურათმცოდნენი აღნიშნავენ, რომ ეს ნაწარმოები რეალისტური ხასიათისაა, მაგრამ აქ ადვილი შესამჩნევია სიმბოლისტური პოეტიკისთვის ნიშანდობლივი ელემენტებიც. მოთხრობაში შთამბეჭდავი ფერებითაა დახატული ვალოდიასა და მოდესტის პორტრეტები. ისინი განსხვავებული ტიპაჟებია:

ვალოდია გულუბრყვილო ბიჭია. ნატალიმ შერყვნა ეს ჭაბუკი, ასწავლა ყველაფერი და უყვარს თავისი ნაღვაწი. მის შესახებ ნატალი ამბობს: "მე ვიყავი პირველი ქალი, რომელსაც დაეუფლა. მე მივილე და შევსვი კიდეც მისი უბიწოება". ქალი მას "პატარა ეჭვიანს" ეძახის. მოსწონს მასში გულწრფელობა, სიალალე, უბიწოება და ამავე თვისებების გამო უარყოფს მას: "მე იგი დამტანჯავდა თავისი უბიწოებითა და ეგზალტაციით".

თუ ვალოდია ნატალისთვის გულახდილობისა და უბიწოების განსახიერებაა, მოდესტი "მხატვარი-დემონია". იგი საკმაოდ რთული პიროვნებაა, რომელიც თავად იპყრობს ქალს. მის პიროვნებაში თანაბრად არის კონდენსირებული სიყალბე, ცბიერება, გამბედაობა, სიშმაგე და ჭკუა. ის დროების კაცია, რომელსაც სიტუაციის შესაბამისად შეუძლია მოქმედება: "თანამედროვე ადამიანს ყველაფრის გაკეთება უნდა შეეძლოს: ლექსების წერაც და ელექტრონული აპარატებით სარგებლობაც, სცენაზე თამაშიც და კაცის კვლაც", - ეუბნება იგი ნატალის.

"უკანასკნელი ფურცლები ქალის დღიურიდან" ვალერი ბრიუსოვის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. ლირიკული განწყობილებებით იგი ახლოს დგას მისივე "ეგვიპტური ღამეების" ციკლთან. ისიც დასაშვებია, რომ პაოლო იაშვილს "დარიანული" ლექსების თხზვის დროს ნატალია გლებოვნას სახებაც უთუოდ ედგა თვალწინ. ქალის სულიერ სამყაროში შეღწევა და მისი ბუნების გადმოშლა ორივე მწერლისთვის საინტერესო თემაა. აქ აღარას ვამბობთ ალექსანდრ ბლოკის ცნობილ ციკლზე "ლექსები მშვენიერ ბანოვანზე", რომელსაც არაერთი კრიტიკოსი შეეხო.

ქართველმა მკითხველმა კარგი საჩუქარი მიიღო ვალერი ბრიუსოვის წინამდებარე მოთხრობის სახით. უზადო ქართულით ამეტყველდნენ მისი პერსონაჟები. რუსული სიმბოლიზმის მეტრი განსწავლულ, პროფესიონალ მთარგმნელს მოითხოვდა. ქართულ თარგმანში მართლაც ჩანს ლიტერატორის, ხალხური სიტყვიერებისა და მითოლოგიის მკვლევრის ხელი, რომელიც ესოდენ საჭირო იყო ვალერი ბრიუსოვის ღრმა და მდიდარი შემოქმედებითი სულის გადმოსაცემად.

# სუხიშვილები, ქართული ცეკვის „ბაგრატიონები"

ხათუნა ხუნდაძე
შტუტგარტი

ალბათ ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში გვარი, რომელმაც სამშობლოს ისე გაუთქვა სახელი, როგორც სუხიშვილებმა და ამ დიდ მისიას უკვე მესამე თაობა ღირსეულად ასრულებს.

"საქართველო ამაზე უკეთეს რეკლამას ვერ ინატრებდაო", - წერს ერთი გერმანული გაზეთი და მართლაც ასეა.

არ მეგულება ქვეყანა, რომელსაც ისეთი არისტოკრატიული ფოლკლორი ჰქონდეს, როგორიც საქართველოს აქვს, ან ისეთი ქორეოგრაფი ჰყავდეს, როგორიც ილიკო სუხიშვილია, რომელმაც საქართველოს ფოლკლორი XXI საუკუნეს მოარგო, ერთი ილეთიც კი არ დაკარგა იმ საგანძურიდან, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო და ათასწლოვანი ცეკვები დღევანდელი მაყურებლისთვის საინტერესოდ გარდაქმნა. ძველი და ახალი პროგრამა ისე გემოვნებით აკინძა, რომ მაყურებელს დროისა და სივრცის შეგრძნება დაუკარგა და ქართული ცეკვის მარადიულ ტრანსში ჩააგდო.

"ხანჯლური", "სვანური", "სამანი", "ნანილა", "ზეკარი", "ჯუთა"... ქართული ცეკვის ახალი და ღირსეული გენერაცია, რომელიც ალბათ რაღაც უფრო დიდის და არაჩვეულებრივის საწინდარია, რომელსაც ილიკო სუხიშვილი გვიმზადებს.

ქართველ მაყურებელს არ სჭირდება ქართული ცეკვის ფენომენის ახსნა, მაგრამ თავს მაინც უფლებას ვაძლევ და იმათ გასაგონად ვლაპარაკობ, რომლებიც ყოველგვარი ახლის წინააღმდეგი არიან და ხშირად აუგად მოიხსენიებენ იმ ცვლილებებს, რომელიც ქართულმა ცეკვამ ლოგიკურად განიცადა.

მე ვიტყოდი, რომ კიდევ უფრო მეტი "გაგიჟება" და "თავისუფლება" კიდევ უფრო დაამშვენებდა ქართულ ცეკვას და ქართულ ხელოვნებას, მაგრამ არასწორი, არაობიექტური და არაპროფესიონალური კრიტიკის შიში ბოჭავს ხელოვანს და იძულებულს ხდის, ჩარჩოში მოექცეს. ეს კი წინსვლის შემაფერხებელია. როდემდე უნდა დარჩეს ქართული ესტრადა დომინანტის დონეზე, როდემდე უნდა იყოს სიმღერის ტექსტი ზამთრის სიცივის შიშსა და წვიმის შხაპუნის სილამაზეზე აგებული, როდემდე უნდა გვეშინოდეს ახლის ან როდემდე უნდა დავგმოთ ახალი, რატომ გვგონია, რომ ახალი მარტო დასავლეთში იბადება? საქართველოს აქვს ის პოტენციალი, რომ აყვეს მსოფლიოს (ამაში იაფფასიან მიმბაძველობას არ ვგულისხმობ) და გაასწროს კიდეც, ოღონდ ამას ყველაფერს მე, შენ, თქვენ ხელი უნდა შევუწყოთ. ქართულ კრიტიკაში, ისევე როგორც ყველაფერ ქართულში, აშკარად შეიმჩნევა ბიძაშვილ-მამიდაშვილურ-მეგობრულ-ძმაკაცური ლოიალობა და, სამწუხაროდ, კრიტიკა ხშირად არაობიექტური და არაპროფესიონალურია.

რატომ ველოდებით მსოფლიო აღიარებას, როცა ჩვენ თვითონ ვგმობთ ჩვენსას და არაობიექტური კრიტიკის მსხვერპლად ვხდით?

ქართულ ცეკვას ის უნიკალური კოსტიუმებიც ამშვენებს, რომლებიც სოლიკო ვირსალაძემ ნინო რამიშვილისთვის და ილიკო სუხიშვილისთვის შექმნა. მისი ასევე ღირსეული გაგრძელებაა ნინო სუხიშვილის ულამაზესი და თემატურად აბსოლუტურად გამართული კოსტიუმები, რომელიც მაყურებელზე არნახულ შთაბეჭდილებას ახდენს და თითოეული მათგანი ისევე ხელოვნების ნიმუშია, როგორც სოლიკო ვირსალაძის ესკიზით 50 წლის წინათ დიდ თეატრში შეკერილი კოსტიუმები.

ისე როგორც ქორეოგრაფიაში, კოსტიუმებშიც დაცულია ქართული ტრადიცია, ახალი ფერი და ფორმა უდიდესი გემოვნებითა და სიფაქიზითაა შეყვანილი და ეს ყველაფერი მათ XXI საუკუნისთვის აქტუალურსა და საინტერესოს ხდის.

ახალმა კოსტიუმებმაც დიდი კამათი გამოიწვია, მეკამათებოდნენ ისინი, ვისაც საერთოდ არ ჰქონდათ ნანახი "სუხიშვილების" ახალი წარმოდგენა. მიზეზად კი ნინო სუხიშვილის მიერ კაბის კოჭს ზემოთ აწევას იმიზეზებდნენ.

არმცოდნეებს მინდა ვუთხრა, რომ მთიულური კაბა ყოველთვის კოჭს ზემოთ იყო და აქაც ყველა ტრადიცია დაცულია. იმ "კრიტიკოსთან" კამათი, რომელიც კოსტიუმს შარვალ-კოსტიუმს (ანუ ორი შარვალი და ერთი პიჯაკი, რადგან კოსტიუმი თავად უკვე ერთ შარვალს და პიჯაკს ჰქვია) ეძახის, დამამცირებლად უნდა მიმაჩნდეს, მაგრამ რადგან დღევანდელი ფსევდოხელოვნებათმცოდნეებისა და კრიტიკოსების უმრავლესობა ასეთია, მაინც შევებრძოლები მათ და ვეტყვი, უკეთ გაეცნონ საქართველოს კულტურას და ხელოვნებას.

ქართველი ქალის ორმაგი ბუნება არსად ისე ლამაზად არაა ნაჩვენები, როგორც ილიკო სუხიშვილის მიერ დადგმულ ახალ ცეკვებში და ნინოს სუხიშვილის მიერ შექმნილ კოსტიუმებში. ქართველი ქალი ასცდა სცენას, ტოლი არ დაუდო ქართველ კაცს ვაჟკაცობაში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო და ასეც იყო. ქართველი დედა, თუ საჭირო იყო, ფარ-ხმალს იღებდა და მამაკაცის გვერდით იბრძოდა სამშობლოს და ღირსების დასაცავად. თუ კამათის საბაბი არ დაილია და "ასსა"-ს გარშემო ატყდა ორომტრიალი, აქაც თამამად გეტყვით: ეს არაჩვეულებრივი პროექტი ქართველი ახალგაზრდობის ფოლკლორთან დასაახლოებელი არის და თანამედროვე კოსტიუმებითა და საკლუბო მუსიკით თავის ფუნქციას არაჩვეულებრივად ასრულებს.



"სუხიშვილების" საკლუბო პროექტი "ასსა".

რაღა თქმა უნდა, ყველაფერი გემოვნების ამბავია, ყოველთვის არსებობს და იარსებებს დადებითი და უარყოფითი აზრი, მაგრამ ამ პროექტის არსის არმოწონება ნამდვილად ცოდვაა.

მართლაც ბევრი თინეიჯერი მოაბრუნა "ასსა"-მ ქართული მუსიკისა და ცეკვისკენ.

ვიზუალურ მხარეს სხეულის ის ზეადამიანური ფლობაც ამშვენებს, რომელიც სუხიშვილების მოცეკვავეებს წლების მანძილზე გამოუმუშავდათ. ამ მხარეს უკვე დიდი ხანია ქალბატონი ინგა თევზაძე - ანსამბლის ქორეოგრაფი და ბატონი თენგიზ სუხიშვილი - ანსამბლის გენერალური დირექტორი და პროდიუსერი - "დარაჯობენ" და მცირე უზუსტობასაც კი არ აპატიებენ მოცეკვავეს.

დაბოლოს, ის დისციპლინა, ურთიერთპატივისცემა, მეგობრობა და არაჩვეულებრივი ამინდი, რომელიც ანსამბლში დგას, ბატონი თენგიზის დიდი დამსახურებაა.

ბევრია საქართველოში ქართული ცეკვის ანსამბლი, მაგრამ სუხიშვილებს აქვთ რაღაც არისტოკრატიული მოძრაობაში, რაც მათ სხვა ანსამბლებისგან განასხვავებს. მე მათ **ქართული ცეკვის "ბაგრატიონებს"** ვუწოდებდი.

სუხიშვილების კონცერტს ერთიათად ალამაზებს 12-კაციანი ორკესტრის მიერ ცოცხლად შესრულებული მუსიკა, რომელიც ხშირ შემთხვევაში ფანტასტიკურია, ხანდახან კი უფრო მეტ დახვეწას მოითხოვს.

## გერმანია 2005

ალბათ რჩეულთა ხვედრია ამ ყველაფრის კულისებიდან აღქმის უფლება, სხვაა კონცერტი პარტერიდან და სულ სხვაა ის სამზარეულო, სადაც ეს საოცრება მზადდება.

ჰოდა, 2005 წლის მარტში, დიდი ხნის განშორების შემდეგ, სუხიშვილებს გერმანიის 12 ქალაქი მასპინძლობდა და მე, როგორც ამ პროექტის ხელმძღვანელს, "რჩეულთა ხვედრი" მერგო.

უნგრეთის გასტროლებიდან გრიპით დაინფიცირებულ სიცხიან მოცეკვავეებს სცენაზე ერთი წუთითაც ვერ შეატყობდით დაღლას, ტკივილს, სისუსტეს. კულისებში შემორბენისთანავე ასპირინითა და პარაცეტამოლით ვუმასპინძლდებოდი.

39,5 სიცხით წარმოუდგენელ ტრიუკებს აკეთებდნენ ჯიმი, მამუკა, ზუკა, თემო, მიშა, გია, რომანი, აკაკი, მახო, ოთო, შოთა, ზვიადი....

მაღალი სიცხე და აწყლიანებული თვალები გოგოებს სინაზეს ჰმატებდა და ერთიათად ლამაზს ხდიდა მათ ნაღვლიან თვალებს.

სისუსტის მიუხედავად, ყველასთვის შეურაცხმყოფელი იყო შეკითხვა: გადიხარ დღეს სცენაზე? შეგიძლია ცეკვა? ცეკვავდა ყველა და ცეკვავდნენ ისე, როგორც ყოველთვის.

თვალები ცრემლით მევსებოდა, როცა სამ-ოთხ ბისზე გამოსულ, სიცხიან მოცეკვავეებს მაყურებელი ისევ უხმობდა და უძნელდებოდა მათთან განშორება. მე კი ერთი სული მქონდა, მალე მიეღოთ წამალი და დროულად მივსულიყავით სასტუმრომდე, თუმცა, ამითაც ვერ ვანებივრებდი გრიპიან მოცეკვავეებს, გერმანიის მოყინულ გზაზე 3 საათის სავალს 8 საათი გავდიოდით, 2 საათით დავისვენებდით და მერე ისევ ვაგრძელებდით გზას შემდეგი ქალაქისკენ.

ვერც გერმანული პუნქტუალურობით გავაოცე არაპუნქტუალური ქართველები: თითქმის ყველა კონცერტი ნახევარი საათის დაგვიანებით იწყებოდა და ოვაციის გამო ასევე გვიან მთავრდებოდა.

დარბაზები ტაშით ინგრეოდა. იყვნენ მაყურებლები, რომლებიც რამდენიმე ქალაქში დაესწრნენ კონცერტს და თანახმა იყვნენ, ტურნეში გამოგვყოლოდნენ.

მე, როგორც ორგანიზატორს, ფოიეში მიწევდა ყოფნა და უდიდესი სიხარულით ვიღებდი მოლოცვებსა და კომპლიმენტებს. ამ ტურნეს მერე საქართველოს ტურიზმის დონე აიწევსო, მითხრა ერთმა გაოგნებულმა მაყურებელმა, რომელმაც ამ სანახაობის მერე საქართველოში წასვლა და იმ კულტურის ახლოს ნახვა გადაწყვიტა, რომელმაც ასე გააოცა მრავლისმნახველი გერმანელი.

მომდიოდა უამრავი SMS და mail ქართველი სტუდენტებისგან, რომლებსაც საქართველოში სუხიშვილების კონცერტი არც კი ენახათ და მადლობას მიხდიდნენ ამ საჩუქრისთვის.

მე საჩხერიდან თბილისში ვერასოდეს ჩამოვიდოდი ამ სასწაულის სანახავად და დიდი მადლობა, რომ ამას მაზიარე და ქართველი კაცი შემაყვარე. უსინდისო ვიყო, თუ გერმანიაში გავთხოვდეო, მომწერა ერთმა უცნობმა ნათიამ.

და, ვინ იცის, კიდევ რამდენს დაუბრუნდა გერმანიის კომფორტული ცხოვრებისგან მიძინებული პატრიოტული სული.

პატრიოტულ სულზე ჩამოვარდა ლაპარაკი და არ შემიძლია, დიდი პატივისცემით და მადლიერებით არ მოვიხსენიო ფრაიბურგში მყოფი ქართველი ფეხბურთელები, იაშვილი, ცქიტიშვილი, ხიზანეიშვილი, რომლებმაც უდიდესი თანადგომა გამიწიეს სარეკლამო პრესკონფერენციების დროს, კონცერტის მერე კი მთელი ანსამბლისთვის იტალიური რესტორანი დაკეტეს და არაჩვეულებრივი გულუხვობით გაანებივრეს მგზავრობით, მაღალი სიცხით და ოთხ ბისზე ცეკვით დაღლილი მოცეკვავეები.

დიდი მადლობა, ბიჭებო, ამ ლამაზი საღამოსთვის და იმისთვის, რომ ისევ ქართველებად დარჩით და არაფერი შეგშლიათ. ასევე დიდი მადლობა თქვენ ლამაზ მეუღლეებს ქართული მასპინძლობისთვის.

1. კონცერტებამდე სამი დღით ადრე ჩამოსულ მოცეკვავეებს ავტობუსი ემსახურებოდა. პუნქტუალური გერმანელი მძღოლი "ვერ ეგუებოდა" ქართველების არაპუნქტუალურობას და სულ შემომჩიოდა, დღესაც დააგვიანეს და ეს აუტანელიაო. 1 მარტს შტუტგარტის კონცერტით გაოგნებული მომიახლოვდა, ბოდიში მომიხადა და მითხრა, უკვე 15 წელიწადია, საგასტროლოდ ჩამოსულ საბალეტო დასებს დავატარებ და მსგავსი არაფერი მინახავს. ამათ, თუ უნდათ, საათობით დააგვიანონ, ხმის ამომღები აღარ ვარ, ეს რა ვნახეო. სამწუხაროდ, გრიპის "ქართულმა" ვირუსმა ისიც იმსხვერპლა და სატრანსპორტო ფირმამ ახალი მძღოლი გამოგვიგზავნა, რომელიც ასევე გააოგნა ქართულმა ცეკვამ, ქართულმა მეგობრობამ და აღიარა, რომ მსგავსი ერი მას არ გაუცვნია და ბედნიერია, რომ ერთხელ მაინც შეხვდა ქართველებს.

2. ქალაქ ჰალეს თეატრის დირექტორი იმდენად გაოგნდა ქართული ცეკვით და იმ არაჩვეულებრივი ურთიერთობით, რაც ქალსა და მამაკაცს შორის სცენაზე (და არა მარტო სცენაზე) ხდებოდა, რომ, პატივისცემის ნიშნად, ხელში ამიყვანა და ისე ჩამიყვანა კიბეებზე, მადლობა გადამიხადა, რომ ასეთი რამ ვაჩვენე და ასეთ კულტურას ვაზიარე.

3. არ შემიძლია, არ გამოვყო ყველაზე არასტუმართმოყვარე ქალაქი და ალბათ გასაკვირია, რომ ინგოლშტადტს დავასახელებ. ეს იყო თეატრი, რომელშიც გვეკრძალებოდა ყველაფერი - "ყარაჩოხულში" ჯამებში ცეცხლის ანთებით დაწყებული და კოსტიუმების სცენასთან ახლოს დაკიდებით დამთავრებული, ყველაფერი, რაც სხვა, ბევრად უფრო პრესტიჟულ დარბაზებსა და ქალაქებში უპრობლემოდ ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალაქის სავიზიტო ბარათი ქართული კამერული ორკესტრია (რომელიც უკვე 15 წელია იქ მოღვაწეობს და უდიდესი პოპულარობითა და პატივისცემით სარგებლობს) და ჩვენი კონცერტის მეორე დღეს ის უნდა გამოსულიყო იგივე დარბაზში, არ იყო არანაირი თანადგომა, დახმარება და ხელშეწყობა. პირიქით, ყველა პირობა იყო იმისა, რომ კონცერტი არ ჩაგვეტარებინა და უარი გვეთქვა გამოსვლაზე.

მკითხველს თავს აღარ შევაწყენ პრობლემებით, რომლებიც ყველა კონცერტს, გინდა თუ არა, თან სდევს და ჩემს წერილს მილოცვით დავამთავრებ.

წელს სუხიშვილების ქართულ ნაციონალურ ბალეტს 60 წელი უსრულდება და მინდა დღეობა მივულოცო.

# გენიალური ვუნდერკინდის თვითმკვლელობა

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში

როდესაც პეტი და მარტინ ბრემერები სასურსათო სუპერმარკეტიდან საყიდლებით დაბრუნდნენ, 14 წლის ვაჟიშვილი, ბრენდონი, მკვდარი დახვდათ. ბიჭმა მამის თოფით მოიკლა თავი. ტყვიამ თავი გაუხვრიტა. კოლორადოს შტატის საზღვართან მდებარე პატარა პროვინციული ქალაქის შერიფმა პროტოკოლში სიკვდილის მიზეზად თვითმკვლელობა ჩაწერა. ბიჭმა არავითარი წერილი, არავითარი "მშვიდობით და მაპატიეთ" არ დატოვა. იპოვეს მხოლოდ მოკლე ანდერძი, რომლის მიხედვით ის სიცოცხლისთვის მნიშვნელოვან ყველა ორგანოს - გულს, ფილტვებს, თირკმელებს, ღვიძლს - უგზავნიდა პაციენტებს, ვისაც ისინი სჭირდებოდა. ანდერძი იმ ღამესვე აასრულეს.

ასე ტრაგიკულად შეწყდა გენიალური ვუნდერკინდის ბრენდონ ბრემერის ხანმოკლე სიცოცხლე, ვუნდერკინდისა, რომელსაც ყველა დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

წლინახევრის იყო, როდესაც ბრენდონმა კითხვა ისწავლა. სამი წლისა უკვე პიანინოზე უკრავდა და დაწყებითი სკოლაც დაამთავრა. ათი წლისამ დაამთავრა საშუალო სკოლა და ფორტ-კოლინსის უნივერსიტეტში შევიდა. შემდეგ სახლთან ახლოს, ნებრასკას შტატის კოლეჯში გადავიდა. ყველას, ვინც მას შეხვედრია - მასწავლებლები, ფსიქოლოგები, ჟურნალისტები, ორი გრძნობა ეუფლებოდა - გაოცების და აღფრთოვანების. ვინც მის მუსიკალურ კომპოზიციებს უსმენდა, ტრადიციულად მოცარტს ადარებდა, თუმცა, ის თანამედროვე მუსიკას წერდა. მისგან ბევრს ელოდნენ ისეთ დარგებშიც, როგორიცაა ფიზიკა და მათემატიკა.

ბრენდონი თითქოს ორ პარალელურ - ბავშვურ და ზრდასრულ სამყაროში ცხოვრობდა და, ერთი შეხედვით, ადვილად და უმტკივნეულოდ მოძრაობდა მათ შორის. ჯიმ შიფელბეინი, ნებრასკა-ლინკოლნის სკოლის (რომელიც ბრენდონმა დაამთავრა) დირექტორი იხსენებს: "სკოლის დამთავრების ცერემონიის შემდეგ ბრენდონი მთელი კლასის სახელით სიტყვით გამოვიდა, გაესაუბრა ჟურნალისტებს, მერე დატოვა თანაკლასელები და თავისი ასაკის ბავშვებთან გაიქცა სათამაშოდ". პროფესორები, რომლებიც მას ლექციებს უკითხავდნენ, უნივერსიტეტში ამბობენ, რომ შემოქმედი ბიჭი "მოხვდა 18-20 წლის ბიჭების სამყაროში და იქცეოდა თავშეკავებულად, ამასთან, სრულებითაც არ იყო იზოლირებული. ფიზიკის პროფესორი ბრაიან ჯონსი, რომელსაც ბრენდონი, როგორც მუსიკალური ვუნდერკინდი, სკოლის მუსიკის მასწავლებელმა წარუდგინა, იხსენებს: "უნივერსიტეტში ლექციების გარდა, მე ფიზიკას სკოლის მოწაფეებს ვასწავლიდი. ბრენდონი სრულიად ორგანულად გამოიყურებოდა როგორც სტუდენტებს, ისე სკოლის მოწაფეებს შორის. ამ უკანასკნელებთან იგი თამაშობდა და მეცადინეობდა კიდეც. საერთო ასაკი ამას ძალიან უწყობდა ხელს. მეორე დღეს კი ბრენდონი კვლევით პროექტებზე მუშაობდა ბიჭებთან, რომლებიც 10 და მეტი წლით უფროსები იყვნენ. მე ეს დროებითი ცვლილებები სრულიად არ მაღელვებდა". იგივეს ამბობს ბიჭის დედაც: "ის ასაკის ქრონოლოგიას ვერ გრძნობდა. როგორც ძუძუმწოვარ ბავშვთან, ისე ასი წლის მოხუცთან ერთნაირად კომფორტულად გრძნობდა თავს".



მაგრამ ეს თვისებაც თავისებურად არ იყო ჩვეულებრივი. და ეს ბევრს ატყუებდა. ბრენდონის მშობლებსაც კი. ისინი მშვენივრად ხვდებოდნენ, რომ მათი შვილი არაჩვეულებრივია, არ ჰგავს სხვებს, მათ შორის, ორ უფროს დას, მაგრამ ისინი ვერ ამჩნევდნენ ვერც იზოლირებას, ვერც დეპრესიას. "დღეს ბევრი ამბობს, რომ ბრენდონი, ცხოვრებისეული თვალსაზრისით, ცუდად ეგუებოდა იმ საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობდა. ხალხს, უბრალოდ, არ ესმის, რომ ბავშვები ზოგჯერ უფროსებზე ჭკვიანები არიან, - ამბობს ვუნდერკინდის დედა. - ჩვენ არასოდეს არ ვიჩენდით ინიციატივას. მან თვითონ ისწავლა კითხვა. ჩვენ არათუ ვაქებდით მის ტალანტს, ვცდილობდით, მისი ადრეული განვითარება ცოტათი შეგვეკავებინა".

მაგრამ შემდეგ ბრენდონის დედა, რამდენიმე დეტექტიური რომანის ავტორი და ძაღლების პროფესიონალი მწვრთნელი (ეს ბრემერების საგვარეულო ბიზნესია), საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. "ის სულიერ სამყაროსთან იყო დაკავშირებული, - ამტკიცებს იგი. - ამიტომაც თავისი ორგანოები უანდერძა სხვა ადამიანებს სიცოცხლის გადასარჩენად... ბრენდონი მკვდარი დაიბადა. როდესაც სამყაროს მოევლინა, პულსი არ ჰქონდა. ექიმებმა მისი გაცოცხლება მოახერხეს და ამის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. მკვდარი ბავშვის სხეულში საოცარი ანგელოზი ჩასახლდა".

თუმცა, ბრემერების მეზობლები ბიჭუნაში "ანგელოზურს" ვერაფერს ხედავდნენ, ექსცენტრიულობასაც კი, რაც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ვუნდერკინდებისთვის. ერთ-ერთი მეზობელი, ფერმერი სტივენ ტაკერი, რომელიც ვენანგოში (ნებრასკას შტატი), ბრემერების სახლის გვერდით ცხოვრობს, ამბობს: "ბრენდონი თითქმის არ განსხვავდებოდა სხვა ნორმალური ბავშვებისგან, თუმცა, ჩვენ ვიცოდით, რომ ის გამორჩეული იყო". ვუნდერკინდის სიკვდილმა გააოგნა ყველა, ვინც მას იცნობდა. მას მხოლოდ მეზობლები, მასწავლებლები, თანაკლასელები და თანაკურსელები კი არა მედიის საშუალებით მთელი ამერიკა იცნობდა. იცნობდა და მარჩიელობდა: ვინ გამოვიდოდა - ახალი მოცარტი თუ ახალი აინშტაინი?

თვითმხილველთა ჩვენებების თანახმად, თვითმკვლელობამდე ბრენდონი აღგზნებული ჩანდა. მალე გასაყიდად უნდა გამოსულიყო მის მიერ დაწერილი და მისივე შესრულებით ჩაწერილი მეორე დისკი. ბრენდონი ამბობდა, რომ უნდოდა გამოსულიყო ანესთეზიოლოგი, რომ შებრძოლებოდა ტკივილს, რომელსაც განიცდიან ადამიანები.

და უცბად... გასროლა.

ახლა უაზრობაა იმარჩიელო, რამ უბიძგა პატარა გენიოსს თვითმკვლელობისკენ. შეიძლება ორ პარალელურ სამყაროს შორის მოგზაურობა გახდა აუტანელი? პარალელები ხომ არ იკვეთება, და თუ იკვეთება, მხოლოდ უსასრულობაში. და სწორედ უსასრულობაში გაფრინდა ანგელოზი, რომელიც ჩვეულებრივი, მკვდრად დაბადებული ბავშვის სხეულში ბინადრობდა. საოცრება არ მოხდა, უფრო სწორად, ისე არ მოხდა, როგორც ეს სურდათ, როგორც ელოდნენ ნორმალური ადამიანები.



დავით კოპზირიძის სვეტი

# ტყუილ სუპში ნაპოვნი სიმართლე

გაგისინჯავთ ტყუილი სუპი? არაო, არ მითხრათ, რადგან ის, ვისაც ეს კერძი არ დაუგემოვნებია, განსაკუთრებით გასული საუკუნის მურტალ ოთხმოცდაათიანებში, სამშობლოს მოღალატეა და სხვა არავინ. ტყუილი სუპი კი არა, რა აღარ გავსინჯეთ ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში - უყველო ხაჭაპური, უხორცო ხინკალი, უშაქარკარაქო ნამცხვარი, უთამბაქოო სიგარეტი, უშუქო ზამთარი...

სწორედ მაშინ, როცა ჩვენს ცხოვრებაში ამდენი "უ" ტრიალებდა, მეგობართან ხშირად გვიწევდა ბიჭებს წახემსება. რაკი ეს ხშირად ხდებოდა, შეიძლება ტრადიციაც დავარქვათ და ამ ტრადიციულ ტრაპეზებს ქვეტრადიციული შტრიხებიც ახლდა: 1. სადილის უკიდეგანოდ დაგვიანება. 2. მენიუში ტყუილი სუპის ყოფნის აუცილებლობა. 3. დაგვიანებისგან კიდევ უფრო გაღვიძებული, გაღვიძებული კი არა, აღშფოთებული მადის გამო სუპის ზღაპრული გემრიელობა და 4. დიასახლისის მიერ ამაყი მიამიტობით დასმული მეტად მისტიკური შეკითხვა: ხო მოგატყუეთ? ჩვენთვის, გამძლარი ლაწირაკებისთვის, ეს კითხვა უკვე არანაირ აქტუალურობას აღარ შეიცავდა და ასე იშვა მორიგი ტრადიცია, სიგარეტის ბოლში გახვეული პასუხი: რა ოსტატურად იტყუებით, მარინა დეიდა, ნამდვილი გენიოსი ხართ.

სამწუხაროა, რომ ღვინით სავსე ჭიქა არ მიჭირავს (ესეც ტრადიციაა), თორემ ტკბილი მოგონებების სადღეგრძელოს ვერსად გავექცეოდი. რას იზამ, ხელები კლავიატურაზე კაკუნით მაქვს დაკავებული, თქვენ კი ამ სვეტს კითხულობთ და ალბათ გიკვირთ, თუ რატომ ვიხსენებ ჩემს გასტრონომიულ წარსულს.

იმიტომ, რომ ტყუილების ხანაში ტყუილი სუპის ლოდინისას და მირთმევის შემდეგაც ჩვენ გამუდმებით ვლაპარაკობდით ფეხბურთზე და რადგან ეს უწყვეტი პროცესი გახლდათ, საფეხბურთო მასლაათის ყველა კუთხე-კუნჭული გვაქვს დეტალურად მიმოხილული. ამიტომაც თამამად გეპატიჟებით ერთ-ერთ იმ ჩიხთაგანში, რომელშიც ტყუილ, ცრუ ფეხბურთელებზე კამათმა მიგვიმწყვდია.

თუ არ ვცდები, ამ ჩიხისკენ პირველი ნაბიჯი მე გადავდგი. სამაგიეროდ დარწმუნებული ვარ, რომ ეს სადილის მოლოდინის პიკში მოხდა. "დელ პიერო მაგარი ბანძია. ვერასდროს გახდება დიდი ფეხბურთელი", - ვთქვი მე და ატყდა ერთი ამბავი. ერთმანეთი კინაღამ დავხოცეთ და ამ დროს მარინა დეიდას სუპი რომ არ შემოეტანა, კაცმა არ იცის, რომელი მშიერი ქართველი შეეწირებოდა უკვე ვარსკვლავ და მილიონერ იტალიელს.

იმ დღეს კი გავიგე, რომ ტურინის "იუვენტუსის" კაპიტანი მიმდინარე სეზონში მწვრთნელმა 23-ჯერ შეცვალა და მივხვდი, რომ წლების წინ დაწყებული დისკუსია ჩემი გამარჯვებით დამთავრდა. მარტო ამიტომ არა - ვინმეს გახსოვთ, რომ ალესანდრო დელ პიეროს ნაკრებში ბრწყინვალედ ეთამაშოს? "სკუადრას" მისი წყალობით მოეგოს რომელიმე პრინციპული შეხვედრა? "ლოტკინელმა ქურთმა", როგორც მას ონისე შინჯიკაშვილი უწოდებს, რამდენიმე სეზონში გაიელვა ღირსეულად, ერთი-ორი წაიფინტავა, ქუსლით გაიტანა და ხალხმაც გადაწყვიტა - ეს ბიჭი პლატინისაც გადაუჯოკრავს! არ გამოვიდა ეს ამბავი. იმისთვის, რომ პლატინის შეგადარონ მაინც, ზედიზედ რამდენიმე წელიწადი უნდა ალაპარაკო შენი და სხვისი გულშემატკივარი, ხელები უნდა დაუქანცო ტაშის კვრით და შენ, მხოლოდ შენ უნდა მოგეწეროს რაიმე დიდი გამარჯვება. რა ვქნა, არ მჯერა გაპიარებულ-რეკლამირებული ვარსკვლავებისა, რომლებიც კლუბში კარგად თამაშობენ და ნაკრებში ორთქლდებიან, რომლებსაც არ შეუძლიათ ლიდერობა. რადგან: დიად მობურთალებს ყველაფერი ყველაზე მაგარი უნდა ჰქონდეთ - პასი, მოედნის ხედვა, ინტელექტუალური და ფიზიკური სისწრაფე, გამარჯვების მარადიული წყურვილი, საგოლე ინტუიცია, რაღაცნაირად ანთებული თვალები, დოსიე, ვაჟკაცობა, პატრიოტიზმი. დიდოსტატი არავის არ უნდა ჰგავდეს. ან პირიქით, არავინ არ უნდა ჰგავდეს მას. პიეროსნაირები კი, იცოცხლე, იმდენივეა, რამდენიც ქართულ პოლიტიკაში და ესტრადაზე - უსინდისო...

სულ მესმის, რომ რაული "რეალის" სიმბოლოა და უმისოდ მადრიდელთა ფასი კაპიკია. საგანგებოდ ვაკვირდები მთელი წელია და რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ "რეალში" მისი ადგილი არ არის, ის ზედმეტია და მხოლოდ იმიტომღა ათამაშებენ, რომ ტრადიციაა ასეთი. დელ პიეროსი არ იყოს, თავის დროზე მასაც ადარებდნენ წარსულის გენიოსებს, მაგრამ ეს მართლაც ნიჭიერი ბიჭი ნიჭიერ ბიჭადვე დარჩა და ალბათ ამ სტატუსით გადაინაცვლებს "რეალის" დირექტორატში ან სხვა ჩინოვნიკურ სავარძელში.

მომდევნო ორი ცრუ ფეხბურთელი, რომელზეც აუცილებლად უნდა შევჩერდე, ძალიან ჰგავს ერთმანეთს. თუნდაც იმით, რომ ორივეს უჭირს ფეხით თამაში და ვერც მათ მიერ მოტყუებულ მცველს იპოვით მთელ დუნიაზე. ერთს კრისტიან ვიერი ჰქვია და, როგორც იქნა მიხვდა, რომ მისი საქმე ნაშების დევნა უფროა, ვიდრე ბურთისა. მეორეს - ოლივერ ბირჰოფი, ნებისმიერი პოზიდან გოლის თავით გამტანი კაცი, ფეხით კი, ნურას უკაცრავად. როცა ვინმე კარიერას ამთავრებს, ერთ გაცვეთილ ფრაზას იყენებენ - ბუცები ლურსმანზე დაკიდაო. ეს შაბლონი ოლივერზე არ ვრცელდება, რადგან მგონია, რომ მან ქუდი ჩამოკიდა ბუცების ნაცვლად.

გავაგრძელო? რა პრობლემაა, გადავინაცვლოთ სამხრეთ ამერიკაში. სადაა დენილსონი, დაკრეჭილი ბრაზილიელი, ვინც რამდენიმე წლის წინ პლანეტის უძვირფასესი ფეხბურთელის ტიტულს დაათრევდა "ბეტისის" მდაბიო მენეჯმენტის წყალობით? ან კიდევ თავტვლიპინა ხუან ვერონი რით ვერ მოერგო ვერც ერთ კლუბს? იმიტომ ხომ არა, რომ არაფერი იცის გრძელი პასის გარდა? და ორტეგა, მეტსახელად "ვირი"? ამ ბიჭს მატაობა ისე უყვარდა, იმდენს იტყუებოდა, ფიფაში იფიქრეს, სპორტული აფერისტიაო და ბუენოს აირესის საკრებულოში უშოვეს კაი ადგილი.

საკრებულოზე გამახსენდა, რას დავძრწივარ ამ ლათინოსებსა და არიელებში, აგერ არ მყავს დედა სამშობლო, გაბრწყინების მოლოდინში მარადიულად გარინდული იბერია? რა ფეხბურთელები, რა არჩევანი, რა პროფესიონალები! საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ისინი არიან, გვალოდინებენ, გვალოდინებენ და ბოლოს, როცა გვგონია, რომ ყველაფერი რიგზეა, რომ ახლა დავნაყრდებით გემრიელი გამარჯვებით, უტიფარი სახეებით გვეკითხებიან - ხო მოგატყუეთ?

*მომავალ სამშაბათამდე*

ფეხბურთი

# საჩემპიონო "დერბის" წინ

## ცხადაძე VS ცაკარიასი

მიხეილ აბაიშვილი

დღეს ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 30-ე ტურის შეხვედრები გაიმართება. ჩემპიონატის დასრულებამდე 7 ტურია დარჩენილი, მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ თუ "დინამო" გაიმარჯვებს, ჰანდიკაპი 10 ქულას მიაღწევს და შეგვეძლება, კახა ცხადაძის გუნდს ჩემპიონობა მივულოცოთ. თუ "თბილისი" თავს ზემოთ ახტა და ჩემპიონობის მთავარი ფავორიტი დაამარცხა, სხვაობა 4 ქულამდე შემცირდება, რაც ჩემპიონატის ფინიშს დამატებით ინტრიგას და დაძაბულობას შესძენს.

გთავაზობთ დღევანდელ მატჩში მონაწილე გუნდების მთავარი მწვრთნელების, კახაბერ ცხადაძისა და ლუის ცაკარიასის წინასამატჩო კომენტარს.

კახაბერ ცხადაძე ("დინამოს" მთავარი მწვრთნელი): "ჩვენი მთავარი ამოცანა და მიზანი ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაა. ამ თვალსაზრისით, ხვალ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, შესაძლოა, გადამწყვეტი მატჩი გველის. მართალია, ჩვენი მეტოქე ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ მისი შესაძლებლობების შეუფასებლობა არასწორი იქნება. ამ გუნდს ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი, დაკომპლექტებულია ნიჭიერი ფეხბურთელებით და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საჩემპიონო რბოლაში დღეს მთავარი კონკურენტია. შედეგები, რომლებსაც "თბილისი" აჩვენებს, ამ გუნდის შესაძლებლობებზე მეტყველებს. ერთი სიტყვით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ხვალინდელი მატჩი მთელი ჩემპიონატის მასშტაბით ერთ-ერთი ცენტრალურია.

ტრავმის გამო ნახევარდაცვის წამყვანი ფიგურა გოჩა ჯამარაული გამოგვაკლდება. წინა მატჩში დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაგვეხმარნენ სილაგაძე და ჭიჭველიშვილი. მათ უკვე მოიხადეს სასჯელი და "თბილისთან" ითამაშებენ.

ტაქტიკაზე წინასწარ არ ვისაუბრებ, თუმცა, ვიტყვი, რომ, ტრადიციისამებრ, "დინამო" ხვალაც მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს. "თბილისის "შემადგენლობაში თამაშობს ჩვენი ორი ფეხბურთელი - გეწაძე და იაშვილი, რომლებიც ამ გუნდში იჯარის წესით არიან. დასამალი არ არის, რომ "დინამო" ჩემპიონის ტიტულის მოგებას და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებით გამოსვლას გეგმავს. ამისათვის კი სეზონის დამთავრების შემდეგ შემადგენლობის გაძლიერება დაგვჭირდება. სასიამოვნოა, რომ გეწაძე და იაშვილი "თბილისში" წამყვან ფუნქციებს ასრულებენ და სეზონის ბოლოს მათი სახით სერიოზული ძალა შეგვემატება."

ლუის ცაკარიასი ("თბილისის" მთავარი მწვრთნელი): ამ თამაშს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც სპორტული, ისე ფსიქოლოგიური თავსაზრისითაც. შეიძლება ჩემპიონატში გამარჯვებულიც ხვალ გაირკვეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ "დინამო" გაიმარჯვებს. ყველანაირად ვეცდებით, ამას ხელი შევუშალოთ, გამარჯვება მოვიპოვოთ და ჩემპიონობის შანსი შევინარჩუნოთ. თუ გავიმარჯვებთ, ეს დიდი სტიმული იქნება ჩემი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის. გარდა იმისა, რომ წარმატების შემთხვევაში გამოცდილების დეფიციტს შევივსებთ, საკუთარი ძალების რწმენაც გაგვიძლიერდება, რაც ბოლო ტურებში კარგ სამსახურს გაგვიწევს.

მცირე ტრავმები აქვთ ლოლაძეს, მესხს, ფოფხაძეს და იაშვილს. თუმცა, იმედი მაქვს, ხვალ შეძლებენ თამაშს. ყველა სხვა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა. დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაგვეხმარება ფიფია."



*დღეს შეიძლება საქართველოს ჩემპიონის ბედი გადაწყდეს.*



# ნახევარფინალი

## მილანი - პსვ ეინდჰოვენი

დღეს მილანის "სან სიროს" სტადიონზე "მილანი" ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში ჰოლანდიის ჩემპიონს "პსვ ეინდჰოვენს" უმასპინძლებს. გუუს ჰიდინკის გუნდთან თამაშს ბევრი იტალიელი შეიძლება განიხილავს, როგორც რევანშს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი მარცხისთვის. მაშინ, მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში, გუუს ჰიდინკის მიერ გაწვრთნილმა სამხრეთ კორეამ იტალიის ნაკრები დაამარცხა და სამშობლოში შერცხვენილი გამოისტუმრა.

სულ ცოტა, ორი მილანელისთვის ჰიდინკთან შეხვედრა ცუდ მოგონებებს აღძრავს. 2002 წლის 18 ივნისს სამხრეთ კორეამ ტეჯონის სტადიონზე დაამარცხა "სკუადრა აძურა". ის მატჩი "მილანის" კაპიტნის პაოლო მალდინისთვის საერთოდ უკანასკნელი იყო ლაჟვარდოვანთა შემადგენლობაში. მატჩის მეორე მონაწილე კი ჯენარო გატუზო გახლდათ.

საინტერესოა, რომ, იმ მატჩისა არ იყოს, გუუს ჰიდინკის გუნდის წინააღმდეგ ფავორიტებად ახლაც იტალიელები მიიჩნევიან. ამას თვითონ ჰოლანდიელი სპეციალისტიც აღიარებს. "თუ პსვ-სა და "მილანის" ფინანსურ შესაძლებლობებს გადავხედავთ, ნათელი გახდება, რომ "მილანის" ბიუჯეტი ჩვენი ბიუჯეტის შესაძლებლობებს ათჯერ, უფრო სწორად, ოცჯერ აღემატება. თუმცა, ხანდახან პატარა გუნდებს შესწევთ უნარი, გიგანტები გაამწარონ", - განაცხადა გუუს ჰიდინკმა.

"პსვ ეინდჰოვენი" ფინანსური თვალსაზრისით "მილანს" მართლაც ვერ შეედრება, მაგრამ ჰოლანდიელებს უდავოდ აქვთ ერთი უპირატესობა "როსონიერისთან" შედარებით. იმ დროს, როცა კარლო ანჩელოტის გუნდი ქვეყნის ჩემპიონობისთვის იბრძვის, ჰოლანდიელებმა ეს საკითხი ამ შაბათს წარმატებით მოაგვარეს და ახლა მთელ ძალისხმევას ჩემპიონთა ლიგის ტურნირისკენ წარმართავენ. ჰოლანდიის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში პსვ-მ საკუთარ მინდორზე გაანადგურა "ვიტესი" - 3:0 და მეთვრამეტედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული.

ჰიდინკი იმდენად დარწმუნებული იყო "ვიტესზე" გამარჯვებაში, რომ მან ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშეს დასვენების საშუალება მისცა. ვილფრედ ბოუმა, ლი იონ პე, ალექსი და იოჰან ფოგელი მინდორზე მხოლოდ იმისთვის გამოვიდნენ, რომ თანაგუნდელებთან ერთად გამარჯვება ეზეიმათ. სხვათა შორის, ლი იონ პე და პაკ ჩჟი სუნი (რომელმაც "ვიტესს" გოლი გაუტანა) სწორედ იმ მატჩის მონაწილენი იყვნენ, როცა მსოფლიო ჩემპიონატზე კორეამ იტალია დაამარცხა.

ჰიდინკის გუნდს კიდევ ერთი მცირე უპირატესობა აქვს. "სან სიროზე" მატჩის წინ პსვ-ს დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები არ ჰყავს. "მილანს" კი ყვითელი ბარათების სიჭარბის გამო დაცვის ბურჯი ალესანდრო ნესტა დააკლდება. აღსანიშნავია, რომ ნესტას არც იმ სამახსოვრო მატჩში მიუღია მონაწილეობა, როცა "სკუადრა აძურა" იძულებული გახდა, მსოფლიო ჩემპიონატი დაეტოვებინა. მაშინ ჰიდინკის გუნდთან შეხვედრა ნესტამ ტრავმის გამო გამოტოვა.

ჰოლანდიელთა წინააღმდეგ შეიძლება ვერც ცენტრალურმა მცველმა იაპ სტამმა ითამაშოს, რომლის საკითხიც ტრავმის გამო ჯერ არ გარკვეულა. არადა, ამ მატჩებს სტამისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სტამი დიდი ხნის განმავლობაში სწორედ "პსვ ეინდჰოვენის" ღირსებას იცავდა და გუუს ჰიდინკთან ნაცნობობა მას ჰოლანდიის ნაკრებიდანაც აკავშირებს, როცა ჰიდინკი ბენილუქსელთა უპირველეს გუნდს ედგა სათავეში. ამდენად, ისეთ პირობებში, როცა "მილანში" მცველების ნაკლებობა შეიმჩნევა, კარლო ანჩელოტიმ, შესაძლოა, ალესანდრო კოსტაკურტას მომსახურებითაც ისარგებლოს, რომელსაც კვირას 39 წელი შეუსრულდა. არ არის გამორიცხული კახა კალაძის თამაშიც.

პირველი ნახევარფინალის წინ "მილანის" კიდევ ერთი პრობლემა ის არის, რომ გუნდს შეიძლება ანდრეა პირლო გამოაკლდეს. ეს ნახევარმცველი ბოლო ორი კვირის განმავლობაში მუხლის ტრავმის გამო მინდორზე არ გამოჩენილა. ამჟამად ფეხბურთელის მდგომარეობა თითქოს გამოკეთდა, მაგრამ შეძლებს თუ არა პირლო ჰოლანდიელთა წინააღმდეგ თამაშს, ჯერჯერობით უცნობია. თუ ვერ შეძლებს, მას მინდვრის ცენტრში მასიმო ამბროზინი შეცვლის.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ მატჩის წინ "მილანის" ყველა სირთულეს, ძნელია, ეს გუნდი ამ მატჩის უპირობო ფავორიტად ჩაითვალოს. თუმცა, შემადგენლობის მხრივ, ყველაფერი რიგზე არც პსვ-ს აქვს. უკვე დიდი ხანია, რაც ტრავმის გამო არ თამაშობს ჯონ დე იონგი. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას კლუბის მთავარი ბომბარდირის იან ვენეგორ ოფ ჰესელინკის თამაშიც. ალტერნატივა ამ რთულგვარიანი ფეხბურთელისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო უგვარო ფეხბურთელის, ბრაზილიელი რობერტის სახით, რომელიც ადრე მოსკოვის "სპარტაკის" ღირსებას იცავდა. თუმცა, "ვიტესთან" მატჩში მან სერიოზული ტრავმა მიიღო და "მილანთან" მისი თამაში აბსოლუტურად გამორიცხულია.

თუმცა, ჰიდინკს ეს სირთულეები არ აშინებს. "გუნდი ჯერჯერობით შესანიშნავად უმკლავდება ამ სეზონისთვის დაგეგმილ ამოცანებს. "მილანის" არ გვეშინია. სწორედ მისგან ელოდება ყველა მოგებას და არა ჩვენგან. თუ ფინალში ჩვენ გავალთ, ეს ყველასთვის სიურპრიზი იქნება. ასე რომ, მეტოქისგან განსხვავებით, არავითარ ზეწოლას არ ვგრძნობთ", - პრესკონფერენციაზე განაცხადა გუუს ჰიდინკმა.

ევროპულ სარბიელზე პსვ მხოლოდ ერთხელ შეხვდა "მილანს". ეს 1992-1993 წლებში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხდა. მაშინ "როსონიერიმ" ორჯერ დაამარცხა მეტოქე და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. თუმცა, ახლა კონცერნ "ფილიპსის" გუნდი უფრო სოლიდურად გამოიყურება, ვიდრე 1990-იანი წლების დასაწყისში. საკმარისია ითქვას, რომ ევორპულ სარბიელზე გამართულ ბოლო 17 გასვლით მატჩში პსვ-მ მხოლოდ ერთი მარცხი იწვნია. თუმცა, იტალიელებთან სტუმრად ჰიდინკის გუნდი ცუდად თამაშობს. აპენინებზე ხუთი ვიზიტიდან ჰოლანდიელებმა მხოლოდ ერთი ქულა წამოიღეს. ეს შარშან უეფას თასის გათამაშებაში მოხდა, როცა პსვ "პერუჯას" ხვდებოდა.

მატჩს ბერძენი არბიტრი კიროს ვასარასი მოემსახურება.



*შევჩენკო კვლავ ყურადღების ცენტრში იქნება.*

ინფოთეკა

### ჯონ ტერი - მიმდინარე სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი

ინგლისის პორფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, ლონდონის "ჩელსის" კაპიტანი და მცველი ჯონ ტერი მიმდინარე სეზონის ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ტერი ამ ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოდა "ჩელსიში" თანაგუნდელებთან ფრენკ ლამპარდთან და პეტერ ჩეხთან ერთად. მისი კონკურენტები იყვნენ აგრეთვე გასული წლის გამარჯვებული ტიერი ანრი ("არსენალი"), ლივერპულელი სტივენ ჯერარდი და "კრისტალ პალასის" ფეხბურთელი ენდრიუ ჯონსონი.

"ჩელსის" ისტორიაში ტერი გახდა პირველი ფეხბურთელი, რომელმაც ეს ჯილდო მიიღო, ასევე პირველი მცველი 1993 წლიდან, როცა ეს ტიტული მოიპოვა პოლ მაკგრატმა.

საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დასახელდა "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი უეინ რუნი, რომელმაც გამოკითხვის შედეგებით უკან ჩამოიტოვა თანაგუნდელი კრიშტიანუ რონალდუ, "ჩელსის" ნახევარმცველი არიენ რობენი, "ტოტენჰემის" ფეხბურთელი ჟერმეინ დეფო, "მიდლსბროს" ნახევარმცველი სტიუარტ დოუნგი და მანჩესტერსიტელი შონ რაით-ფილიპსი.

სიმბოლური ნაკრები კი შემდეგი ფეხბურთელებისგან შედეგება: პეტერ ჩეხი, გარი ნევილი, ჯონ ტერი, რიო ფერდინანდი, ეშლი კოული, შონ რაით-ფილიპსი, ფრენკ ლამპარდი, არიენ რობენი, ტიერი ანრი, ენდრიუ ჯონსონი.

### ფერგიუსონს ინგლისის თასის მოგების იმედი აქვს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა Sunday Mirror-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ იმედი აქვს, მისი გუნდი ინგლისის თასის ფინალში გაიმარჯვებს (შეგახსენებთ, მისი მეტოქე ლონდონის "არსენალი" იქნება).

ინგლისის თასი ერთადერთი ტურნირია, რომლის მოგების შანსიც ჯერ კიდევ აქვს "მანჩესტერ იუნაიტედს".

"ჩვენს წარუმატებლობას მრავალგვარ ახსნს უძებნიან. მაგალითად, ამბობენ, რომ მე არასწორ ტაქტიკას ვირჩევ და ჩემი სამწვრთნელო მეთოდები მოძველდა, აღარაფრად ვარგა. კარგი იქნება, თუ ინგლისის თასის მოგებას შევძლებთ. აი, მაშინ ამ სეზონს მთლიანად წარუმატებლად არ ჩავთლი", - განაცხადა მწვრთნელმა.

### ბენიტესი: "აუტსაიდერები ვართ, მაგრამ "ჩელსის" არ გვეშინია!"

"ლივერპულის" მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა, რომლის გუნდი დღეს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში "ჩელსის" ხვდება, კლუბის ოფიციალურ საიტთან ინტერვიუში განაცხადა, რომ არ ეშინია მრისხანე მეტოქის და თავისი გუნდის გამარჯვებაში დარწმუნებულია.

"რა თქმა უნდა, ამ მატჩში ჩვენ აუტსაიდერები ვართ. "ჩელსი" კი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. რასაკვირველია, ფეხბურთელებზე 200 მილიონი დოლარის დახარჯვა იმას ნიშნავს, რომ მათ ტიტულები უნდა მოიპოვონ. მაგრამ ჩვენ მათი არ გვეშინია. ამ ფაქტორმა კი შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს", - განაცხადა მწვრთნელმა. მისივე სიტყვებით, მეოთხედფინალში "იუვენტუსის" დამარცხებამ კარგად იმოქმედა "ლივერპულის" ფეხბურთელების მორალურ მდგომარეობაზე. "ამ თამაშმა აჩვენა, რომ ჩვენ შეგვიძლია მოვიგოთ ის მატჩი, რომელშიც თავიდან ფავორიტები არ ვართ", - დაამატა ბენიტესმა.

### აბრამოვიჩი თავის კლუბს არ ყიდის

ლონდონის "ჩელსის" ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა ბრიუს ბაკმა განაცხადა, რომ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს რომან აბრამოვიჩი კლუბის გაყიდვას აპირებს, სიმართლეს არ შეესაბამება.

"ერთი აბრამოვიჩის ცრემლიანი თვალები დაგენახათ გასულ სეზონზე ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში "მონაკოსთან" წაგების შემდეგ... მაშინ მიხვდებოდით, რომ რომანი "ჩელსის" ყველაზე ერთგული გულშემატკივარია. დარწმუნებული ვარ, ის დიდი ხნით მოვიდა და კლუბის გაყიდვას არ გეგმავს. ასე რომ არ იყოს, საწვრთნელი მოედნის მოსაწყობად 25 მილიონ გირვანქა სტერლინგს არ დახარჯავდა". - განაცხადა ბაკმა.

ფეხბურთი

# რონალდო: "მადრიდთან" დიდი სიყვარული მაკავშირებს"



რონალდომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სურს საფეხბურთო კარიერა მადრიდში დაასრულოს და აღიარა, რომ კლუბთან მისი ურთიერთობა ძველებურად შესანიშნავია.

**- "ბარსელონა" პრიმერას ჩემპიონობას დაკარგავს?**

- ვნახოთ, წინ ჯერ კიდევ არის თამაშები. გვინდა, რომ ქვეყნის ჩემპიონატი მოვიგოთ. ვიცით, რომ წლევანდელი სეზონი ჩვენთვის საუკეთესო არ ყოფილა, მაგრამ კიდევ გვაქვს ლა ლიგის მოგების შანსი და ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ. "ბარსაზე" არ უნდა ვიფიქროთ. უბრალოდ, უნდა მოვიგოთ ყველა დარჩენილი შეხვედრა და მათ შეცდომას დაველოდოთ.

**- ჰო! ეს წელი მართლაც მძიმე გამოდგა...**

- დიახ. ამ სეზონში სამი მწვრთნელი გვყავდა. მაგრამ ჩემპიონი ჯერ კიდევ არ გარკვეულა. "ბარსასაც" რთულად ექნება საქმე. მათაც ხომ დიდი ხანია არაფერი მოუგიათ. თუმცა, მათ შემადგენლობაში მსოფლიო კლასის ფეხბურთელები არიან. ბოლო დროს ჩვენც უკეთესად ავთამაშდით.

**- ადამიანებს არ ესმით, რატომ თამაშობთ კარგად მხოლოდ სეზონის გადამწყვეტ მომენტებში?**

- ფეხბურთი თავისთავად არ არის უბრალო. ყველაფერი ისე არ ეწყობა, როგორც გსურს. გულშემატკივრებს უნდა ესმოდეთ, რომ ჩვენ ყოველთვის გვინდა, კარგად ვითამაშოთ და მოვიგოთ.

**- ახლა თითქოს დასრულდა შენი უგოლობის ხანა, თორემ თანდათან სევდა მოგვეძალა...**

- მე საერთოდ არ შევცვლილვარ და ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავდი. უბრალოდ, გოლები არ მყოფნიდა. უკვე რამდენიმე თვეა, რაც თავს შესანიშნავად ვგრძნობ და წონაშიც დავიკელი. მართალია, რვა ტურის განმავლობაში გოლი არ გამიტანია, მაგრამ ბევრი საგოლე მომენტი მქონდა, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ვერ ვიყენებდი. უბრალოდ, არ მიმართლებდა. ამის მიუხედავად, სიმშვიდეს ვინარჩუნებდი და ვიცოდი, რომ გოლების გატანას ისევ დავიწყებდი.

**- პენალტებს რატომ არ ურტყამ?**

- ეს ჩემთვის უაღრესად მტკივნეული თემაა, რადგან მათი შესრულება ძალიან მინდა. თუმცა, საშუალებას არ მაძლევენ. წელს მხოლოდ ერთხელ დავარტყი პენალტი და ისიც კამენიმ მოიგერია.

**- შენ გაღიზიანებს საუბარი, რომ მსუქანი ხარ?**

- მე მსუქანი არ ვარ და ამ ყველაფერზე ვიცინი. როცა გოლები ვერ გამაქვს, ჟურნალისტები ამბობენ, რომ მსუქანი ვარ, ხოლო როცა გავიტან, მაშინ ამტკიცებენ, რომ წონაში დავიკელი...

**- ისევ გაქვს იმედი, რომ "პიჩიჩის" ჯილდოს დაიმსახურებ?**

- ამ საკითხზე ფლორენტინოსთან ნაძლევი დავდე. მას ვუთხარი, რომ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გავხდებოდი.

**- როცა ტრიბუნებიდან გისტვენენ, ეს შენზე მოქმედებს?**

- "ბერნაბეუს" ვერ მივცემ იმის საშუალებას, რომ ჩემს თამაშზე გავლენა იქონიოს. ყოველთვის შევეცდები, საუკეთესო თამაში ვაჩვენო.

**- გახსოვს თუ არა შენი პირველი მსოფლიო ჩემპიონატი?**

- ჰო! 1994 წლის მუნდიალი წარმოუდგენელი იყო. მე ძალიან ბევრი ვისწავლე ბებეტოსგან, რომარიოსგან, დუნგასგან... მათი თამაში ნამდვილი სპექტაკლი იყო და ამან ჩემს მომავალზე დიდი გავლენა მოახდინა. მსოფლიო ჩემპიონატი ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენაა. მინდა, რაც შეიძლება უკეთ აღვიქვა ყოველი მოვლენა. 1998 წელს წავაგეთ, რადგან საფრანგეთი შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობდა. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სანახაობრივი კი იყო, მაგრამ რაღაც უცნაური. სამხრეთ ამერიკაში ან ევროპაში უნდა გვეთამაშა.

**- რა გიტრიალებს თავში, როცა მეკარეს უახლოვდები?**

- არ ვიცი, თავში რა მიტრიალებს. უბრალოდ, გოლი გამაქვს და ამ წარმატებას ვზეიმობ... კარის სიახლოვეს მთავარია მშვიდად იყო, რადგან მეკარეები ცდილობენ მიხვდნენ, რის გაკეთებას აპირებ. ჩემს კვარტალში ცხოვრობდა ერთი ბიჭი, ლუსიანო, რომელიც ჩემზე უკეთესად თამაშობდა და გუნდშიც პირველად ის აიყვანეს. ადრე მინიფეხბურთს თამაშობდა და ერთხელ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. მან თავის ანგარიშზე 115 გოლი ჩაიწერა. ერთ-ერთ თამაშში ჩვენ - 12:1 მოვიგეთ და ყველა გოლი მან გაიტანა.

**- როგორია შენი აზრი ფიგუსთან დაკავშირებით?**

- ის, რომ ფიგუ ღიზიანდება - ეს ნორმალურია. მეც იგივე დამემართა, როცა "ინტერში" კუპერის ხელმძღვანელობით ვთამაშობდი. ჩემი გამოცდილება მასწავლის, რომ ლაპარაკით ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვერ დაიბრუნებ. საჭიროა შენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინო და შანსი გამოიყენო. ეს რთული სიტუაციაა. ის საუკეთესო იყო მსოფლიოში და ახლა მისთვის ეს დელიკატური საკითხია. მაგრამ გუნდი ყველაფერზე მაღლა უნდა დადგეს და ყველა ფეხბურთელი მწვრთნელის განკარგულებაში იყოს.

**- როგორ ფიქრობ, ის წავა?**

- არ ვიცი. ვიმედოვნებ, რომ მისი საქმე რაც შეიძლება სწრაფად მოგვარდება, რადგან ეს ყველას დიდი ზიანს გვაყენებს. იმისთვის, რომ ჩემპიონატი მოვიგოთ, შეკავშირებული უნდა ვიყოთ.

**- შენც ღიზიანდებოდი ლუშემბურგოზე, როცა ის გცვლიდა?**

- მან პირველ შვიდ მატჩში შემცვალა. იმ თამაშშიც კი, რომელიც შვიდ წუთს გაგრძელდა. ფეხბურთელს მუდმივად თამაში უნდა და მას აქვს გაღიზიანების უფლება, მაგრამ მაშინ კლუბმა ვერ გამიგო და დამაჯარიმა. თუმცა, მადრიდთან და ფლორენტინოსთან მუდმივი სიყვარული მაკავშირებს. აქაურობა ძალიან მომწონს და პრეზიდენტიც ძალიან მენდობა.

**- შენ კოლექციაში მხოლოდ ჩემპიონთა თასი გაკლია...**

- მისი მოგება სულაც არ არის იოლი საქმე და მადრიდის "რეალი" ამ ჯილდოს ყოველთვის ვერ მოიგებს. იყო პერიოდი, როცა კლუბი ჩემპიონთა თასს 30 წლის განმავლობაში ვერ იგებდა.

**- საფეხბურთო კარიერას მადრიდში დაამთავრებ?**

- დიახ. მე 2008 წლამდე გამიგრძელეს კონტრაქტი და კლუბის პრეზიდენტიც მენდობა. მადრიდის "რეალი" საუკეთესო და ყველაზე დიადი კლუბია და, თუ არ გამაგდეს, მინდა, საფეხბურთო კარიერა სწორედ ამ კლუბში დავასრულო.

**- მომავალ სეზონში რობინიოს გვერდით ითამაშებ?**

- მე არ ვიცი, მოვა ის თუ არა. მითხრეს, რომ კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა.

**- ამ გუნდის ციკლი დასრულდა?**

- ფეხბურთი - ეს მომენტია. ცუდად ითამაშებ და უიღბლო ხარ, კარგად გაირჯები და - საუკეთესო. სხვა გუნდებში ეს მაინცდამაინც არ შეიმჩნევა, მაგრამ მადრიდში ყოველთვის საუკეთესო უნდა იყო. ასეთია მსოფლიოს საუკეთესო კლუბის ზეწოლა. ზაფხულში პრეზიდენტი კლუბის შემადგენლობას გადაახალისებს, რადგან აქ მხოლოდ საუკეთესოები უნდა თამაშობდნენ.

**- სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი ვინ არის?**

- თუ ესპანეთის პირველობაზე ვისაუბრებთ, ეტო`ო. რონალდინიოც წარმოუდგენელი ფეხბურთელია, მაგრამ ამ სეზონში მან პოზიციები ცოტათი დათმო.

ფორმულა 1

# რალფის ფორმულას ერთიანი ჩამოაქრეს

გიგა გურასაშვილი

*იაპონური სუპერკონცერნის მრბოლის რალფ შუმახერის წყალობით ვნებათაღელვა "სან მარინოს დიდი პრიზის" გათამაშების შემდეგაც გაგრძელდა. უმცროს შუმახერს, რომელმაც "იმოლას" ტრასაზე ჩასათვლელი საფეხურის ბოლო ადგილზე დაასრულა რბოლა და "ტოიოტას" ერთი ქულით შეეწია, დიდხანს არ მოუხდა ქულით ტკბობა.*



კულჰარდის და მასას დუელი ამ უკანასკნელის ბოლიდის დაზიანებით დასრულდა.

სამეფო რბოლების მეოთხე ეტაპის ორგანიზატორებმა რალფი 25 წამით დააჯარიმეს. სტიუარდთა აზრით, უმცროსი შუმახერი ავზის შესავსებად მეორედ შესვლისას უილიამსელი ნიკ ჰაიდფელდის (რომელიც ასევე პიტსტოპით სარგებლობდა) მიმართ ზედმეტად აგრესიულად მოქმედებდა.

პიტ-სტოპზე პირველი ჰაიდფელდი გავიდა. შოტლანდიელს ფეხდაფეხ მიჰყვა გერმანელიც, მაგრამ მას შემდეგ, რაც ტოიოტელებმა დროში აჯობეს "BMW-უილიამსს", შუმახერმა გადაწყვიტა, ჰაიდფელდზე უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა ხელიდან არ გაეშვა: გააცნობიერა, რომ ბოლო შანსი ჰქონდა, სანატრელ ქულას დაპატრონებოდა და შოტლანდიელის წინააღმდეგ საშიშ მანევრს მიმართა - გზა გადაუღობა. ცხადია, ეს არ გამოჰპარვიათ რბოლის ორგანიზატორებს და რალფი 25 წამით დააჯარიმეს - გერმანელი მეთერთმეტე საფეხურამდე ჩამოქვეითდა. ასე რომ, გერმანელის ადგილი აქამდე მეცხრე ადგილზე მყოფ ჰაიდფელდს გადაელოცა. შოტლანდიელის დაწინაურების შესაბამისად, თითო ნაბიჯით აიწიეს კიდევ ერთმა უილიამსელმა, ავსტრალიელმა მარკ უებერმა და "რედ ბულის" იტალიელმა მრბოლმა ვიტანტონიო ლუციმ.

ყველაფერ ამას იაპონური საჯინიბოს მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ტოიოტელებს განზრახული აქვთ, "სან მარინოს დიდი პრიზის" ორგანიზატორთა გადაწყვეტილება გააპროტესტონ.

"ამგვარ დარღვევათა დიდი ნაწილი ხშირ შემთხვევაში უპასუხოდ რჩებოდა. ამიტომ გვინდა, სტიუარდების მიერ ჩვენს მიმართ მიღებული გადაწყვეტილება გავაპროტესტოთ, რათა მომავალში ეს საკითხი განსჯის საგანი გახდეს", - ამბობს "ტოიოტას" შეფი ცუტომუ ტომიტა.

სხვათა შორის, რბოლის შემდეგ კულჰარდის მისამართითაც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. ამ შემთხვევაში შოტლანდიელზე გაბრაზებული გახლდათ "ზაუბერის" ბრაზილიელი მრბოლი ფელიპე მასა, რომელიც მეტოქეს უხეშობაში ადანაშაულებს. ზაუბერელს ჰაიდფელდთან დუელი მანქანის წინა ფრთის დაზიანებად დაუჯდა: "მის ახლოს ვმოძრაობდი, მან კი ტრასიდან გამიტანა. ვცდილობდი, გვერდი ამევლო, გავუსწორდი კიდეც და, ის იყო, უნდა გამესწრო, რომ ჩემი შეტევის გაუვნებელსაყოფად ბოლიდი დამიზიანა", - ორთაბრძოლის პერიპეტიებს იხსენებს მასა.

და კიდევ, როდესაც რალფ შუმახერის საკითხს განიხილავდნენ, დღის წესრიგში იდგა ბარელი ჯენსონ ბატონის საკითხიც, რომელსაც ასევე ემუქრებოდა სასჯელი, თანაც, უფრო მკაცრი. რბოლის შემდეგ, ბოლიდთა საკონტროლო აწონვისას, ბატონის ბოლიდი "BAR-ჰონდა 007" დასაშვებ 600 კილოგრამზე მსუბუქი აღმოჩნდა, რაც ბრიტანელ მრბოლს მესამე ადგილის დაკარგვას უქადდა, მაგრამ...

მოგვიანებით რბოლის ხელმძღვანელებმა გაავრცელეს ოფიციალური პრესრელიზი, რომლის მიხედვითაც ბატონის ბოლიდთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგში იყო. ირკვევა, რომ თავდაპირველი აწონვისას ბრიტანელის მანქანა დარჩენილ საწვავთან ერთად აუწონიათ, მერე კი - უსაწვავოდ. გაუგებრობაც სწორედ აქედან წარმოიშვა. იმ შემთხვევაში ბატონი დისკვალიფიცირებული იქნებოდა, მის ადგილს კი დაიკავებდა "მაკლარენ-მერსედესის" საჯინიბოს ავსტრიელი მრბოლი ალექს ვურცი, რომელმაც, თავის მხრივ, ტრავმირებული კოლუმბიელის ხუან პაბლო მონტოიას ადგილი დაიკავა ბრიტანულ-გერმანული პირმშოს კოკპიტში. ვურცმა ხუთწლიან კარიერაში პირველად შეძლო, რბოლა მეოთხე ადგილზე დაემთავრებინა.

ერთი სიტყვით, რბოლის ორგანიზატორები საჩოთირო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ, რალფისგან განსხვავებით, ჯენსონ ბატონი გადარჩა მესამე ადგილის დაკარგვას.

...წინ ბარსელონა და "ესპანეთის დიდი პრიზია", სადაც, რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში "რენოს" ესპანელი მრბოლი, სამი ეტაპის გამარჯვებული და პირად ჩათვლაში 36 ქულით დაწინაურებული ფერნანდო ალონსო იქნება.

ინფოთეკა

### "ბაიერნი" წინასწარ მილოცვას არ იღებს

გერმანულ კლუბს "ბაიერნს" უკვე შეიძლება მიმდინარე სეზონზე გერმანიის ჩემპიონიც უწოდო, რადგან 30-ე ტურის შემდეგბის მიხედვით იგი მთელი ცხრა ქულით უსწრებს "შალკეს". თუმცა, თავად კლუბის წევრები არ აპირებენ, წინასწარ იზეიმონ ჩემპიონობა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სამი ტურის წინ "ბაიერნსა" და "შალკეს" თანაბარი ქულები ჰქონდათ.

"ზეიმის მოწყობა ჯერ ადრეა," - განაცხადა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ფელიქს მაგატმა.

"კონკრეტულს ჯერ ვერაფერს მივაღწიეთ, მიუხედავად იმისა, რომ ქულების სოლიდური რაოდენობით ვლიდერობთ. ახლა ჩვენ მხოლოდ მომავალი თამაშის მოგებაზე ვფიქრობთ, რამაც შემდეგ ჩემპიონის ტიტული უნდა მოგვიტანოს. ამისთვის კვლავაც ოთხი ქულა გვჭირდება. ბოლომდე ვიბრძოლებთ. არ მოვისვენებთ, სანამ ჩემპიონის ტიტულს არ მოვიპოვებთ", - განაცხადა "ბაიერნის" ნახევარმცველმა ბალაკმა.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

**სამშაბათი. 26 აპრილი**

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
13:00 უკრაინის ჩემპიონატი. "მეტალურგი" (დონეცკი) - "დინამო"
14:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
17:00 უკრაინის ჩემპიონატი. "არსენალი" - "შახტარი"
18:40 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
19:10 თავისუფალი დარტყმა
19:25 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:25 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:20 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:20 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "მილანი" - პსვ. პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 19:15, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. 77კგ. 85კგ. 94კგ. ფინალები
13:35 "რკინის ფაქტორი". "ოლიმპია 2004". მესამე ნაწილი
14:05 "სარკის წინ"
14:35 "გუნდი" - "ნეფტეხიმიკი"
15:05 ფიგურული სრიალი. კატარინა ვიტის შოუ
16:15 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. პირველი წრე. იტალია - რუსეთი. გადამწყვეტი მატჩი
17:45 კალათბურთი. ფიბა ევროლიგა. ქალები. "ოთხთა ფინალი". ნახევარფინალი
19:30 სპორტული გლობუსი. "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 "ბილიარდის მეუფენი"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი ევროპულ ცეკვებში და რუსეთის დიდი პრიზი ევროპული პროგრამით
23:05 კარატე-კეკუსინკაი. რუსეთის სასაზღვრო სამსახურის ჩემპიონატი
00:15 ახალი ამბები
00:30 "ბილიარდის მეუფენი"

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
12:00 ფეხბურთი - ევროგოლები
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ფეხბურთი - ევროგოლები
17:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:30 ახალი ამბები
02:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
03:15 ახალი ამბები

# ვარჯიში ჯანმრთელობისთვის

## მედიცინა მარტივი და გასაგები

გიორგი მიქელაძე

დღევანდელ წერილში მინდა ვილაპარაკო მკურნალობის მეთოდზე, რომელიც უფასოა, ნებისმიერი ადამიანისთვის ხელმისაწვდომია, არ არის საშოვნელი, დაგიზოგავთ დროსა და ფულს, თქვენგან მხოლოდ ორ რამეს მოითხოვს - სურვილს და დროის გამოყოფას. სანაცვლოდ კი ეს მეთოდი უამრავ სიკეთეს მოუტანს თქვენს ჯანმრთელობას, რადგანაც იგი:

■ აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას: ამცირებს გულის კორონარული დაავადების, ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზის განვითარების რისკს, ხოლო მათი არსებობის შემთხვევაში ამცირებს მათ მიერ მიყენებულ ზიანს და, ამასთანავე, მათი მკურნალობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაცაა; ამცირებს ქოლესტერინის რაოდენობას სისხლში.

■ ამცირებს II ტიპის დიაბეტის განვითარების საშიშროებას, ხოლო ამ ტიპის დიაბეტის არსებობის შემთხვევაში ბევრად უფრო აადვილებს სისხლში შაქრის რაოდენობის რეგულირებას და, შესაბამისად, თავიდან გვაცილებს ამ დაავადებით გამოწვეულ მძიმე გართულებებს **(დიაბეტი ორი ტიპისაა - პირველი ტიპისა ბავშვობაში ან ახალგაზრდობაში იწყება და ინსულინის დეფიციტით არის გამოწვეული, ხოლო მეორე ტიპისა, რომელიც ბევრად უფრო ხშირია, შუა ხნისა და მეტი ასაკის ადამიანებს ემართებათ და ინსულინისადმი მომატებული რეზისტენტობით ანუ შემცირებული მგრძნობელობით ხასიათდება).**

■ ამცირებს მსხვილი ნაწლავის სიმსივნის განვითარების ალბათობას.

■ შეგინარჩუნებთ კუნთის ნორმალურ ძალას, სახსრის სტრუქტურასა და ფუნქციას; ართრიტების საუკეთესო მკურნალობის მეთოდია.

■ ოსტეოპოროზის პროფილაქტიკისა და მკურნალობის აუცილებელი პირობაა.

■ ებრძვის სიმსუქნეს და, შესაბამისად, მისგან გამომდინარე უარყოფით შედეგებს.

■ ხანდაზმულ ადამიანებში ამცირებს დაცემის რისკს (და, შესაბამისად, ამცირებს მოტეხილობების საშიშროებას).

■ ამცირებს უძილობას და აუმჯობესებს ძილს.

■ ამცირებს დეპრესიის სიმპტომებს, აუმჯობესებს გუნებ-განწყობას.

■ აუმჯობესებს ჯანმრთელობის მდგომარეობას ზოგადად და მით სიცოცხლის ხარისხსაც, კარგად ყოფნის შეგრძნებას უქმნის ადამიანს.

ეს უებარი სამკურნალო საშუალება არის ვარჯიში, ფიზიკური აქტივობა.

დღეს ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ვარჯიში ჯანრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა, ხოლო ჯანმრთელობის დიდხანს შენარჩუნებისთვის, სრულყოფილი "სიცოცხლის ხარისხის" ყველა ასაკში შენარჩუნებისთვის - აუცილებელიც.

განსხვავებით მედიცინასა და ბიოლოგიაში ადრე არსებული ბევრი წარმოდგენისა, რომელიც კარდინალურად შეიცვალა საუკუნეების განმავლობაში და განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულებში, ექიმების დღევანდელი შეხედულება ფიზიკური ვარჯიშის, როგორც ჯანმრთელობის შენარჩუნების აუცილებელი წინაპირობის შესახებ, ძველი წელთაღრიცხვიდან მომდინარეობს და ამ მხრივ საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ ის შეიცვალა, რომ თანდათან ვარჯიშის სარგებლიანობის დამამტკიცებელი უამრავი და ექსპერიმენტულად დასაბუთებელი მასალა დაგროვდა.

ასურეთი, ბაბილონი, ძველი საბერძნეთი და რომი, სპარსეთი, ჩინეთი... - ყველა ძველმა დიდმა ცივილიზაციამ შემოგვინახა იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ უკვე იმ დროს საკმაოდ კარგი ცოდნა ჰქონიათ ვარჯიშისა და მისი სარგებლობის შესახებ. ძველ კულტურებში აღმოცენებული და გავრცელებული ვარჯიშის სახეობები დღევანდელ სპორტშიაც საყოველთაოდ გავრცელებულია და ძირითადად ჯანმრთელობისთვის სასარგებლოდ არის მიჩნეული ("ძირითადად"-ს იმიტომ ვამბობთ, რომ დღევანდელი პროფესიული სპორტის ზედატვირთვები ადამიანის ორგანიზმის ზღვრულ შესაძლებლობებს უახლოვდება და ხშირად სცდება კიდეც, რაც უკვე სასარგებლო აღარ არის. ჩვენი წერილი პროფესიულ სპორტს არ ეხება და მხოლოდ გამაჯანსაღებელ ვარჯიშს თუ სპორტის სახეობას გულისხმობს, რაც ყველასთვის მისაწვდომია და შესაძლებელი).

ევოლუციურად ადამიანის ორგანიზმი მხოლოდ წოლისა და ჯდომისთვის კი არ შექმნილა, არამედ მოძრაობისთვის. ამასთანავე, მოძრაობა არის ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობის წინაპირობა - რაც მეტს იმოძრავებს ადამიანი, მით უკეთესია ეს მისი ჯანმრთელობისათვის. თუ ეს პირობა სრულდებოდა ევოლუციის ადრეულ პერიოდში, როდესაც ადამიანს თავის გადასარჩენად და გამოსაკვებად დიდი ფიზიკური დატვირთვების გაძლება სჭირდებოდა, დღეს მდგომარეობა მკვეთრად განსხვავებულია.

თავისი საქმიანობით - ასე ვთქვათ, პროფესიულად - ფიზიკური შრომით დაკავებული ადამიანების გარდა, დღეს არავის არა აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმარისი ფიზიკური დატვირთვა.

ასევე ევოლუციურად არის ჩადებული ადამიანში ენერგიის დაზოგვისაკენ ლტოლვა, რითაც ორგანიზმი ცდილობს, ენერგიის რესურსები სხვა არაფერზე დახარჯოს, გარდა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ქმედებებისა. ეს ლტოლვა უბიძგებდა ადამიანს საუკუნეების მანძილზე თავისი შრომის შესამსუბუქებელი საშუალებების შექმნისკენ, რამაც დღევანდელ კომფორტულ და "უძრავ" ან "ნაკლებმოძრავ" ყოფამდე მოგვიყვანა.

ასე შეცვალა ადამიანმა თავისი ყოფა და გარემო, თუმცა ადამიანის ორგანიზმის ბიოლოგია თითქმის არ შეცვლილა. თანამედროვე ადამიანის ორგანიზმი დიდად არ განსხვავდება მისი უძველესი წინაპრის ორგანიზმისაგან და მისი ჯანმრთელობის აუცილებელ წინაპირობად დღესაც მოძრაობა და ფიზიკური აქტივობა რჩება.

სიმსუქნის შესახებ წერილში აღნიშნული იყო, რომ სიმსუქნე ჩვენი ბიოლოგიისა და ახლანდელი გარემოს, ახალი ცხოვრების წესის შეუსაბამობის შედეგია.

ფიზიკური აქტივობის თვალსაზრისითაც ჩვენში ევოლუციურად შექმნილი მექანიზმები ჩვენს დღევანდელ ყოფას აღარ შეესაბამება: ენერგიის დაზოგვა ჩვენს უმოძრაო ყოფაში კიდევ უფრო ნაკლები მოძრაობისკენ გვიბიძგებს, ხოლო უმოძრაობა ჩვენი ჯანმრთელობისთვის მეტად საზიანოა.

ეს მდგომარეობა უნდა გავაცნობიეროთ და შევეცადოთ, სწორად მოვიქცეთ: ვჭამოთ უფრო ნაკლები, ვიდრე გვინდა, ხოლო ვიმოძრაოთ უფრო მეტი, ვიდრე გვინდა.

ამრიგად, თუ ჩვენი არსებობის წყარო ფიზიკური შრომა არ არის, შექმნილი ვაკუუმი ვარჯიშით უნდა შევავსოთ.

არ მოგატყუებთ, ეს პროცესი თავიდან არ არის მაინცდამაინც მიმზიდველი და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება სასიამოვნო გახდეს და ისიც - არა ყველასათვის. ასე რომ, ნებისყოფის მოხმობა ამ შემთხვევაშიც აუცილებელი ფაქტორია.

თუმცა, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ყველა ერთსულოვნად აღიარებს, რომ ვარჯიშის დამთავრების შემდეგ, ფიზიკური სიმსუბუქის გრძნობის გარდა, გეუფლება მეტად სასიამოვნო განცდა - ვალის მოხდისა, საკუთარ თავზე გამარჯვებისა და მით საკუთარი თავით კმაყოფილებისა.

მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, აგრეთვე, რომ ვარჯიშის შედეგად სისხლში მატულობს ენდორფინების რაოდენობა, რაც ამცირებს ტკივილის გრძნობას, სტრესს, აუმჯობესებს გუნებ-განწყობას და გარკვეულად ეიფორიის სასიამოვნო გრძნობას იწვევს.

ახლა ცოტა რამ ვარჯიშის ფიზიოლოგიის შესახებ.

ადამიანის ორგანიზმს ფიზიკური მუშაობა ენერგიის წარმოების ორი რადიკალურად განსხვავებული პროცესით შეუძლია შეასრულოს:

1. ანაერობულით (ანუ ჟანგბადის წვის გარეშე წარმოქმნილი ენერგიით) - ეს ძირითადად კუნთის დიდი ინტენსივობის მეტად ხანმოკლე მუშაობის (როგორიცაა, მაგალითად, სიმაღლეზე ხტომა, სპრინტი...) შესასრულებლად საჭირო ენერგიაა. ამ მუშაობის შესრულება ჟანგბადის გარეშე ხდება კუნთში არსებული ენერგეტიკული რესურსებით.

2. აერობულით (ანუ ჟანგბადის წვის შედეგად წარმოებული ენერგიით), რომელიც საჭიროა კუნთის ნებისმიერი ხანგრძლივი მუშაობის შესასრულებლად. მისი შესრულებისთვის ჟანგბადის უწყვეტი მომარაგებაა საჭირო. ჰაერიდან შესუნთქული ჟანგბადი ფილტვების საშუალებით სისხლში გადადის და გულისა და სისხლძარღვების მეშვეობით კუნთებს აღწევს. ასე რომ, კუნთებამდე მიღწეული ჟანგბადის რაოდენობა დამოკიდებულია ფილტვების მდგომარეობაზე, გულის კუნთის ფუნქციასა და სისხლძარღვთა გამტარებლობაზე. ფიზიკური დატვირთვის გაზრდის შედეგად იზრდება ორგანიზმის მიერ ათვისებული ჟანგბადის რაოდენობა. ყველა ადამიანს აქვს გარკვეული ზღვარი, რომლის ზემოთაც მას მეტი ჟანგბადის მოხმარება აღარ შეუძლია და, შესაბამისად, აღარ შეუძლია უფრო მეტი ინტენსივობის მუშაობის შესრულება. რაც უფრო მაღალია ეს ზღვარი, მით უფრო ნავარჯიშები და ჯანმრთელია ადამიანი და მით უფრო მეტ დატვირთვას გაუძლებს. სწორედ ამ ზღვრისა და ამ უნარის გაზრდაა ვარჯიშის მიზანი. მაქსიმალური ზღვრული სიდიდე თავს იჩენს და გამოვლინდება მხოლოდ ძალიან მაღალი, ზღვრული დატვირთვების დროს, მაგრამ მოსვენების მდგომარეობაშიც უფრო მაღალი ზღვრის მქონე ორგანიზმში გული უფრო ეფექტურად და რაციონალურად მუშაობს, ვიდრე დაბალი ზღვრის მქონე ორგანიზმში (შედარებისთვის წარმოიდგინეთ მძლავრი და ნაკლებად მძლავრი მანქანა). რიცხობრივად ზღვრის სიდიდის დადგენა შრომატევადი და ძვირი პროცედურაა. თუმცა, საბედნიეროდ, ჩვენი გულისცემა საკმაოდ კარგ კორელაციაშია ამ რიცხვთან და, შესაბამისად, ფიზიკური გავარჯიშებულობის შესაფასებლად გულისცემის მონაცემებს შეიძლება დავეყრდნოთ. გულისცემის სიხშირე ყველას შეუძლია ადვილად განსაზღვროს - ამისათვის უნდა დაითვალოს მაჯისცემის (პულსის) რაოდენობა ერთ წუთში.

გულის კუნთიც ისეთივე კუნთია, როგორიც ნებისმიერი სხვა კუნთი ჩვენს ორგანიზმში და ისიც ვარჯიშით ძლიერდება. ნავარჯიშებ გულს მოსვენებულ მდგომარეობაში ერთ წუთში უფრო ნაკლები შეკუმშვები სჭირდება (ამ შეკუმშვათა მეტი სიმძლავრის გამო) ორგანიზმისთვის იმავე რაოდენობის სისხლის მისაწოდებლად, რაც არანავარჯიშებ თუ ნაკლებ ნავარჯიშებ გულს (ამ სიდიდეს წუთიერი მოცულობა ეწოდება და იგი გულისცემისა და გულის მიერ ერთი შეკუმშვის შედეგად გამოსროლილი სისხლის მოცულობის ნამრავლია). წარმოიდგინეთ, რომ გული ერთ წუთში იკუმშება არა 100-ჯერ, არამედ 70-ჯერ, ე.ი. 30ით ნაკლებ შეკუმშვას აკეთებს. ახლა ეს 30 გაამრავლეთ 60-ზე (ერთ საათში "დაზოგილი" შეკუმშვების რაოდენობა), შემდეგ 24-ზე (ერთ დღეში "დაზოგილი" შეკუმშვების რაოდენობა), ამის შემდეგ 365-ზე (ერთ წელიწადში "დაზოგილი" შეკუმშვების რაოდენობა): 30X60X24X365=15 768 000 (და ეს მხოლოდ ერთ წელიწადში). დაბოლოს, მიღებული რიცხვი შეგიძლიათ გაამრავლოთ "სავარაუდო" დარჩენილ სიცოცხლის წლებზე (ანუ იმ წლების რაოდენობაზე, რამდენიც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მონაცემების მიხედვით დარჩენია გარკვეული ასაკის ადამიანს, თუკი, რასაკვირველია სიცოცხლის სასრულობის ასეთი გახსენება თქვენში უარყოფით ემოციებს არ გამოიწვევს).

გულის კუნთის გასამაგრებლად ვარჯიშის დროს გულის მუშაობა უნდა გაზარდოთ.

ვარჯიშის დროს უნდა შეეცადოთ, რომ გულისცემა თქვენი ასაკისთვის მაქსიმალური გულისცემის 50-75 პროცენტის ფარგლებში გქონდეთ. გახსოვდეთ, რომ ამ მაჯისცემის მიღწევა და შენარჩუნება ავითარებს და ამაგრებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას. ნელი ტემპით და, შესაბამისად, გულისცემის აჩქარების გარეშე დიდხანს სიარული გულის ჯანმრთელობას ნაკლებად აუმჯობესებს (თუმცა წონის დაკლებაში დაგეხმარებათ და შესაბამის კუნთებსაც გაავარჯიშებს).

მაქსიმალური გულისცემა თქვენი ასაკისათვის ითვლება მარტივი ფორმულით: 220-ს გამოკლებული თქვენი ასაკი. ასე, მაგალითად, 40 წლის ადამიანისთვის გულისცემის მაქსიმალური სიხშირე იქნება 22040=180. უნდა გახსოვდეთ, რომ ვარჯიშისას თქვენი მიზანი მაქსიმალური გულისცემის მიღწევა კი არ უნდა იყოს, არამედ მისი 5075 პროცენტისა, ე.ი. 40 წლის ადამიანის შემთხვევაში - 90135 გულისცემა წუთში.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში იხილეთ ვარჯიშის დროს თქვენი ასაკისათვის შესაფერისი "სამიზნე" გულისცემის სიხშირე წუთში. (ცხრილი 1)

დაიწყეთ სიარული ან სირბილი იმ სიჩქარით, რომელსაც შეგიძლიათ გაუძლოთ 5დან 10 წუთამდე დიდი დაღლის გარეშე. თანდათანობით გაზარდეთ ჯერ დრო - მაგალითად, 5 წუთით ყოველ ვარჯიშზე, შემდეგ კი სიჩქარე. თქვენი მიზანი უნდა იყოს კვირაში სულ ცოტა 4 დღე ვარჯიში, 3060 წუთის განმავლობაში. ერთსა და იმავე შედეგს შეიძლება მიაღწიოთ სიარულით, სირბილით, ცურვით ან სიარულის, სირბილისა და ცურვის კომბინაციით ან სპორტული თამაშებით. ძალიან კარგი ვარჯიშია აღმართზე ან კიბეებზე ასვლა (კუს ტბაზე მოსეირნეთა საყურადღებოდ - ტბის გარშემო ნელა სიარული თქვენს გულს მაინცდამაინც ვერ გააჯანსაღებს, მაშინ როდესაც კუს ტბისკენ მიმავალი გზის აღმართზე ფეხით ნელა ასვლით ამას შეგიძლიათ მიაღწიოთ).

ვარჯიშს როცა დაიწყებთ, შეეცადეთ, რომ არ გადააცილოთ თქვენი მაქსიმალური გულისცემის 50 პროცენტს პირველი რამდენიმე კვირა, ამის შემდეგ გაზარდეთ ეს მიზანი 75 პროცენტამდე, 4-6 თვის შემდეგ კი შეიძლება 85 პროცენტიც გახადოთ, თუმცა ეს აუცილებელი არაა, რადგან 75 პროცენტი სავსებით საკმარისია "ფორმის" შესანარჩუნებლად. თქვენი დატვირთვის განსაზღვრა, მაჯისცემის გარდა, შეიძლება სხვადასხვა მეთოდებითაც. ერთ-ერთი მათგანია ლაპარაკისა და სიმღერის ტესტი. თუ თქვენ სიმღერა შეგიძლიათ ან თავისუფლად შეგიძლიათ ლაპარაკი სიარულისა თუ სირბილის დროს, დატვირთვა არ არის საკმარისი, თუ ძალიან გიჭირთ ლაპარაკი ან თუ სუნთქვის მოსაბრუნებლად გაჩერება გჭირდებათ - დატვირთვა ჭარბია.

მსგავსად შეგიძლიათ შეაფასოთ სხვა სახის აერობული ვარჯიშითა თუ სპორტის სახეობით გამოწვეული დატვირთვები.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილებით შეგიძლიათ განსაზღვროთ თქვენი ფიზიკური მდგომარეობა და, აგრეთვე, მიადევნოთ თვალი ვარჯიშის შედეგად მიღწეულ პროგრესს.

არსებობს ე.წ. სტეპტესტი, რომელიც მოწოდებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონალური მდგომარეობის გამოსაკვლევად. 30 სმ სიმაღლის ყუთზე (ან სხვა საფეხურისმაგვარ საგანზე) ადიხართ და ჩამოდიხართ სწრაფად, სიჩქარით: 30 ასვლა-ჩასვლა წუთში - ადიხართ ერთი ფეხით, მერე მეორესაც აადგამთ, ჩამოდიხართ ერთი ფეხით, მერე მეორეს ჩამოადგამთ (დათვალეთ: "ერთი, ორი, სამი, ოთხი" თითო ციკლზე) და ა.შ. 3 წუთის განმავლობაში. სტეპ-ტესტის დამთავრების შემდეგ დაითვალეთ თქვენი მაჯისცემა წუთში და შეადარეთ ეს რიცხვი ქვემოთ მოყვანილ ცხრილს.(ცხრილი 2)

არის, აგრეთვე, ტესტი "ჩაბუქვნათა რაოდენობა წუთში", რომლითაც შეიძლება განისაზღვროს ქვემო კიდურების კუნთების ფიზიკური მდგომარეობა. შეამოწმეთ თქვენი თავი და შეადარეთ თქვენ მიერ ერთ წუთში გაკეთებული ჩაბუქვნების რაოდენობა ცხრილის მონაცემებს თქვენი ასაკობრივი ჯგუფისათვის.

(ცხრილი 4)

ე.წ. "წამოწევების ტესტით" შეიძლება განისაზღვროს მუცლის პრესის კუნთების მდგომარეობა (არსებითად ეს სპეციფიკური ტესტი კი არ არის, არამედ მუცლის პრესის გავრცელებული ვარჯიშია). საწყისი პოზიცია: ზურგზე წევხართ იატაკზე, მოხრილი მუხლებით, ხელები ბარძაყებზე. გამართული ზურგით წამოიწიეთ და ხელებით შეეხეთ მუხლებს. არ წამოიწიოთ თავის ან კისრის დახმარებით, არ მოხაროთ კისერი, წელი იატაკს არ ააცილოთ. გააკეთეთ ერთი წუთი და მიღებული რიცხვი შეადარეთ ცხრილის მონაცემებს.

რაც შეეხება კუნთების გასამაგრებლად სიმძიმეებით ვარჯიშს ანუ სიმძიმეების აწევას, მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ის ყველა ასაკის ადამიანისათვის სასარგებლოა. განსაკუთრებით სასარგებლოა იგი საშუალო და ხანდაზმული ადამიანებისთვის (ქალებს ეს უფრო მეტად ეხება), რადგან ფიზიოლოგიურად ადამიანი ამ ასაკში ყოველწლიურად კარგავს თავისი კუნთოვანი ძალის 12 პროცენტს და, აგრეთვე, მას თანდათან უმცირდება ძვლების სიმკვრივე ანუ უვითარდება ოსტეოპოროზი (ქალებში ეს პროცესები უფრო ადრე იწყება) და სიმძიმეებით ვარჯიშით ამ პროცესების თავიდან აცილება შეიძლება. ივარჯიშეთ სიმძიმეებით კვირაში ორი დღე და არაუმეტეს ერთი საათისა. გახსოვდეთ, რომ ერთი ჯგუფის კუნთების სიმძიმეებით ვარჯიშებს შორის ეს კუნთები 2 დღე მაინც უნდა დაასვენოთ. ნუ გადაიღლით თავს, მაგრამ ნურც კუნთის ჰიპერტროფიის ანუ ძალიან გაზრდისა გეშინიათ - ეს სულ სხვა დონის ვარჯიშით მიიღწევა და ამისათვის პროფესიული მიდგომაა საჭირო. სიმძიმეებით ვარჯიშისას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ვარჯიშის სწორად შესრულებას და ამის შესამოწმებლად თავიდან უნდა მიმართოთ სპეციალისტს (ვთქვათ, ინსტრუქტორს ან მეთოდისტს სპორტულ დარბაზში).

გახსოვდეთ, რომ აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს ვარჯიშის დაწყების წინ (ეს ეხება ყოველგვარ - აერობულსა თუ ანაერობულ ვარჯიშს), თუ:

■ თქვენ გაქვთ გულის დაავადება და თქვენი ექიმი თვლის, რომ შეგიძლიათ ივარჯიშოთ მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

■ ფიზიკური დატვითვის დროს ან მის შემდეგ გრძნობთ ტკივილს გულის არეში.

■ უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში გქონდათ ტკივილი გულის არეში.

■ ხშირად ჰკარგავთ გრძნობას ან ეცემით თავბრუსხვევის გამო.

■ სუნთქვა გიჭირთ მცირე დატვირთვის შემდეგ.

■ იღებთ წამალს მაღალი წნევის ან გულის დაავადების სამკურნალოდ.

■ გაქვთ მძიმე ართრიტი და თქვენი ექიმი თვლის, რომ ზოგიერთმა ვარჯიშმა შეიძლება ის გააუარესოს.

■ გაქვთ პირველი ტიპის დიაბეტი.

■ ხართ საშუალო ასაკს გადაცილებული, დიდი ხანია არ გივარჯიშიათ და აპირებთ ძალიან ინტენსიურ ვარჯიშს.

არც ერთი ეს მდგომარეობა თავისთავად ვარჯიშს მთლიანად არ გამორიცხავს, მაგრამ აუცილებელია წინასწარ ექიმის კონსულტაცია დატვირთვისა და ვარჯიშის სპეციფიკის განსასაზღვრავად.

თუ ზემოთ დასახელებული მდგომარეობები არა გაქვთ, შეგიძლიათ დაიწყოთ ვარჯიში და თანდათანობით გაზარდოთ მისი ინტენსივობა. თუ ვარჯიშის ნებისმიერ ეტაპზე გაგივითარდათ რომელიმე ზემოთ აღნიშნული სიმპტომი, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

დაბოლოს, მინდა მოვიყვანო რამდენიმე პარაგრაფი აშშ-ს მთავარი ქირურგის მოხსენებიდან "ფიზიკური აქტივობა და ჯანმრთელობა" (აშშ მთავარი ქირურგი ოფიციალური პირია, რომელსაც საზოგადოების ჯანმრთელობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე ზრუნვა ევალება და მისი ამგვარი მოხსენებები, ჩვეულებრივ, მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს ემყარება და სახელმწიფოს მიერ პრობლემის აღიარებასა და სახელმწიფოს დონეზე მისი გადაწყვეტის ქმედითი ზომების მიღებას გულისხმობს). მოხსენებაში აღნიშნულია, რომ:

1. ყველა ასაკის ადამიანისთვის სასარგებლოა ფიზიკური ვარჯიში.

2. ჯანმრთელობისთვის საგძნობი სარგებლობა შეიძლება მიღწეულ იქნეს ზომიერი ვარჯიშით (მაგალითად, 30 წუთი სწრაფი სიარულით, 15 წუთი სირბილით კვირის ყველა თუ არა, უმეტეს დღეებში მაინც). ყოველდღიური აქტივობის გაზრდით ამერიკელების უმეტესობას შეუძლია გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხარისხი.

3. დამატებითი სარგებლობა შეიძლება მიღწეული იქნეს ზემოთ აღნიშნული დატვირთვების გაზრდით. ადამიანები, რომლებიც უფრო დიდხანს და უფრო ინტენსიურად ვარჯიშობენ, უფრო ჯანმრთელნი არიან.

4. ვარჯიში ამცირებს ნაადრევ სიკვდილიანობას ზოგადად და კერძოდ - გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით, დიაბეტითა და მსხვილი ნაწლავის სიმსივნით გამოწვეულს.

5. ამერიკელთა 60 პროცენტი არ ვარჯიშობს რეგულარულად, ხოლო 25 პროცენტი საერთოდ არ ვარჯიშობს."

როგორც ვხედავთ, მოხსენებაში აღნიშნულია უბრალო და ერთი შეხედვით მარტივი დებულებები, რომელთა უგულებელყოფაც აშშ მოსახლეობასა და ჯანდაცვის სისტემას, სხვა ქვეყნების მსგავსად, სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

დღევანდელი მსოფლიოს ყველა განვითარებულ სახელმწიფოს უზარმაზარი თანხები მისდის უძრაობით გამოწვეული დაავადებების მკურნალობაზე, მაშინ როდესაც ყოველ ადამიანს თვითონ, ყოველგვარი დახმარების გარეშე, შეუძლია ამგვარი ავადმყოფობების თავიდან აცილება და ეს თქვენც შეგიძლიათ. ივარჯიშეთ ჯანმრთელობისათვის! თუ დატვირთვების გაძლება გიმძიმთ, გულს ნუ გაიტეხთ, ჯანმრთელობისთვის ცოტაც საკმარისია, არაფერს ცოტა სჯობია, დღეში ნახევარი საათი სიარულიც (თუნდაც ნაწილ-ნაწილ შესრულებული, ვთქვათ, როგორც ორი 15 წუთიანი მონაკვეთი) - თუ ამას რეგულარულად შეასრულებთ - შედეგს აუცილებლად გამოიღებს.



ცხრილი 1

| ასაკი | მაქსიმალური გულისცემა წუთში | ვარჯიშის დროს სასურველი გულისცემა წუთში (50-75% მაქსიმალური გულისცემისა) |
|---|---|---|
| 20 | 200 | 100-150 |
| 25 | 195 | 98-146 |
| 30 | 190 | 95-142 |
| 35 | 185 | 93-138 |
| 40 | 180 | 90-135 |
| 45 | 175 | 88-131 |
| 50 | 170 | 85-127 |
| 55 | 165 | 83-123 |
| 60 | 160 | 80-120 |
| 65 | 155 | 78-116 |
| 70 | 150 | 75-112 |

ცხრილი 2 — 3 წუთიანი სტეპ-ტესტი (მამაკაცები)

| შედეგი / ასაკი | 18-25 | 26-35 | 36-45 | 46-55 | 56-65 | 65+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ძალიან კარგი | <79 | <81 | <83 | <87 | <86 | <88 |
| საშუალო | 79-89 | 81-89 | 83-96 | 87-97 | 86-97 | 88-96 |
| საშუალო მაღალი | 90-99 | 90-99 | 97-103 | 98-105 | 98-103 | 97-103 |
| საშუალო | 100-105 | 100-107 | 104-112 | 106-116 | 104-112 | 104-113 |
| საშუალო დაბალი | 106-116 | 108-117 | 113-119 | 117-122 | 113-120 | 114-120 |
| ცუდი | 117-128 | 118-128 | 120-130 | 123-132 | 121-129 | 121-130 |
| ძალიან ცუდი | >128 | >128 | >130 | >132 | >129 | >130 |

3 წუთიანი სტეპ - ტესტი (ქალები)

| შედეგი / ასაკი | 18-25 | 26-35 | 36-45 | 46-55 | 56-65 | 65+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ძალიან კარგი | <85 | <88 | <90 | <94 | <95 | <90 |
| საშუალო | 85-98 | 88-99 | 90-102 | 94-104 | 95-104 | 90-102 |
| საშუალო მაღალი | 99-108 | 100-111 | 103-110 | 105-115 | 105-112 | 103-115 |
| საშუალო | 109-117 | 112-119 | 111-118 | 116-120 | 113-118 | 116-122 |
| საშუალო დაბალი | 118-126 | 120-126 | 119-128 | 121-129 | 119-128 | 123-128 |
| ცუდი | 127-140 | 127-138 | 129-140 | 130-135 | 129-139 | 129-134 |
| ძალიან ცუდი | >140 | >138 | >140 | >135 | >139 | >134 |

ცხრილი 3 — 1 წუთში ჩაბუქვნების რაოდენობა (მამაკაცები)

| შედეგი / ასაკი | 18-25 | 26-35 | 36-45 | 46-55 | 56-65 | 65+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ძალიან კარგი | >49 | >45 | >41 | >35 | >31 | >28 |
| საშუალო | 44-49 | 40-45 | 35-41 | 29-35 | 25-31 | 22-28 |
| საშუალო მაღალი | 39-43 | 35-39 | 30-34 | 25-28 | 21-24 | 19-21 |
| საშუალო | 35-38 | 31-34 | 27-29 | 22-24 | 17-20 | 15-18 |
| საშუალო დაბალი | 31-34 | 29-30 | 23-26 | 18-21 | 13-16 | 11-14 |
| ცუდი | 25-30 | 22-28 | 17-22 | 13-17 | 9-12 | 7-10 |
| ძალიან ცუდი | <25 | <22 | <17 | <9 | <9 | <7 |

1 წუთში ჩაბუქვნების რაოდენობა (ქალები)

| შედეგი / ასაკი | 18-25 | 26-35 | 36-45 | 46-55 | 56-65 | 65+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ძალიან კარგი | >43 | >39 | >33 | >27 | >24 | >23 |
| საშუალო | 37-43 | 33-39 | 27-33 | 22-27 | 18-24 | 17-23 |
| საშუალო მაღალი | 33-36 | 29-32 | 23-26 | 18-21 | 13-17 | 14-16 |
| საშუალო | 29-32 | 25-28 | 19-22 | 14-17 | 10-12 | 11-13 |
| საშუალო დაბალი | 25-28 | 21-24 | 15-18 | 10-13 | 7-9 | 5-10 |
| ცუდი | 18-24 | 13-20 | 7-14 | 5-9 | 3-6 | 2-4 |
| ძალიან ცუდი | <18 | <20 | <7 | <5 | <3 | <1 |

ცხრილი 4 — 1 წუთში წამოწევების რაოდენობა (მამაკაცები)

| შედეგი / ასაკი | 18-25 | 26-35 | 36-45 | 46-55 | 56-65 | 65+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ძალიან კარგი | >49 | >45 | >41 | >35 | >31 | >28 |
| საშუალო | 44-49 | 40-45 | 35-41 | 29-35 | 25-31 | 22-28 |
| საშუალო მაღალი | 39-43 | 35-39 | 30-34 | 25-28 | 21-24 | 19-21 |
| საშუალო | 35-38 | 31-34 | 27-29 | 22-24 | 17-20 | 15-18 |
| საშუალო დაბალი | 31-34 | 29-30 | 23-26 | 18-21 | 13-16 | 11-14 |
| ცუდი | 25-30 | 22-28 | 17-22 | 13-17 | 9-12 | 7-10 |
| ძალიან ცუდი | <25 | <22 | <17 | <9 | <9 | <7 |

1 წუთში წამოწევების რაოდენობა (ქალები)

| შედეგი / ასაკი | 18-25 | 26-35 | 36-45 | 46-55 | 56-65 | 65+ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ძალიან კარგი | >43 | >39 | >33 | >27 | >24 | >23 |
| საშუალო | 37-43 | 33-39 | 27-33 | 22-27 | 18-24 | 17-23 |
| საშუალო მაღალი | 33-36 | 29-32 | 23-26 | 18-21 | 13-17 | 14-16 |
| საშუალო | 29-32 | 25-28 | 19-22 | 14-17 | 10-12 | 11-13 |
| საშუალო დაბალი | 25-28 | 21-24 | 15-18 | 10-13 | 7-9 | 5-10 |
| ცუდი | 18-24 | 13-20 | 7-14 | 5-9 | 3-6 | 2-4 |
| ძალიან ცუდი | <18 | <20 | <7 | <5 | <3 | <2 |

სახელი ______
გვარი ______
ასაკი ______
სიმაღლე ______

მისამართი ______
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა______________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი



ლამაზად მორთული კიმონო

ტბა სომხეთში
ნაყოფიერების რომაული ქალღმერთი
სამკურნალო მცენარე
მაგიდა ეკლესიაში
ინდოელთა ტომი
ესპანელი მწერალი
ბუნებრივი წყალსატევი
სტალინის დედა

წინა სკანვორდის პასუხი:
მონანიება; იდო; ბარელიეფი; ნიასა; ური; ოშკი; რეალი; ტეტჩერი; პლუტონი; ქიში; რობაქიძე; ნისია; პრეტორი; ეიერი; ოფიცერი; რობესპიერი; ჩალხია; რენომე; ლეი; ონი; მერიმე; მჟავანაძე; ნეირონი; პრეფექტი; პოლო; ბოქსიტი; მოლიერი; ბაზალა; ფოიე; კრუშჩაკია; სულა; სკაფანდრი; პავაროტი; კანონირი; საბატინი; სოხაძე.

## TV პროგრამა

26 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტენკო **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "სრულიად არაჩვეულებრივი ამბავი" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტენკო **18.30** პატრული **19.00** სერიალი "უცნობი" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა. **22.45** ჩემპიონთა ლიგა. **02.00** ჩემპიონთა ლიგა. **03.45** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ნაბატეენის ნაკვალევზე. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ქრონიკები მთიდან. **11.05** საოჯახო ფოტოები. 12.15შეხვედრა დრაგონთან. რეჟისორი ელენ ანჟელი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეტამაში. **17.25** დ.დიზაინი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** პოლ პოტის საიდუმლოება. დოკ. ფილმი. **03.25** სანაას სიმღერა. დოკ. ფილმი. **04.20** გადაცემა: აქტუალური თემა.

### 1

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** დოკ. ფილმი "ა. ხორავა", "ა. ვარაზი" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (სეიშელი) **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "უდაბნოს შვილები" **19.40** სასამართლო დარბაზებში **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ხელოვნურ ადამიანი" **23.00** პროფესიონალი - "პიარ-მენეჯერი" **23.30** მხ. ფილმი "დედუნა" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **12.05** დოკ. ფილმი "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **14.15** ბალეტი. მიხეილ ლავროვსკი. **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **19.00** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "უსათაუროდ", "ეტიუდი 6", "მივიწყებული სევილიელი". **00.00** მხ. ფილმი "რესტორანი" (18) (ედიენ ბროდი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "კარიბის გული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტ. სერიალი "ჟაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "ვეჰემოტის საიდუმლო" **21.45** დოკ. ფილმი "დიზაინი" **22.10** კინოსეანსი "თუში მეცხვარე"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **12.20, 17.10, 03.25** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.15** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "დაუნჰაუზი" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **23.00** პირველები **23.40** მხ. ფილმი "დავძიროთ მონა" (გ) (დენი დე ვიტო) **01.10** გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი) **02.45** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** მუსიკა **10.30** დოკ. ფილმი **11.35** მხ. ფილმი "მამაცი გული" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "გულთან ახლოს **17.55** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.15** "წკიპურტები **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** კომედია "ქალიშვილები კალენდარიდან" **22.50** "მოგზაური" **23.30** "სტარტი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** თრილერი "ობობა" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ЗВЕЗДА ЭПОХИ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Николай Прокопович в детективе **"ТЕЛОХРАНИТЕЛЬ". 14.00** Док. фильм "Башня для "безбашенных". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Многосерийный фильм **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Осколки "красного фонаря". Дело 2001 г. **19.50** Михаил Жигалов в боевике **"ОХОТА НА АСФАЛЬТЕ". 21.00** Время. **22.40** Кремль-9. "Дорогой Никита Сергеевич". **1**-я с. **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Бессмертная война. Рузвельт. Между Сталиным и Гитлером". **00.30** Док. фильм "Железный поток". **01.00** Джеймс Белуши в триллере **"РАЗДВОЕНИЕ ЛИЧНОСТИ".** Полицейский Том Бекуита пережил страшную трагедию. Его жена покончила жизнь самоубийством. Том решил уйти со службы, начал изучать психологию и оказался способным учеником. Его преподавательница Лорен Поттер относится к Тому с большим доверием. Однажды она просит, чтобы Том последил за ней. В детстве она перенесла тяжелую душевную травму. Лорен уверена, что тогда совершила убийство. Вспомнив о своей прежней профессии, Том решает начать собственное расследование этого давнего дела. **02.50** Что? Где? Когда? **04.10** Билл Косби в фильме **"ПАПАША - ПРИЗРАК".** Отец-одиночка Эллиот Хоппер торопится на заключение важной сделки. Садится в такси и погибает в автомобильной катастрофе ... Оказавшись на границе между этим и потусторонним миром, он превращается в призрака. Ему необходимо научиться общаться с людьми и продолжать заботиться о трех детях. Но времени, чтобы уладить земные дела у него очень мало...

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.45** "Сегодня" **10.20** Профессия - репортер. **10.50** Сериал **"СТРОПТИВАЯ МИШЕНЬ". 11.55** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 13.30** Чистосердечное признание. **14.05** Анатолий Котенев в фильме **"СЕКРЕТНЫЙ ФАРВАТЕР". 1**-я с. **1944** год, наши войска наступают по всем фронтам. Обманчиво спокойствие на базе торпедных катеров, где служит старший лейтенант Шубин. Во время одной из вылазок Шубин и его товарищи обнаруживают секретный фарватер вражеских подлодок. Вскоре и сам Шубин оказывается пленником на одной из них. **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2. ДЕТИ ПОДЗЕМЕЛЬЯ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"СТРОПТИВАЯ МИШЕНЬ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.35 Футбол.** Лига чемпионов. Полуфинал. **"Милан" (Италия) - ПСВ (Голландия).** Прямая трансляция. **01.00** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 02.05** "Футбольный клуб" **02.45** Бильярд. **03.10** Сериал **"ФИЛАДЕЛЬФИЯ". 04.15** Сериал **"ПЕРВЫЙ ПОНЕДЕЛЬНИК". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

# იყიდეთ შავ-თეთრი კოცნა მერიის წინ

თამარ ბაბუაძე

1950 წელი. პარიზი. სუსხი. ფრანსუაზი და ჟაკი თეატრალურ სკოლაში სწავლობენ. შეყვარებულები არიან. ლექცია მთავრდება. ერთად გამოდიან. მერიის შენობას უნდა ჩაუარონ. ცოტა ცივა. ხელით მხარზე მჭიდროდ ეხვევიან ერთმანეთს. თბებიან. ტანითაც ერთმანეთს ეკვრიან და ჩუმად არიან. წინ იყურებიან - განაცრისფრებული ქუჩისკენ. ისმის მარტო მანქანების ძრავის ხმა და ფეხსაცმელების პაკუნი. მერე იქვე, კაფეში სხდებიან. ერთი დაუგეგმავი თვალის გაპარება ჟაკის სახისკენ და შეხედვა თვალდახუჭული კოცნით მთავრდება. სხედან და ერთმანეთს ეხვევიან.

იქვე კაცი დგას ფოტოაპარატით ხელში. ეს ის კაცია, რომელიც მანამდე ამბობს: "ყოველდღიურ სასწაულებზე უკეთესი არაფერია. არც ერთ კინორეჟისორს არ შეუძლია ის უცაბედი სიხარული დაიჭიროს და აღწეროს, რასაც ქუჩაში შემთხვევით წააწყდები" - ეს წამია, რომელიც ყველაზე მაღალ ხელოვნებასაც უკან იტოვებს.

რობერტ დუანო ელიტაში გასული ფოტოგრაფია, ჟურნალ Life-ისთვისაც უმუშავია და პარიზული "ვოგისთვისაც", პიკასოსთვისაც გადაუღია ფოტოები, კოკტოსთვისაც და ჯაკომეტისთვისაც, მაგრამ მისი სტიქია მაინც ქუჩაა, თანაც ექსკლუზიურად პარიზული ქუჩა. რასაც იქ ხედავს და რასაც იქ იღებს, სხვა ვერაფერი უნაზღაურებს. აქედან ჩნდება მეტსახელი - "ქუჩის ფოტოგრაფი". 1973 წელს კი კეთდება მოკლემეტრაჟიანი ფილმი "რობერტ დუანოს პარიზი".

და ისევ 1950 წელია. დუანო ფოტოაპარატით ხელში ქუჩაშია, მერიასთან. Life-ისთვის პარიზელ შეყვარებულებზე აკეთებს ფოტოსერიას და ზუსტად მაშინ ამჩნევს ქუჩაში საკოცნელად შეჩერებულ წყვილს. ფრანსუაზი და ჟაკი სერიისთვის ზედგამოჭრილნი არიან. და რახან დუანოს პრინციპია საკუთარ პერსონაჟებთან გამოლაპარაკება, ტრადიციას არც ახლა არღვევს. საჭირო მომენტს პოულობს, ბიჭს და გოგოს უთანხმდება და მეორე დღეს იქვე იბარებს - კოცნის გასამეორებლად.

ასე იქმნება კადრი სათაურით "კოცნა მერიის წინ", რომელიც პარიზის, როგორც თავისუფალი სიყვარულის, სიმბოლო ხდება. რომანტიკოსებს კი მაინც ჯიუტად სჯერათ, რომ კადრი სპონტანურია და არა დადგმული. ილუზიას 1992 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში თვითონ დუანო აქარწყლებს: "ვერასდროს გავბედავდი ასე თავხედურად ასეთი ინტიმური მომენტი გადამეღო".

ამ ინტიმური მომენტიდან 55 წლის თავზე, გუშინ საღამოს, პარიზულ აუქციონზე ეს ძველი ფოტო გაიყიდა. მაშინდელმა გოგონამ ფრანსუაზ ბორნემ აუქციონზე ძველი კოცნა გაიტანა და გაყიდა. ასე.

მანამდე კი, სანამ გაყიდდა, პრესასაც შეხვდა და მერიის წინ, რომელიც ისევ იქ დგას, ისტორიულ ფოტოსთან ერთად გამართა პოზიორობა. ამჯერად მას - უკვე მარტოს და ნაოჭებიანს, ძველი ფოტოთი ხელში - ახალგაზრდა ფოტოგრაფები ულებდნენ სურათებს. მათ ხელში ჯაბახანა ფოტოაპარატების ნაცვლად ვერცხლისფერი ციფრული კამერები ეჭირათ: პირველი ფოტოდან ხომ ბევრი დრო გავიდა: ნაოჭებმა ფრანსუაზის სახეზე და ციფრულმა კადრებმა ჩვენს რეალობაში თითქმის ერთდროულად მოიკიდა ფეხი.

"რას ვიზამ ამ ფულით? ფოტოს გაყიდვა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემს მეუღლესთან ერთად კინოსტუდიის გაკეთებას ვაპირებ. ფული ამისთვის მჭირდება" - განაცხადა ფრანსუაზ ბორნემ. ოღონდ, რომანტიკოსებს კიდევ ერთხელ გაუცრუვდათ იმედები - ფოტოზე აღბეჭდილი ჟაკ კორტო ფრანსუაზის მეუღლე არ გახდა. მათი რომანი დიდი ხანია დამთავრდა. კოცნა მარტოლაც დადგმა აღმოჩნდა. სიყვარული - სხვა რამე. ფოტოს



"კოცნა მერიის წინ"

სავარაუდო ფასად კი გუშინ 20 ათასი ევრო დასახელდა.

უცხოურმა პრესამაც სენტიმენტალურ-რიტორიკული თემების ნაცვლად წინა პლანზე სწორედ ფინანსური საკითხები წამოსწია. აჟიოტაჟიც ძალიან პოპულარული ფოტოს გარშემო, ალბათ, უფრო იმიტომ ატყდა, რომ გამყიდველი თვითონ გახმაურებული სურათის პერსონაჟი იყო.

ფრანსუაზ ბორნეს ფოტო ორიგინალია. გადაღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ფოტოგრაფმა მას ის წარწერითა და ხელმოწერით გაუგზავნა. მერე ჟურნალმაც გამოაქვეყნა სერია პარიზელი შეყვარებულების შესახებ. თუმცა, ფრანსუაზისა და ჟაკის კადრს ყურადღება მაშინვე არ მიუქცევია. 30-იოდე წლის განმავლობაში ის თითქმის ხელუხლებლად არქივში იდო. მხოლოდ 1986 წელს მიაგნეს, თავიდან აღმოაჩინეს, პლაკატად დაბეჭდეს და ფოტოც ერთ დღეში ვარსკვლავად აქციეს.

მას შემდეგ "კოცნა მერიის წინ" ათასობით სხვადასხვა ზომისა და ფორმის ეგზემპლარად გადამრავლდა და მთელ მსოფლიოს დაეგზავნა, როგორც მოსაწვევი ბარათი პარიზში ჩასასვლელად და ვნებიანად საკოცნელად - როცა არავინ გიყურებს, "ქუჩის ფოტოგრაფის" გარდა. მისი მზერა კი - თბილია.

მას შემდეგ, რაც პოპულარობა მოვიდა, ფოტოს პერსონაჟობის პრეტენზია ერთდროულად რამდენიმე წყვილმა გამოთქვა. ყველა ჯიუტად ამტკიცებდა, რომ სწორედ ისინი ეხვევიან ერთმანეთს მერიის წინ. 1992 წელს ერთ-ერთი წყვილი ტელეეთერითაც გამოვიდა და ფოტოგრაფს მოგებიდან წილი მოსთხოვა. ჟაკი და



"უსათაურო"

ნალი აჩვენა - მარკითა და ხელმოწერით და სკანდალიც ჩაცხრა.

დღეს აუქციონის სახლის Artcurial-ის ექსპერტები აცხადებენ, რომ ეს ფოტო 410 ათასზე მეტჯერ არის გადაბეჭდილი. საავტორო უფლებას ფოტოზე სააგენტო "რაფო" ფლობს - სადაც ფოტოგრაფი იმ წელს მუშაობდა. ბორნესა და მის შეყვარებულს ჰონორარი არ აუღიათ, არც გადაღებების დროს და არც გაყიდვიდან შემოსული თანხიდან. შესაბამისად, მადამ ბორნეს კუთვნილი ორიგინალი ფოტო ერთადერთია, რაც იმ ერთი ჩვეულებრივი დღიდან შემორჩა. გუშინ კი ისიც გაყიდა. თუმცა - კარგი საქმისთვის - მეუღლესთან ერთად კინოსტუდიის შესაქმნელად.

P.S. ათიოდე წლის შემდეგ იმავე პარიზში იმავე თემაზე მეორე ლეგენდარული ფოტოც გადაიღეს: ავტორი - კარტიე-ბრესონი, წყვილი - შეყვარებულები, ადგილი - პარიზული ღია კაფე, მოქმედება - მაგიდაზე გადახრილი გოგო და ბიჭი ერთმანეთს კოცნიან. ასე რომ, გამოდის, ყოველ ათწლეულში ერთხელ პარიზი ახალგაზრდებს კოცნისთვის იხმობს. ამიტომ ჩასვლა და კოცნა ღირს, მერე თუნდაც, ამ კოცნის გაყიდვა მოგინდეთ.

და სულ ბოლოს კი, კიდევ ერთი ციტატა რობერტ დუანოსგან: "მიყვარს ადამიანები თავიანთი სისუსტეებითა და დანაშაულებით. ვეწყობი ადამიანებს. ვლაპარაკობთ. ვიწყებთ ამინდით და მერე ნაბიჯ-ნაბიჯ უფრო სერიოზულ თემებზეც გადავდივართ. როცა მათ ვიღებ, ისე ნუ გამიგებთ, თითქოს, გამადიდებელი შუშით ვათვალიერებდე მათ, როგორც გულცივი მეცნიერი. პირიქით, ფოტოებს ადამიანებს ნათესაური განცდითაც კი ვუღებ. და ისედაც, კარგია, არა, ნათელი მოჰფინო ადამიანებს, რომელთაც ყურადღების ცენტრში ყოფნა არასდროს ღირსებიათ".


## სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო შპს **"ი ელ ელ"**-ი (**ELL. Ltd**) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში.

**ენის სასწავლო პროგრამები:**
- ინგლისური ენა - ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო, 2 - 48 კვირა.
- ინგლისური ენა და დასვენება -საზაფხულო სკოლებში, 2 - 10 კვირა.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა სტაჟირება 2 - 4 კვირა.

**წინა საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:**
- **A-level** 1-დან 2 წლამდე. 16 წლიდან.
- **Foundation** 1 წლით 17 წლიდან (სკოლადამთავრებულთათვის).
- **Pre - MBA** 3 - 6 თვე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის N74, მე-5 სართული; ოთახი 503;
ტელ: 22-59-57, 29-91-78 მობ: 899 50-40-12
**E-mail: n_makatsaria@yahoo.com**







## საქართველოს კონტროლის პალატის გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი:

**95 30 81**
**96 71 78**

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## სწრაფად ხარისხიანად!
## EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზების და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლიუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლესელიძის ქუჩა - ყაველაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.